1974

ეროვნული ბიბლიოთეკა



# პიონერი

2
• 1974 •



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ძვირფასო ბავშვებო!

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოუწოდა პარტიას, საბჭოთა ხალხს — კომუნისტებსა და კომკავშირელებს, ყველა მუშას, კოლმეურნეს, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებს, — ხუთწლედის მეოთხე წელი აღნიშნონ ახალი წარმატებებით სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში.

**„სკკპ ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს რწმენას, რომ ჩვენი შესანიშნავი ახალგაზრდობა ახალი ძალით დაადასტურებს თავის ერთგულებას ლენინის ანდერძისადმი, კომუნისტური პარტიის საქმისადმი, დამკვრელური შრომითა და ფრიადზე სწავლით აღნიშნავენ ხუთწლედის მეოთხე წელს. სამშობლოს სწამს ახალგაზრდა თაობისა, მისი შრომისმოყვარეობისა, სიმტკიცისა და თავდადებისა“** — ნათქვამია ამ მოწოდებაში.

ჩვენი ქვეყნის პიონერია, რომელიც მუდამ ერთგულია თავისი საზეიმო ფიცისა, ახლაც შეიტანს თავის წვლილს უფროსების დიდ საქვეყნო საქმეში. თქვენ ახლა ერთხელ კიდევ გადაავლებთ თვალს საიუბილეო პიონერული მარშის მარშრუტებით განვლილ გზებს. წარმატებებს შეაჯამებთ და მომავლის გეგმებს დასახავთ. მაღალი აკადემიური მაჩვენებლები, სასახელო პიონერული საქმეები, მილიონობით ახალი ნერგი, ასი ათასობით ტონა ჯართი, მაკულატურა, მილიონობით ცალი აგური მიტანილი მშენებლობაზე, ასეთი იქნება თქვენი წვლილი.

დაე, თქვენი მხიარული ჟრიამული კიდევ მეტ ელფერსა და ლაზათს ჰმატებდეს ჩვენ საკოლმეურნეო ველ-მინდვრებსა და პლანტაციებს, ბაღ-ვენახებს, მშენებლობებს; სიხარულით უვსებდეს გულს და შრომის ხალისს ჰმატებდეს თქვენს დედებსა და მამებს, თქვენს უფროს დაძმებს, რომ კიდევ უფრო ამრავლონ მე-9 ხუთწლედის მეოთხე — განმსაზღვრელი წლის შრომითი გამარჯვებები.

# ჩვენ 250.000.000 ვართ

ეროვნული ბიბლიოთეკა



მირონ ხერგიანი

ფოტო ავტორისა

ბათუმის 24-ე საშუალო სკოლა. დერეფანში შესვლისთანავე თვალში გეცემა ჩვენი ქვეყნის ღერბით დამშვენებული სასაზღვრო ბოძი, იქვე ჯარისკაცის ბიუსტი დგას, მის უკან კი წითელ ქსოვილზე ბულგარეთის სახელოვანი შვილის — დიმიტროვის პორტრეტია, სტენდებზე ფაქიზადაა გაკრული წერილები, ცნობები, სურათები, ციფრები, ლოზუნგები. ერთგან, კუთხეში, მარადიული ცეცხლის იმიტაციაა ბავშვების მიერ ტილოზე შესრულებული. სტენდებთან წითელყელსახვევიანი მოსწავლეები ირევიან... უჩვეულო ფორმაში გამოწყობილან ისინი. სამკლავეებზე ვარსკვლავები უკიაფებთ, ზოგს — ერთი, ზოგს — ორი, სამი ან ოთხი. რაღაც ერთ კანონს ემორჩილება აქ ყოველივე — მათი ქცევა, ჟესტები და სახის გამომეტყველება.

ერთი სიტყვით, ათასი სკოლა რომ მოიარო, მსგავსს ვერსად ნახავ, ამიტომ ყოველივე ეს იმთავითვე ცნობისმოყვარეობას ბადებს, მალე გინდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ამოხსნა საიდუმლო — გაეცნო ბათუმის 24-ე სკოლის პიონერთა ცხოვრებასა და საქმიანობას.



მესაზღვრეთა ნორჩი მეგობრები სამწყობრო რიგში (მარჯვნიდან მარცხნივ: ტოკკო ედუარდი, ირინა ივანჩენკო და მანანა ცხოიძე).



ედიკ რომანოვი (მარცხნივ) სამხედრო ხელმძღვანელს, პოდპოლკოვნიკ ალექსეი ბოიარსკისა და მნმ-ის ბატალიონის მეთაურს ვიტალი გონჩაროვს (მარჯვნივ) უყვება საზღვრის დამრღვევთა დაკავების ამბავს.

— ჩვენი სკოლა ერთადერთია აჭარაში, სადაც მესაზღვრეთა ნორჩი მეგობრების ბატალიონია ჩამოყალიბებული, — ამბობს სკოლის დირექტორი სიმაეთ ვარშანიძე — იგი გიორგი დიმიტროვის სახელს ატარებს. მაგრამ მარტოოდენ ეს როდი აკავშირებს ჩვენს სკოლას ბულგარეთთან. ეს ქანდაკება ბულგარელი მესაზღვრის ასენ ალიევისაა. იგი მამაცურად

პიონერი

2

თებერვალი

1974

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

გამოდის 1926 წლიდან

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

იბრძოდა ბულგარეთის საზღვრის დაცვისას და მტერთან უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპა. მას გმირობა მიანიჭეს. ა. ალიევის სახელს ატარებს ჩვენი სკოლის მ. ნ. მ-ს ათასეული. ამის შესახებ კი — უფრო ვრცლად სკოლის სამხედრო ხელმძღვანელი პატივცემული ანდრეი გიამბობთ.

...პოდპოლკოვნიკი ანდრეი ბოიარსკი ყოფილი მესაზღვრეა. აქ, სამხრეთში მიიღო მან სამხედრო წრთობა. ფერიის საშუალო სკოლაში პირველმა ჩამოაყალიბა მესაზღვრეთა ნორჩი მეგობრების რაზმი, რომლის წევრები იყვნენ ისმედ კონცელიძე (ხელმძღვანელი), ამირან და ხასან გოგუაძეები, სერგო მახათაძე და სხვები... შემდეგ ჩვენი ქვეყნის სხვა სასაზღვრო ქალაქებშიც შეიქმნა ასეთი რაზმები.

ისმედ კონცელიძემ, ამირან გოგუაძემ, სერგო მახათაძემ და მათმა ამხანაგებმა საზღვრის არაერთი დამრღვევი დააკავეს და ფასდაუდებელი სამსახური გაუწიეს მესაზღვრეებს. დღეს მათ სასახელო საქმეებს აგრძელებენ ნორჩი მესაზღვრეები, რომლებიც თავიანთი უფროსი კოლეგების მარშრუტებზე მოგზაურობენ.

— ასენ ალიევი 1958 წელს დაიღუპა, — ამბობს ანდრეი ბოიარსკი. — ჩვენს საზღვარზე არის მისი სახელობის საგუშაგო. ასევე ბულგარეთში შექმნილია მამაცი საბჭოთა მესაზღვრის, დიდ სამამულო ომში დაღუპული ალექსეი ლოპატინის სახელობის რაზმეული და სასაზღვრო საგუშაგო.

ჩვენი ბატალიონი ორიოდე წლის წინათ ჩამოყალიბდა, მაგრამ ამ მოკლე დროში მესაზღვრეთა ნორჩმა მეგობრებმა მრავალი სასახელო ფურცელი ჩაწერეს ამ შენაერთის მატიანეში.

ბავშვებში დიდი ინტერესი გამოიწვია მესაზღვრეთა ცხოვრებამ, მათი სასახელო საქმეების გაცნობამ, ისინი გაიტაცა პატრიოტულმა თასნობამ — დავიცვათ სამშობლოს საზღვრები... სწორედ ამიტომ რაზმი რამდენიმე თვეში ათასეულად იქცა.

ჩვენ გვყავს ნორჩი მესაზღვრეები, რომლებზეც შეიძლება ითქვას, რომ ნამდვილი გმირები არიან. ერთ-ერთი მათგანია IX[1] კლასის მოსწავლე ედიკ რომანოვი, მან საზღვრის სამი დამრღვევი დააკავა და დაიმსახურა მესაზღვრეთა უმაღლესი ჯილდოები: ჯერ „წარჩინებული მესაზღვრის" მეორე ხარისხის, მერე კი პირველი ხარისხის მედლები. ამის შესახებ თვითონ ედიკი მოგიყვებათ. მე მხოლოდ ის მინდა ვთქვა, რომ სასახელო საქმეებისათვის სკოლის მ.ნ.მ.-ის ბატალიონი დაჯილდოებულია გარდამავალი ვიმპელით, მოიპოვა მარჯვენა ფლანგელის საპატიო სახელი, ბავშვების მიერ შეკრებილი მასალების საფუძველზე კი სკოლაში გაიხსნა მუდმივმოქმედი სასკოლო მუზეუმი. იგი ასეთი სახის ერთადერთი მუზეუმია საბჭოთა კავშირში.



მნმ-ს ავტომატის დაშლა-აწყობაც უნდა ეხერხებოდეს.

## ედიკ რომანოვი:

## შემთხვევა პირველი

— მე საზღვართან ახლოს ვცხოვრობ, სკოლიდან სახლამდე კარგა მანძილია. ერთ საღამოს, ეს 1978 წლის 18 ოქტომბერს მოხდა, შინ ვბრუნდებოდი. უცბად ჩემი ყურადღება ორმა უცნობმა მიიქცია: მალულად ათვალიერებდნენ გარემოს, ვიფიქრე, შეიძლება ცნობისმოყვარე ტურისტები არიან-მეთქი, და გზა განვაგრძე, მაგრამ გულმა არ მომითმინა და უკან მოვიხედე — უცნობები სამხრეთისაკენ მიძუნძულებდნენ, გავედევნე, რომ დამენახეს, რომელიღაც მანქანის ძარაზე ჩამოეკიდნენ და მოუსვეს. სასწრაფოდ ვაცნობე დანიშნულებისამებრ და, უთუოდ მიხვდით, რა მოხდა მერე.

ბავშვობა მესაზღვრეებთან გავატარე. იმათ მასწავლეს საეჭვო ხალხის გამოცნობა, თორემ, შესაძლოა, ყურადღებაც არ მიმექცია იმ ადამიანებისათვის... მაგრამ მთავარი მაინც აქ ნასწავლია, ჩვენს სკოლაში. ანდრეი ბოიარსკისა და უფროსი პიონერხელმძღვანელის იური ლუკიანჩენკოს ხელმძღვანელობით ათასეულის წევრები საზღვრის დამრღვევებთან ბრძოლის ვრცელ პროგრამას გავდივართ...

## იური ლუკიანჩენკო:

## „საზღვარს მთელი საბჭოთა კავშირი იცავს".

— ორი წლის წინათ ამ დევიზით შევუდექით საქმიანობას. ნორჩი პატრიოტების აღზრდის საშვილიშვილო საქმეში დიდად გვიწყობდა ხელს მათი უფროსი კოლეგების საგმირო მაგალითები, ის მდიდარი საბრძოლო ტრადიციები, რომელსაც მესაზღვრეთა ნორჩი მეგობრების პირველი რაზმის წევრებმა, ამირან და ხასან გოგუაძეებმა, სერგო მახათაძემ და სხვებმა მისცეს დასაბამი. ჩვენ წესად გვაქვს — ყოველ ახალ ნაკადს უპირველესად მათს საგმირო საქმეებს ვაცნობთ, ვატარებთ უფროსი თაობის მიერ გაკვალულ მარშრუტებზე, ვათვალიერებინებთ დიდების ადგილებს, ათასეულში მიღება, როგორც წესი, იწყება ფიცით, რომლის ტექსტი შეადგინეს ჩვენმა პიონერებმა. იგი ასე იწყება: „შევდივარ რა მესაზღვრეთა ნორჩი მეგობრების რიგებში, ვფიცავ, ვიყო სამშობლოს დამცველთა აქტიური თანაშემწე, წინდახედული და მამაცი მეომარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულმოდგინედ ვისწავლო სამხედრო ხელოვნება, ვამრავლო და განვამტკიცო მესაზღვრეთა სასახელო შრომითი და მეომრული საქმეები, გავუფრთხილდე ამ მაღალ წოდებას, ვისწავლო, ვიშრომო და ვიბრძოლო ისე, როგორც ამას გვასწავლიდა დიდი ლენინი".

ამ ფიცის დადების შემდეგ ისინი ათასეულის წევრები ხდებიან, ეცნობიან სასაზღვრო ნაწილების ისტორიას, ეუფლებიან სამწყობრო მომზადებას, სწავლობენ რაზმეულის სიმღერას, საღლესასწაულო შეკრებაზე დროშების გამოტანას, მესაზღვრე ძაღლებთან მუშაობას. დღესასწაულის დღეებში გოგონებს აცვიათ ცისფერი ქვედა კაბები, თეთრი კოფთები, სამკლავეებზე ოქროსფერი ვარსკვლავები უკერიათ, ბიჭები კი ასევე ფერის შარვლებსა და ქუდებში არიან გამოწყობილნი.



დროშის გამოტანა (მარჯვნიდან მარცხნივ): კოსტანიანი ესმა, მოშჩამიტინი პატია და კოლოზიენკო ნატაშა.



პიონერხელმძღვანელი იური ლუკიანჩენკო მოგზაგალ გემებზე ესაუბრება მესაზღვრეთა ნორჩ მეგობრებს.

### ედიკ რომანოვი:

### შემთხვევა მეორე

— ეს კი გასული წლის მარტში მოხდა. სკოლაში რაღაც ღონისძიება ტარდებოდა და იქ შევრჩი. შინ გვიან ვბრუნდებოდი. გზად ვიღაც ბიჭი წამომეწია, შემეკითხა — სარფში როგორ მივიდეო. მე ვუთხარი: ამ შუაღამისას რა დროის მგზავრობაა, აქვე აეროპორტია და იქ სასტუმროში გაათიე ღამე, დილას კი საქმეს ეწიე-მეთქი.

— არა, მეჩქარება ახლავე უნდა წავიდე. ახლო-მახლო საგუშაგოები ხომ არ არის სადმე?

ამ სიტყვებმა დამაეჭვა. იგი ჩემს ყოყმანზე დაშინდა და გაიქცა. მყისვე შევატყობინე, სადაც საჭირო იყო...

ამას წინათ 24-ე საშუალო სკოლის თაოსნობით ბათუმის კომკავშირის საქალაქო კომიტეტმა მესაზღვრეთა ნორჩი მეგობრების პირველი საოლქო შეკრება მოაწყო.

შეკრების მონაწილეებს მიესალმნენ მესაზღვრე ოფიცრები და ბავშვებს მადლობა გადაუხადეს გაწეული მუშაობისათვის. შეკრებაზე წაიკითხეს აგრეთვე მესაზღვრეთა პოლიტსამმართველოს უფროსის მადლობის დეპეშა. მანვე 24-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებს გამოუგზავნა სამხედრო სიმღერების ნოტები და სხვადასხვა მასალების ამანათი.

შეკრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ ვეტერანი მესაზღვრეები, ბათუმის კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მდივანი, ლიანა სარიშვილი.

იმავე დღეებში 24-ე საშუალო სკოლის მნმ-ის ბატალიონის წევრებმა ფეხით შემოიარეს დიდების ადგილები, შეხვდნენ მამედ ვარშანიძეს, რომელმაც ორმოცამდე საზღვრის დამრღვევი დააკავა, იუსუფ გოგუაძეს (იუსუფმა შვილებთან — ხასანსა და ამირანთან ერთად ხუთი საზღვრის დამრღვევი დააკავა), ხელვაჩაურში ინახულეს დურსუნ ბაბუჩაიშვილი, ალექსი წულუკიძე, ომერ შარაბიძე, თემელ ცინცაძე და სხვა სახელოვანი ადამიანები, ხელვაჩაურელ ნორჩ კოლეგებთან ერთად სახელდახელო მიტინგი ჩაატარეს დაღუპულ ჭარისკაცთა მემორიალთან.

ყოველდღე ხალისითა და ენერგიით აღსავსენი მოეშურებიან სკოლაში მნმ-ის ათასეულის მეთაური ვიქტორ გონჩაროვი, სანპოსტის უფროსი ირა ივანჩენკო, მნმ-ის ათასეულის წევრები — ნათელა სვანიძე, აშოტ ხუციშვილი, ნატაშა პოლოზინკო, ლიანა ცხოიძე, მარია ქუთელია, ბადრი ციციაშვილი, ნიკოლოზ პოლიაკოვი და სხვები...

წიგნებთან ერთად სკოლაში მათ ელოდებათ მათთვის ასე ახლობელი და საინტერესო სამყარო — ხიფათებითა და რომანტიკით აღსავსე მესაზღვრეთა ცხოვრება.

სამხრეთის საზღვარი შეუვალია. და არა მარტო სამხრეთისა, მთელი საბჭოთა კავშირის საზღვრები საიმედოდაა ჩაკეტილი არაკეთილმოსურნეთა და მავანთათვის. საზღვარს იცავს მთელი ჩვენი ხალხი!



დურმიშხან გრიგოლაშვილი

# არჩევანი

მხატვარი ჯემალ ლოლუა

მოთხრობა

შინ მისვლისთანავე მაგიდას მივუჯექი და წერა დავიწყე, უფრო სწორედ, ვცადე წერა დამეწყო. ჯერჯერობით შინ მარტო ვიყავი და შემეძლო ამ მყუდროებაში, ჩვენების მოსვლამდე, ნარკვევისათვის ხელი მომეთავებინა. ჯერ სათაურზე ვიმტვრიე თავი. ათამდე სათაური ჩამოვწერე და წავშალე. მერე გადავწყვიტე, ჯერ დავწერ წერილს და სათაურს მერე ხომ უფრო იოლად მოვუნახავ-მეთქი, მაგრამ პირველი წინადადების დაწერა ყველაზე ძნელი აღმოჩნდა. ფურცელს ფურცელზე ვხევდი რვეულიდან. ბოლოს, როგორც იქნა, აეკინძა სტრიქონი სტრიქონს და სწრაფად, სულმოუთქმელად ავაჭრელე მთელი ორი გვერდი:

„ოთხასსამი ახალშეფოთლილი ნერგი შრიალებს ძმათა სასაფლაოზე, შინმოუსვლელთა პარკში. ოთხასსამი შინმოუსვლელის პირობითად დათქმული სამარე შეჰფენია ცივგომბორის მთის კალთას. ისინი ბრძოლის ველზე დაეცნენ, დაეცნენ მოსკოვთან თუ სტალინგრადთან, ქერჩთან თუ კავკასიონის მისადგომებთან, ოდერთან თუ ბერლინთან...

ბევრი მათგანი ახლაც კარგად ახსოვს შინმოუსვლელთა პარკის გვერდით მდგომ ბებერ კაკლის ხეს და ხავსმოდებული თიხის მილიდან მოჩუხჩუხე ცივ წყაროს.

აქ, ბებერი კაკლის ხის ჩრდილში, მწვანე მოლზე მიმსხდარი ვაჟკაცები პირველ სადღეგრძელოდ შინმოუსვლელთა მოსაგონარს ამბობენ. და მერე, როცა ქეიფის ეშხში შესულნი რიხიანად სჭექენ ძველქართულ „მრავალჟამიერს“, სიტყვაბარაქიანი თამადა ღვინით სავსე ჯამს ასწევს, ლაჟვარდ ცა-ფირუზს გრძნობამორეული თვალებით მიაჩერდება და სუფრაზე ჩამოვარდნილ სიჩუმეში ალალად ამბობს:

— მოდით, კაცებო, გაუმარჯოს ვაჟკაცის მკლავმარჯვენას, მრუდე ვაზებსა, ცის ნამსა, დედამიწის მოსავალსა!..

— გაუმარჯოს! — ერთხმად შესძახებენ თანამესუფრენი და მაღლა აწეული ჯამებიდან კამკამა ღვინო ნაპერწკლებს შეაფრქვევს ულრუბლო ზეცას. და ისევ აგუგუნდება ომახიანი ძველქართული:

— „არ გაიხაროს მტერმა ჩვენზედა, ნურც არა გაუხარია!“

მაისის სიო ანცად ეთამაშება უნეშტო საფლავებზე მდგარ ხეებს. ეს იმათი საფლავებია, რომლებმაც სიცოცხლის ფასად მოუპოვეს შთამომავლობას მშვიდობიანი შრომისა, სწავლისა თუ დროსტარების უფლება. საკუთარი სიცოცხლის ფასად, რადგან საუცხოოდ იცოდნენ თავისუფლების ფასი!..“

მერე დიდხანს ვღრღნიდი ფანქარს, მაგრამ, რამდენადაც იოლად, ძალდაუტანებლად გამომივიდა ეს შესავალი, იმდენად უფრო გამიჭირდა უშუალოდ შაქრო ძიაზე წერა. თითქოს ყველაფერი ცხადად მედგა თვალწინ: დაბომბილი ეშელონიც, ყალყ[illegible]ე შემდგარი და აფეთქებული ტანკებიც, ჰაერში შეჯახებული თვითმფრინავებიც, ტყვიის ალმაცერ წვიმაში შეტევაზე გადასული ოცეულიც, შაქრო ძია რომ მიუძღოდა წინ „ვაშას“ ძახილით... პირველი მძიმე ჭრილობა, ჰოსპიტლის მყუდრო კედლებში გატარებული გრძელი კვირეები, ისევ ფრონტი, ისევ ჭრილობა და ჰოსპიტალი. მერე გრძელი გზა და მშობლიური სოფელი.

ყველაფერი თვალწინ მედგა, სიტყვას კი ვერ ვაბამდი სიტყვაზე. ვდგებოდი, დავბორიალობდი ოთახში, ისევ ვიღებდი ხელში ფანქარს, მაგრამ ამაოდ. მერე სავარძელში ჩამომჯდარს ჩამთვლიმა კიდეც. იქვე მივწექი და მივნებდი ძილს.

ეტყობა, კარგა ხანს მეძინა. სიცივის უსიამოვნო შეგრძნებამ გამომაღვიძა. ამ დროს შემომესმა, ვიღაც მეძახდა. აივნიდან გადავიხედე. ჭიშკარს ქიტესა პაპა მოსდგომოდა ცხენიანი ურიკათი.

გაგრძელება. იხ. „პიონერი“ № 1.

„ასე ადრე რამ ამოიყვანა ვენახიდან!“ — გავიფიქრე და ეზოში ჩავვარდი.

— სოსო, საითა ხარ, ბიჭო, არ გესმის?!

— ახლავე, პაპავ, ახლავე, — შევეხმიანე და კარს ურდული გადავუგდე.

პირველი სულთანა შემოვარდა, რამდენჯერმე შემომახტა კუდის ქიცინით და დაიწყო ჩემს გარშემო უთავბოლო ტრიალი. ქურანამ ერთი ჩაიფრუტუნ-ჩაიხვიხვინა და ურიკა ეზოში შემოარახრახა.

ქიტა პაპა ძლივს ჩამოფორთხდა კოფოდან. თვალში მეცა მოხუცის ფერწასული სახე.

— ასე ადრე ამოსვლა რომ არ გიყვარდა, პაპავ?! – ფრთხილად შევაპარე მოხუცს.

— არ მოსულან ბაზრიდან? — კითხვა შემომიქცია მოხუცმა და ქურანას გამოხსნა დაიწყო.

— არა, არ ჩანან, — ვუთხარი მე.

— ბიძაშენ კოტესთან თუ გამოიარეს... აქამდე ბოდბისხევში რა უნდათ? — მხრები აიწურა პაპამ და ვიდრე ხელახლა ვკითხავდი, თვითონვე დაუმატა: — არ მიყვარდა ადრე ამოსვლა, მაგრამ, ეს ოხერი, რაღაც ვერა ვარ კარგად, კაცო! მოდი, გამოხსენი, შენს გაზრდას, მე ნუღარ მაწვალებ... ვიდრე წამოვწვები, ჩემი მემართება, ლამის წავიქცე... — და საჩეხისაკენ წალასლასდა. მომეჩვენა, რომ ჩვეულებრივზე უფრო კოჭლობდა.

„ჩანს, მართლა ვერ არის კარგად“ — შეშფოთებით გავიფიქრე და ფაცხაფუცხით დავიწყე ცხენის გამოხსნა.

ქურანა საბძლის წინ დავაბი, ქერი დავუყარე და ქიტა პაპას მივვარდი. მოხუცი ტახტზე პირაღმა იწვა, ხელი თავქვეშ ამოედო და მიმქრალი თვალებით ჭერს მისჩერებოდა.

— როგორ ხარ, პაპავ?

— ეჰ, აბა, რაღა როგორ ვარ, ჩემო სოსო, — ნელა დაიწყო პაპამ, — მომკლა ამ თავის ტკივილმა, ბიჭო... ვენახში უცებ თავბრუ დამესხა და გული იგრე გამიხდა, ვთქვი, ეგ არი და მომადგა მიქელ-გაბრიელი თავისი ცელით-მეთქი... რაკი იქ არ მოვკვდი, ეხლა არა მიშავს რა... მაგრამ ე თავი რომ ჩემი აღარ არის?! — შუბლზე ხელი დაიჭირა და თვალებში ოდნავ შესამჩნევი ღიმილი გაუკრთა, როგორც ეს წახუმრების წინ სჩვეოდა ხოლმე, — მართალია, დიდად განათლებული თავი არ მედგა, მაგრამ ჩემთვის იოლად ხომ გავდიოდი, არა?

— ნუ გეშინია, პაპავ, რა გული გაგიტეხია! — ვუთხარი სიცილმორეულმა.

— შენ რას მირჩევ, მაშ არ გავიტეხო გული?

— გულის გატეხვა როგორ იქნება!

— კარგი, მაშ არ გავიტეხამ!

მიხაროდა, რომ პაპა თავის ოხუნჯობას არ იშლიდა.

— წავალ, გოგია ექიმს ჩამოგიყვან! — გავუბედე, თუმცა კარგად ვიცოდი მისი ახირებული აზრი ექიმებზე. დაეჟინა, ეგენი ექიმები კი არა, მკითხავები არიან, არაფერი არ მწამს მაგათიო.

— ექიმი კი არა, ის არ გინდა?! — მართლაც გაწყრა პაპა. — მაიტა, ტელეგრეიკა წამახურე და წყალი გამიცხელე, ფეხები ჩავაწყო, სხვა არაფერი არ მინდა. ხომ იცი, ჩემი ექიმი რაც არის...

— წურბელები! — ვთქვი მე.

— ჰოდა, ხვალ, სკოლიდან რომ მოხვალ, ადი ტყეში და ჭყანტიდან რამდენიმე წურბელა ჩამომიყვანე. ხომ იცი, სადაც ვიჭერ ხოლმე?..

—როგორ არ ვიცი! გინდა ას ცალს დაგიჭერ!

— სამი ცალიც მეყოფა.

პაპას თავისი ქურთუკი წავახურე და ის იყო ელექტროქურაზე ვედროთი წყალი შემოვდგი, რომ ძახილი მომესმა:

— სოსო, ჰაი, სოსო!

„კუსპარას ხმაა!“—გავიფიქრე და ჭიშკარს მივაშურე. იქ მართლაც კუსპარა იდგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუსპარა ერთადერთი იყო, რომელიც მას შემდეგ, რაც კულაკმა ნატურალური გადასახადი დააწესა, მის მოტოციკლს ახლოს აღარ გაჰკარებია. იდგა ხოლმე შორიახლო და დამცინავი ღიმილით ისმენდა კულაკისადმი აღვლენილ ხვეწნა-მუდარას.

სხვების არ ვიცი და მე კი ამ ბოლო დროს როგორღაც ვეღარ ვიტანდი ამ ბიჭს. საშინელი ზემოქმედების ძალა ჰქონდა მის ღიმილს. შეხედავდი და ერთბაშად ფხიზლდებოდი, მზად იყავ უარი გეთქვა დამცირებული სიამაყის ფასად ნაყიდ სიამოვნებაზე. კუსპარა ჩემზე ოდნავ უფროსი იყო. საშუალოდ სწავლობდა. მათემატიკურ საგნებს მაგრე რიგად ვერ იტანდა. ათასში ერთხელ ორიანსაც ღებულობდა, მაგრამ მეოთხედის ბოლოს ერთბაშად მოიქექავდა თავს და არ მახსოვს, როდისმე ორიანი გამოჰყოლოდეს. მაღალ ნიშნებზე არ იქაჩებოდა, თორემ თამამად შეეძლო, ხუთოსანი თუ არა, ოთხოსანი მაინც ყოფილიყო. ნიშნების მიმართ საოცრად გულგრილი იყო. ორიანის გარდა, ყველა ნიშანს მისთვის თითქოს ერთი ფასი ჰქონდა. კითხვით ძალიან ბევრს კითხულობდა და ლიტერატურაში ხომ ხუთოსნებსაც არ უდებდა ტოლს. არ ვიცი, ჭორი იყო თუ მართალი, ოღონდ ხმები კი დადიოდა, ჩუმჩუმად ლექსებს წერსო კუსპარა, თუმცა მისი დაწერილი ლექსი ჯერ არავის ენახა.

საშუალო ტანის ბიჭი ეთქმოდა, ჩადგმული იყო და ჩამკვრივებული. ერთი შეხედვით ღონღლო, უშნო, მოუქნელი გეჩვენებოდათ, მაგრამ ვისაც ერთხელ მაინც ენახა, როგორ ბუმბულივით მოახუსხუსებდა ტყიდან ფიჩხის ვეებერთელა გუდურას, ვისაც ერთხელ მაინც ენახა ალაზნის ზოზინა ტალღებში მისი ჩახვეული მკლავური, არ დაეჭვდებოდა ამ ბიჭის საოცარ ღონესა და უნარში. ეგ კია, თავის გამოდება არ უყვარდა. სუსტთანაც და ძლიერთანაც ერთნაირად დამთმობი იყო, ჩხუბსა და აყალმაყალს ყოველთვის ერიდებოდა, მაგრამ ყველამ კარგად იცოდა, რომ მეტისმეტს ადვილად არავის აპატიებდა, ტყუილუბრალოდ თავს არავის დააჩაგვრინებდა და ვერც სხვის დაჩაგვრას მოითმენდა იოლად. მეტსახელს არასოდეს დაგიძახებდა. თვითონ კულაკსაც კი, რომლის წყალობითაც „კუსპარად“ მოინათლა, გარდა „განსაკუთრებული შემთხვევებისა“, თედო ყოველთვის გიგლას ეძახდა.

და აი, ჭიშკარი რომ გამოვაღე, სწორედ ეს კუსპარათედო შემომრჩა ხელში.

— პაპაშენი შინ არის? — მკითხა, როგორც კი ერთმანეთს მივესალმეთ.

— კი, ახლახან ამოვიდა ვენახიდან. შემოდი!.. შენ ალბათ ნარკვევის გამო...

— ჰო, ჰო, — შემაწყვეტინა და ჭიშკარში შემოაბიჯა.

— რაღაც ვერა ჩანს გუნებაზე... ცუდად გამხდარა ვენახში... ალბათ წნევამ აუწია.

—რას ამბობ! — გულწრფელად შეიცხადა კუსპარამ! — აბა გაგვიძნელდება ახლა ეგ საქმე. იქნება მერე სჯობდეს მოსვლა... — თქვა ყოყმანით და ფეხი შეაყენა.

— წამო, წამო, ვცადოთ მაინც! — წავაქეზე. თუმცა, რომ ვიცოდე ზოგზოგივით არ უყვარს მაინცდამაინც ომზე ლაპარაკი. არადა, რა ბრძოლები აქვს გამოვლილი! თითქმის ბერლინამდე იარა, წარმოგიდგენია?! ორ-

დენი და რამდენიმე მედალი აქვს მიღებული, — და, რაკი სახეს ვუახლოვდებოდით, ჩურჩულზე გადავედი, — შენ ვითომ არაფერი არ იცი, ისე დაუწყე...

— გამარჯობა, ქიტესა პაპავ! — მიესალმა კუსპარა.

— თვითონ გაგიმარჯოს, თუ კარგია! — მიუგო პაპამ და ახლაღა შემოხედა კუსპარას, — შენ ამირანას ბიჭი არა ხარ?

— გახლავართ! — მიუგო კუსპარამ და პაპას საწოლთან ტაბურეტი მოიჩოჩა.

— რაშია საქმე, თევდორე ბატონო? — ჰკითხა პაპამ.

— ჯერ ეგ გვითხარით, როგორა ხართ, პაპავ? — მოიკითხა კუსპარამ.

— ახლა არა მიშავს, ცოტა გადამიარა...

— კარგიაა! — თვალი ჩამიკრა კუსპარამ.

— თედოს ერთი სათხოვარი აქვს, პაპავ... — შევეშველე კუსპარას.

— ორი იყოს! თქვენი ხმალი და ჩემი კისერი! — თქვა პაპამ.

— აი, ამას წინათ რომ გეუბნებოდი, სკოლაში დაგვავალეს-მეთქი, ხომ გახსოვს, — შევახსენე პაპას, — შეხვედრა უნდა მოგიწყოთ ომის მონაწილეებს. თედოს შენზე წერილის დაწერა უნდა. გაიხსენე შენი ომისდროინდელი თავგადასავალი და მოყევი, მეტი არაფერი.

— იიჰ, მეც არა ვთქვი, მართლა რამეა-მეთქი! — ხელი დუნედ ჩააქნია პაპამ.

კუსპარამ უკვე რვეული ამოაჩოჩა პიჯაკის ჯიბიდან, მაგრამ უცებ პაპამ ცივი წყალი გადაგვასხა.

— ერთი თქვენცა! მოგცლიათ რაღა!

კუსპარამ დაბნევით და გაოცებით შემომხედა.

— ახლავე კი არა გთხოვთ... მაინცდამაინც — უთხრა პაპას, — აი, როცა გამოკეთდებით... ხვალ... ზეგ... სად იბრძოდით, სად დაიჭერით?..

— საქმე გამოლევიათ იმ თქვენს მასწავლებლებს! — შეაწყვეტინა მოხუცმა. — ომი იმისაა, შვილოსან, ან დაიჭრები, ან სულაც იქ დარჩები, თქვენ ჯვარი გწერიათ! ომი ომია, ბამბის პენტვა კი არ არის!

— მაგას როდი ვამბობთ, პაპაჩემო... — ჩავურთე მე.

— დაწერა აუცილებელია, პაპავ, — შეევედრა კუსპარა.

— სალაპარაკო და საწერი არაფერია, თქვენმა გაზრდამ! — მტკიცედ მოსჭრა პაპამ.

— გეხვეწებით, ქიტესა პაპავ, — უთხრა კუსპარამ, — როცა გამოკეთდებით, მაშინ მოვალ... იქნებ გაიხსენოთ ორიოდე ეპიზოდი...

— ჰმ, გაიხსენოთ, — ნაღვლიანად ჩაიცინა პაპამ, — გგონიათ ეგრე ადვილია გახსენება? ტყუილად ნუ მთხოვ, შვილო... ნუ გეწყინება... არ შემიძლია და რა ვქნა. ან რა საჭიროა ახლა, იმ ჯოჯოხეთზე ლაპარაკი და წერა.

— პაპავ... — ვცადე ჩარევა, მაგრამ მოხუცმა შეგეზრებული კაცის კილოთი მომიშორა:

— კარგით, კარგით, შემეშვით, თუ ღმერთი გწამთ!

კუსპარა წამოდგა. ფანქარი, რომელსაც ამ ხნის მანძილზე ხელში ატრიალებდა, პიჯაკის ჯიბეში ჩაიდო.

— აბა, კარგად ბრძანდებოდეთ, ბოდიში! — თქვა და ჩქარი ნაბიჯით გაეშურა ჭიშკრისაკენ.

უკან მივყევი, დავეწიე. ძლივს შევაჩერე.

— ე რა კაცი ყოფილა, ბიჭო! — მომაყარა გაცხარებით. — რას იმადლება ეგ დალოცვილი! რა მოხდებოდა ვითომ, ახლა რომ...

— ეგეთია და რას იზამ! აკი წინასწარ გითხარი...

— არ უნდა და ნუ უნდა, აი, დარდი! — აგდებით თქვა კუსპარამ. — შენ კი რაღაც ორდენები და მედლებიო, დამიწყე! მე თუ მკითხავ, მაგას მგონი სულაც არ უომნია. რაც არაფერი უნახავს და განუცდია, რას მოყვება!

— რას მიედ-მოედები! — ვუთხარი წყენით. — აბა, იმ ფეხის პატრონზე ეგრე ლაპარაკი შეიძლება?! [illegible] მითხარი, გიხდება ეგრე ლაპარაკი?!

— ძალიანაც მიხდება! — ჯიუტად მომიჭრა კუსპარამ. — რატომ გგონია, რომ ფეხი მაინცდამაინც გაცხარებულ ბრძოლებში დაკარგა?! ზედ ეტყობა, რაც ნაომარია!

— ეჰ, რა უნდა გელაპარაკო! — ვთქვი და გამოვბრუნდი.

— შენ თვითონ ვისზე დაწერე? — მომაყოლა ზურგსუკან.

— არ არის შენი საქმე, — არც მიმიხედავს, ისე მივუგე.

— მიდი, მიდი, შენს გმირ პაპას მიხედე, — მომესმა, ჭიშკარს რომ ვკეტავდი.

აკი გითხარით, საძაგელი ბიჭი იყო-მეთქი კუსპარა.

პაპას კარგა ხანს ეწყო ფეხები ცხელ წყალში. მერე ლოგინში ჩავაწვინე. ჩვენების მოლოდინში თვალები ჭიშკრისაკენ მაწყდებოდა. უკვე ბინდდებოდა, ისინი კი არ ჩანდნენ. არადა, ამაღამ კულტსახლში ახალი ფილმი გადიოდა. გუშინ პაჭანა აქებდა, სულ ომზეაო. ვფიქრობდი, კინოდან დავბრუნდები თუ არა, ცხელ-ცხელი შთაბეჭდილებების წყალობით შაქრო ძიას ბრძოლებსაც უფრო იოლად ავწერ-მეთქი. ეგეც არ იყოს, მგონი ეს უფრო მექაჩებოდა გარეთ — არ მინდოდა მთელი საღამო შინ გამეტარებინა. მესამე დღეა, ყოველნაირად ვუფრთხოდი და გავურბოდი მშობლებთან სიახლოვეს, ვიდრე რაიმე გადაწყვეტილებას მივიღებდი. გადაწყვეტით კი ვერაფერი გადამეწყვიტა. სულ უფრო და უფრო მეტად მიპყრობდა სურვილი სიმართლის გაგებისა, თუმცა კვლავინდებურად მაშინებდა და მაფრთხობდა ეს იდუმალებით მოცული სიმართლე. სიმართლე კი აქვე იყო, ჩემს გვერდით, ჩემს ირგვლივ... იგი ალბათ ყველამ მშვენივრად იცოდა, ჩემს გარდა.

თუნდაც აი, ქიტა პაპას, ხომ არ შეიძლებოდა იგი არ სცოდნოდა. მაგრამ მიჭირდა ამ საკითხზე სიტყვის ჩამოგდება. ეგ კია, ახლა პაპა არ იყო ლაპარაკის ხასიათზე და მეც ვცდილობდი თავი არ შემებეზრებინა, — მერეც მოვასწრებ-მეთქი. ერთი რამ კი ჯერ კიდევ გუშინ გადავწყვიტე: ამ საიდუმლოების ქსელის რღვევა, ადრე თუ გვიან, მაინც პაპაჩემიდან უნდა დამეწყო...

ახლა კი ძალიან ვბრაზობდი — კუსპარა რომ ასე გაწბილებული გაუშვა. კუსპარა კი არა, მე სულ სხვა რამ მაჯავრებდა და პაპას პირდაპირ ვუთხარი:

— თედოს ჰგონია, რომ შენ ომში არც კი ჰყოფილხარ!

— შემომყარა ახალი ბოლმა! — ჩაიცინა პაპაჩემმა. — ეგონოს, მერე შენ რა გენაღვლება!

— რატომ უნდა ეგონოს! — გავცხარდი. — იბრძოლე, სისხლი დაღვარე, ორდენიც კი მიგიღია! იმან კი შეიძლება მთელი სკოლა, მთელი ქვეყანა შეყაროს, სოსოს პაპას არც კი უბრძოლიაო, და იქნებ შეხვედრაზე აღარც კი მიგიწვიონ!

— მაგაზე დამდგომია ჯავრი!

— აგერ, შაქრო ძიამ ისეთი რამეები მიამბო...

— ეგ რომელმა? — დაინტერესდა პაპა.

— ნოქარმა, გიგლას მამამ.

პაპა უცებ საგრძნობლად გამოცოცხლდა, მოცინარი თვალები მომაპყრო და მეკითხება:

— რაო, მაინც?.. ალბათ იმასაც მოგიყვა, ხელში როგორ დაიჭრა, ხომ? უკვე დაწერდი კიდეც, გეტყობა!

— მხოლოდ დავიწყე... მინდა კარგად დავწერო და არ ვიცი, რა გამოვა:..

პაპამ მაჯა დამიჭირა და სერიოზულად მითხრა:

— აბა, მოდი, იცი რას გეტყვი? ძალიან თავს ნუ გაიტანჯავ, არ ღირს!

— როგორ თუ... რისი თქმა გინდა?...

— უბრალოდ, არ ღირს მაგაზე. ტვინის ჭყლეტა და მელნის ხარჯვა, გაიგე? შაქროს თოფიც არ გაუსვრია ომში. ჯერ იყო და, ომის პირველი ორი წელი საველე საწყობებში იძრომიალა ვირთხასავით... თანაც იმდენი ჭკუა უხმარია, რომ რამდენიმე ამანათის შინ გამოგზავნაც კი მოუხერხებია. მერე როგორღაც გამოუჭერიათ, საწყობიდან გამოუპანღურებიათ და პირდაპირ წინა ხაზზე უკრავთ თავი. აქ კი პირველივე ბრძოლაში, როცა სანგრებს ზემოთ ტყვიის წვიმა ყოფილა გაცხარებული, იმდენი უმარჯვნია, რომ სანგრიდან ხელი ამოუყვია და ტყვიისათვის შეუგებებია. ვინ რას გაუგებდა, განგებ იყო თუ უგანგებოდ. ამით დამთავრებულა მისთვის ომი!

— ეგ რა მითხარი, პაპავ! — შევძახე გაოცებულმა.

მაგრამ ჩვენი საუბრის გაგრძელება აღარ მოხერხდა· უცებ სულთანა გააფთრებით აყეფდა და ეზოში გავედი.

ჩემს დანახვაზე სულთანა უფრო გაცხარდა და ჭიშკარს ეკვეთა.

— ჰაი, შალიკო! — მოისმა ჭიშკარს გადაღმა.

ძაღლი ჭიშკარს მოვაშორე და გარეთ გამოვედი. ღობესთან ორი ლანდი ატუზულიყო. გავედი თუ არა, ორივენი ნელა დაიძრნენ ჩემკენ. ჯერ არცთუ ისე ბნელოდა და სოლიკო, ჩვენი მაღაზიის ნოქარი, მაშინვე ვიცანი. მისი დანახვა მაგრერიგად არ გამკვირვებია, უფრო მისი ძმის — ეშვიანი კოლას დანახვამ გამაოცა.

— მამაშენი შინ არის? — მკითხა სოლიკომ.

— ბაზარშია, არ მოსულა, — მივუგე მე.

— აქამდე ბაზარში რა უნდა! — გაოცდა ეშვიანი.

— კარგი, სოსო, მერე გამოგივლით, — თქვა სოლიკომ და გაბრუნდა.

ის იყო მეც შემობრუნებას ვაპირებდი, რომ ეშვიანმა ძმას გადაულაპარაკა:

— აგერ, მგონი მოდის კიდეც!

ზევიდან მართლაც მამაჩემი მოდიოდა. შორიახლოს დედაჩემი მოსდევდა.

სოლიკო და ეშვიანი იქვე შეჩერდნენ და პაპიროსებს მოუკიდეს.

— გამარჯობათ! — თქვა მოახლოვებულმა მამაჩემმა და ჩანთა დაუშვა.

— რა ძაან დაიგვიანე, აქამდე ბოდბისხევში რა გინდოდა! — შეაგება ეშვიანმა ღიმილით.

— სახლიკაცთან გამოვიარე, თორემ აქამდე რა მინდოდა, — თქვა მამამ. — საქმე გქონდათ რამე?

— ჰო, სალაპარაკო გვაქვს პატარა... — ჩაიბურტყუნა სოლიკომ.

— შემოდით სახლში, — თქვა მამამ.

— არა, რაღაზე შემოვიდეთ, აქ სჯობია... — თქვა ისევ სოლიკომ.

ამ დროს დედაჩემიც მოვიდა. დამხვდურთ როგორღაც ცივად მიესალმა და მაშინვე მე მომიტრიალდა, თავზე ხელი მომისვა და ჩაილაპარაკა:

— წამოდი.

— ჩანთა გაიყოლე ბარემ, — მითხრა მამაჩემმა.

თქმა რად მინდოდა, უკვე ჩანთის ასაღებად ვიყავი დახრილი.

— პაპა ვერ არის კარგად, — ვუთხარი დედას, როცა წამოვეწიე.

— რა მოუვიდა? — შეშფოთებით იკითხა დედამ.

— ისეთი არაფერი, — მივუგე ცხვირის ცემინებით, — მაგისი ავადმყოფობა ხომ იცი... ახლა უკეთაა, — დავამშვიდე.



— შენ თვითონ როგორ ხარ? — მკითხა დედამ და შეჩერდა.

— მე რა მიჭირს?!

— რა ვიცი, დილას გული კი გამიხეთქე და! — თქვა

დედამ და ხმაში კანკალი შეუდგა, — ბორგავდი, შფოთავდი ძილში... რაღაც გაწუხებს და მიმალავ, სოსო...

— რას უნდა გიმალავდე... არაფერიც არ მაწუხებს!

სუსტი, ალერსიანი ხელი მხარზე მომხვია და თავისკენ მიმიზიდა. ერთხანს უხმოდ მისრესავდა თმებს. იშვიათად იცოდა ასეთი მოფერება, მაგრამ ადრე არასოდეს წამითაც კი არ დავეჭვებულვარ იმაში, რომ მას საკუთარ თავზე მეტად ვუყვარდი. დავეჭვებულვარ კი არა, საერთოდ არც კი მიფიქრია ამაზე, ალბათ იმიტომ, რომ თვითონ მიყვარდა საკუთარ თავზე მეტად, ახლა კი...

უხერხულად ვიშმუშნებოდი მის მკერდზე თავმიყრდნობილი და უსიამო ეჭვები მიღრღნიდნენ გულს. „თოთხმეტი წელი მატყუებდი ასე, თოთხმეტი წელი. ვითომცდა ძალზე გიყვარდი! რატომ უნდა გიყვარდე სხვისი გაჩენილი... სხვისი სისხლი და ხორცი! ყველანი მატყუებდით, შენც, მამაც, პაპაც... ყველანი! რომ გკითხოთ, არც ახლა მეტყვით სიმართლეს! მე კი მაინც გავიგებ, მაინც, ჩემი ნამდვილი დედის ვინაობას; მოვნახავ, მივაგნებ და იმას ჩავეხუტები — ჩემს ნამდვილ დედას! ოღონდ კი ცოცხალი აღმოჩნდებოდეს სადმე, მოვნახავ, მივაგნებ. თუ არადა... იქნებ არც ღირდეს ასე სიცოცხლე“...

სულ მცირე ხანმა, შესაძლოა, ნახევარმა ან ერთმა წუთმა განვლო ამ ყოფაში. ამ უსიამო ფიქრებმა არეულად გამიელვეს გონებაში და ერთბაშად გაქრნენ კიდეც. მერე იმ ხელს, თმებს რომ მიჩეჩავდა, კვლავ დაუბრუნდა ნაცნობი სითბო, ხოლო ის ხმა: „ჩემი სულელი, ჩემი ჭკვიანი ბიჭიო“, — ამ აკვიატებულ ფრაზებს რომ იმეორებდა, ისეთი სულისშემძვრელი გრძნობით, ისეთი ანკარა სიწრფელით აჟღერდა, რომ ტკივილამდე შემიკუმშა გული.





ნიკაპი თავისთავად ამითამაშდა და გამიჭირდა თვალზე მომდგარი ცრემლის შეკავებაც. კიდევ კარგი, დედამ ერთხელაც მომიტყაპუნა მხარზე ხელი და პაპას ოთახს მიაშურა.

მარტოდ დარჩენილმა კიბეს მოვუარე, სახლის უკანა კედელს მივეყრდენი და შვებით ავტირდი. საიდანღაც სულთანა გაჩნდა, ჩემს წინ ჩაყუნცდა და ძაღლური ცნობისმოყვარეობით შემომაჩერდა. მერე შეიწკმუტუნა და ფეხზე გაუბედავად მომქაჩა.

— არაფერია, ჩემო სულთან, არაფერი, — ძაღლს ყურები მოვუსრისე, კედელს დავუყევი და შეშის ნარჩენ წყობაზე ჩამოვჯექი. სულთანამ მუხლებში ჩამიდო თავი და ნეტარებით გაილურსა.

გაზაფხულის გრილი საღამო იყო. ბინდი სულ უფრო მუქდებოდა და შემაღლებული მთვარის შუქზე ეზოში მკრთალად იხატებოდა ახალშეფოთლილი ხეთა აჩრდილები. ლეღვის ტოტებზე შეხუნძლული ქათმები ჩუმად კრიახ დნენ. საბძლის წინ ცხენის მუქი სილუეტი ირხეოდა დროდადრო. ქვევით, ბაღჩების ბოლოს, თავდავიწყებით გალობდა ბულბული. საიდანღაც ხანდახან გუგულის მოძახილიც სწვდებოდა სმენას.

და უცებ ამ გარინდებიდან მამაჩემის შემაღლებულმა ხმამ გამომიყვანა. მისი ნათქვამი წესიერად ვერ გავარ-

ჩიე. წამოვვარდი და მაშინვე, სამიოდე ფრთხილი ნაბიჯით ღობესთან გავჩნდი, სმენად ვიქეცი.

— რა გაყვირებს, შე კაი კაცო! — მომესმა სოლიკოს ნათქვამი.

— რაც ბევრს იყვირებს და იხტუნებს... — ეს ეშვიანის ხმა იყო, მუქარითა და ირონიით სავსე.

— რაო, ვაჟბატონო, იმუქრები თუ? — ჩაიცინა მამამ.

— მაგას რას უყურებ, — უთხრა სოლიკომ, — საქმეზე ვილაპარაკოთ... შენ მე მისმინე, კაცო!

— გისმინეთ და პასუხიც გითხარით,— შეაწყვეტინა მამამ.

— მაშ არ იზამ არაფრით? — ჩაეკითხა ეშვიანი.

— არა! — მტკიცედ თქვა მამამ.

წუთით სიჩუმე ჩამოვარდა. მერე ისევ სოლიკომ დაიწყო, ნელა, სიტყვების ღეჭვით:

— შალიკო, ბოლოს და ბოლოს, ჩვენც ხალხი ვართ, ვაჟკაცური სიტყვა გითხარი და ვაჟკაცურადაც გამიგე. უცხოები ხომ არა ვართ, შე დალოცვილო, რა არი! ჰა, ათას ხუთასი იყოს! — ჩურჩულზე გადავიდა სოლიკო, — ნახევარი ჩემგან, ნახევარი — შაქროსაგან. ოღონდ როგორმე ჩაფარცხე ეგ საქმე და... იმ ქალის ამბავი მე მკითხე, სამასი მანეთიც რომ მიუგდო, გაჩუმდება! ვიცი, გაგებული ქალია. გუშინ ერთი ისეთი გადაგვიკრა მე და შაქროს...

— მე ასეთი გაუგებარი ვარ და რა გიყოთ, აბა?! — მშვიდად თქვა მამაჩემმა.

— მაგას ვინ გკადრებს, კაცო, — მიეფერა ეშვიანი.

— დანაკლისს მთლიანად დავფარავთ, — ისევ ჩურჩულით განაგრძო სოლიკომ, — ოღონდ ფასების დარღვევაზე და იმ უფაქტურო საქონელზე გაჩუმდი, ხომ იცი, მაგას რა სუნი უდის...

— ვიცი, — თქვა მამამ.

— ჰოდა, გემეტებით ახლა სამაგისოდ? — ხმა გაებზარა სოლიკოს.

— სამუშაოდან დაგითხოვენ, — „დაამშვიდა“ მამამ.

— მაგრე იოლად ვერ გამოვალთ მაგ საქმიდან, — ჩავარდნილი ხმით ჩაილაპარაკა სოლიკომ.

— ეგეც იცოდე, თუ სახლიკაცს საციხედ გამიხდი... ხმას აუწია ეშვიანმა.

— რაო? — ჩაიცინა მამაჩემმა.

— თვითონაც კარგად იცი! ცოტა მიკეცია, განანებ!

— კარგად იყავით! — თქვა უცებ მამამ და ჭიშკარს მოაწვა.

— მოიცა, შალიკო! — წამოიძახა სოლიკომ, — გამომართვი!.. — მის ხმაში ერთდროულად ისმოდა თხოვნამუდარაც, მუქარაც, ბრძანებაც...

— შემეშვი, რას მეჯაჯგურები! — გული მოუვიდა მამაჩემს.

„ემანდ არა აუტეხონ რა!“ — გამცრა ტანში და სხეული დამეჭიმა.

— შალიკო! — სასოწარკვეთით წამოიყვირა სოლიკომ.

— გაუშვი, წერას არის ატანილი! — ამოიხრიალა ეშვიანმა.

— გული ნუ გამიხეთქე, თუ კაცი ხარ! — მიუგო მამამ.

ჭიშკარმა გაიჭრიალა და მამაჩემის მსხვილმა სილუეტმა აუჩქარებლად გადასერა ეზო.

— მართლა წერას არის ატანილი! — ჩაილაპარაკა ეშვიანმა.

— მეტი რაღა ჩემი ფეხები უნდა! — თქვა სოლიკომ.

— ხომ გითხარი, ორი ათას მანეთზე ნაკლებ არ იზამს-მეთქი! — უთხრა ძმამ. — იცოტავა, ვერ შეატყვე? უცოდველად და მიამიტად კი მოაქვს თავი. დებილი რომ არ იყოს, ამდენ ფულზე უარს იტყოდა?!

— ხვალ მოვტეხავთ მე და შაქრო, ვერ გაუძლებს ცდუნებას! — იმედიანად განაცხადა სოლიკომ.

ისინი ორღობეს აღმა შეუყვნენ.

— ჯანდაბას, დაადეთ ხუთიც და მიაგდეთ, თორემ ნაღდად გაგაფუჭებთ, ეგ იმისთანა ის არის!

მათი ხმა ერთბაშად მიწყდა ორღობეში.

●

მამა ქიტა პაპას საწოლზე ჩამომჯდარიყო და ჩაფიქრებით ჩასცქეროდა იატაკს. ჩემს შესვლაზე თავი აიღო და ღიმილით შემაგება:

— სად დადიხარ, ჭაბუკო?

— არსად... — დავიბენი და ვიგრძენი, როგორ ამელანძა სახე. შემრცხვა, რომ წეღან ჩემდაუნებურად გავხდი იმ საიდუმლო თათბირის უჩინარი მოწმე და, ეს შემბოჭავი გრძნობა რომ თავიდან მომეშორებინა, პირდაპირ პაპას მივადექი:

— როგორა ხარ, პაპავ?

— თითქოს არა მიშავს, — თქვა პაპამ, — წურბელები კი მაინც უნდა მოვიკიდო ხვალე, თორემ...

— ხვალ თუნდა ასს ჩამოგიყვან! — დავაიმედე წელანდელივით.

— ეჰ, ასი არ მინდა, ნეტა სამ ცალს მაინც დამიჭერდე და!

— რაზე უნდა აწვალო ბიჭი, — ჩაერია დედა, რომელიც კუთხეში მიმჯდარიყო და პაპას ხალათს უკემსავდა, — აფთიაქშიც იქნება წურბელები!

— აფთიაქის ჭირიან წურბელას რა ველაპარაკო! — ჩაიცინა პაპამ.

— უცნაური კაცი ხარ, მამაჩემო, — უთხრა მამამ, — წურბელა წურბელაა!

— შენ ეგ მითხარი, — მოგვიანებით შეეპასუხა პაპა, — მაინც რა მოელით მაგ პარაზიტებს?

— დანაკლისს დააფარინებენ და მაღაზიიდან გაყრიან, სხვა რა უნდა იყოს! — ყოყმანით თქვა მამამ.

— არ დაიჭერენ ვითომ? — იკითხა დედამ.

— არ ვიცი... არა მგონია... — ენის ბორძიკით ჩაილაპარაკა მამამ,—თუმცა ესეც დამსახურებული აქვთ!..

— მაშ ათას ხუთასიო, ჰა? — ჩაიცინა პაპამ.

გაოცებით შევხედე მამას. ნუთუ შემოვიდა და ყველაფერი ჩამოყაჭა?! ალბათ სამივემ მოილაპარაკეს, დათანხმდეს ათას ხუთასზე, თუ ცოტა კიდევ გამაგრდეს და წაამატებინოს? მაშ აქ არავითარი საიდუმლოც არ ყოფილა! მე კი ზოგი რამ მეტიც ვიცი ამ საქმეში. რისთვის შევინახო?

— ეგ კი არა, ორი ათასზეც თანახმანი არიან. — წამოვიძახე, — თვითონ თქვეს, — მივუბრუნდი მამაჩემს, რომელსაც ერთბაშად თვალები გაუფართოვდა და მკაცრი მზერა მომაპყრო. მაგრამ ახლა ამას არად ვაგდებდი — მე ხომ დიდი საიდუმლო უნდა გამენდო მისთვის, შემემზადებინა სახვალიოდ, რათა მოტყუებული არ დარჩენილიყო, იოლად არ წამოგებოდა იმათ ანკესზე. — შენ რომ წამოხვედი, ერთმანეთს უთხრეს, ისა... სოლიკომ უთხრა, ისაო... — და უცებ ენა დამება, მამაჩემის თვალები ახლა უკვე გაოცებით კი არა, რისხვით შემომცქეროდნენ.

— შენ რაო, მაშ ყველაფერი გაიგონე? — ჩამეკითხა მამა.

— გავიგონე — მივუგე ნირწამხდარმა.

მამამ მკლავში ჩამავლო ხელი და მაგრად მომიჭირა.

— როდის აქეთ ისწავლე ჩუმად ყურის გდება, ჰა? — ხმას აუწია და მომქაჩა.

დედას გავხედე, რომელსაც საკერავი მივიწყებოდა და შემკრთალი მოგვჩერებოდა.

— შემთხვევით მოუკრავს ყური, საგანგებოდ კი არ მოგაყურადებდათ, კაცო. თავი ანებე მაგ ბალღსა! — თქვა პაპამ.

— ჰო, პირველად შემთხვევით, — ვთქვი მე, — მერე კი საგანგებოდაც!

სულაც არ ვაპირებდი მობოდიშებას. ახლა იმან გამაცხარა, რომ სამივემ ყველაფერი იცოდა, მე კი, მათი აზრით, არაფერი მესაქმებოდა. მე არაფერი არ უნდა მცოდნოდა, მე ხმის უფლება არ მქონდა, მაშასადამე, ოჯახის წევრადაც არა მთვლიან-მეთქი, — დავასკვენი.

„ისიც გეყოფათ, რომ ამდენ ხანს მატყუებდით!“

— კარგი, რა გაეწყობა, — ხელი შემიშვა მამამ. — ბარაქალა შენს ბიჭობას, თუ მიყურადებაც გისწავლია! ოღონდ გვირჩიე მაინც, როგორ მოვიქცეთ ახლა, ჰა?

მე, რა თქმა უნდა, ვერ მივუხვდი ირონიას.

— რა საკითხავია! — წამოვიძახე გათამამებულმა, — ყველა კეთილი და ჭკვიანი კაცი აქ უცებ გადაწყვეტს საქმეს!

— ბიჭოს! — წამოიძახა პაპამ.

— შენ ხომ სულგრძელი და გულკეთილი კაცი ხარ?! — ვუთხარი მამას.

— გმადლობ, შვილო. მერე? — მამა სერიოზული სახით მომჩერებოდა, მე კი უფრო გამათამამა მისმა სიტყვებმა და აღგზნებულმა განვაგრძე:

— ახლა იმათი ბედი შენს ხელშია, გინდა გადაარჩენ, გინდა დაღუპავ, და ეს თვითონაც კარგად იციან! კი მაგრამ, რატომ უნდა დაღუპო იქ, სადაც შველა და გადარჩენა შეიძლება? შენგანვე გამიგონია, გაჭირვებულს დახმარების ხელი უნდა გაუწოდოო, იხსნაო, გადაარჩინოო... მაშ იხსენი გაჭირვებულნი! თუ აპატიებ, უცებ ორი ათას მანეთს მიიღებ, მაშასადამე, სულ მალე „ვოლგა“ გეყოლება. დაღუპვას თუ მოუნდომებ, ავკაცობის მეტი არაფერი შეგრჩება, ცოდვასაც დაიდებ და კაპიკსაც ვერ იშოვი! ჰოდა...

— გეყოფა! — იყვირა უცებ მამაჩემმა და ყბაში გამეტებით გამაწნა სილა.

იმდენად არ მტკენია რამდენადაც მეწყინა. დამეფიცება, ისე გავიზარდე, მამაჩემისაგან ერთი გარტყმაც კი არ გამახსენდებოდა, ახლა კი...

განა რა ვთქვი ისეთი? განა იგივეს არ ფიქრობენ თვითონაც, დედაც, პაპაც? ისეთი რა დავაშავე?

— ეს რა ქენი? — იყვირა დედამ და წამსვე ჩემთან გაჩნდა, მაგრამ მამა არ ფიქრობდა ხელის მონაცვლებას. სანამ დედა მკერდზე მიხუტებდა და ალანძულ ლოყაზე ხელს მისვამდა, სანამ გამწარებით ვყლაპავდი მოგუბებულ ცრემლებს, მამაჩემი გაცხარებით იქნევდა ხელებს და აღშფოთებით იძახდა:

— საოცარია, ღმერთმანი, საოცარია, რამ გაუჩინათ ამ ლაწირაკებს ამისთანა გულისამრევი აზრები. შენ ერთს ეუბნები, ესენი მეორეს გებულობენ! შენ ეუბნები, რომ კეთილი და სულგრძელი უნდა იყო, გაჭირვებულს უნდა დაეხმარო და სხვა ამისთანები... მართალი და პატიოსანი კაცი უნდა იყო! მორჩა და გათავდა! ესენი კი... — და უცებ მე მომიბრუნდა: — თქვენ კი, ეშმაკმა უწყის, საიდან გაგიჩნდათ ეს უცნაური არშინები ყოველივე ამის საზომად, სიკეთესა და ბოროტებას რომ ველარ არჩევთ ერთმანეთისაგან!

— კარგი ახლა, შე კაი კაცო, რა მოხდა... — სცადა დამშვიდება დედამ.

— მეტი რა უნდა მოხდეს! — არ ცხრებოდა მამა, — ხედავ, რა მარგალიტებს აფრქვევს? რა სალად, რა ბრძნულად აზროვნებს, ხედავ? შაქროსა და სოლიკოსთანა არამზადები ყოფილან თურმე ის გაჭირვებულნი, რომელთაც დახმარების ხელი უნდა გაუწოდო, სულგრძელად შეუნდო, იხსნა! სამაგიეროდ, ინებე ორი ათასიო! მთავარი ფულია! „ვოლგა“ მომინდომა!

— შენ არა თქვი მანქანა უნდა ვიყიდოო?! — შევახსენე გაუბედავად.

— მერე, განა შალიკოსა და სოლიკოს არმად ნაშოვნი ფულით უნდა ვიყიდო-მეთქი! — შემომიტია მამაჩემმა. — ის თუ ჰკითხე შენს თავს, საიდან აქვთ ამდენი ფული? საიდან და — სოფელს ძარცვავენ, ხალხს ატყავებენ, საკუთარ დუქნად გადააქციეს მაღაზია და ქურდობით ისქელებენ ჯიბეს. ჯერ მარტო ათი ათასი მანეთის უფაქტურო საქონელი რად ღირს, დარჩეული, საუცხოო! მერე არ იკითხავ როგორ ჰყიდიან? — მამასისხლად, ორმაგ ფასად!

— ან როგორ ახერხებენ ასეთი საქონლის გამოტანას! — წამოიძახა პაპამ.

— თბილისში, ბაზებში ჰყავთ ამფსონები! — მიუგო მამამ.

— დიდი ხანია მოსაშორებელნი იყვნენ ეგ ყაჩაღები, მთლად თავს გავიდნენ, — თქვა დედამ.

— ჰოდა, მოშორდებიან კიდეც! — მტკიცედ განაცხადა მამამ და წამოდგა. — თავიანთ თავს დააბრალონ ყველაფერი!



# ბუნებისმოყვარულთა კონკურსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამასწინათ ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ბიოლოგიის კაბინეტმა კომკავშირისა და პიონერული ორგანიზაციისათვის ვ. ი. ლენინის სახელის მინიჭების 50 წლისთავთან დაკავშირებით მოაწყო მეტად საინტერესო კონკურსი — გამოფენა. რაღა არ იყო იქ: დეკორატიული და მგალობელი ფრინველები, სააკვარიუმო თევზები, წყლის მცენარეები, ულამაზესი ყვავილებისაგან შედგენილი საუკეთესო თაიგულები, ყვავილოვანი კალათები, კაქტუსების კოლექციები და სხვ... კონკურსმა მრავალი თავგამოდებული ბუნების მოყვარული გამოავლინა, რომელთაც საუკეთესო ექსპონატები ჰქონდათ გამოფენაზე წარმოდგენილი.



ჩვენი ჟურნალის პრიზი მიიღეს უჯარმის რვაწლიანი სკოლის ბუნებისმეტყველებმა. ისინი ერთი წლით უფასოდ მიიღებენ ჟურნალ „პიონერს". ამ სკოლის ბუნებისმეტყველებმა მოკრიფეს და აფთიაქს ჩააბარეს 80 კგ. ასკილი; დამზადების პუნქტს — 400 კილო ხილ-კენკროვანი; სატყეო მეურნეობას — 4,5 კგ ცაცხვისა და იფნის თესლი; არდადეგების პერიოდში მეურნეობაში გამოიმუშავეს 150 კაცდღე... (პიონერხელმძღვანელი — დალი რევაზიშვილი, ზოოლოგიის მასწავლებელი — როზა პაპავა, გეოგრაფიის მასწავლებელი — მარიამ მიკიჩაშვილი). სურათზე თქვენ ხედავთ უჯარმის რვაწლიანი სკოლის მოსწავლეებს, რომლებმაც საქალაქო კონკურსში მიიღეს მონაწილეობა — მზია რევაზიშვილი, მანანა მელაშვილი, თამარ დათუაშვილი, გივი ხარაზიშვილი.

მალულად ვუჭვრეტდი მამას და ვგრძნობდი, რომ სულ აღარ ვბრაზობდი წეღან გაწნული სილის გამო.

იმ ღამეს ლოგინი პაპას ოთახში მდგარ ძველებურ საწოლზე გავაშლევინე დედას. მაშო ბებიას გარდაცვალების შემდეგ არაერთი ღამე გამითევია მისეულ ტახტზე: ბოლო დროს პაპამ მოუხშირა ავადმყოფობას და ამ დროს, ცხადია, მას მარტოდ არ ვტოვებდით. ამჯერად პაპა არც ისე ავად იყო, თავიც ნაკლებად სტკიოდა, მაგრამ წინ ხომ გრძელი ღამე იყო და ვინ იცის, რაში დავჭირდებოდი. ეგეც არ იყოს, თვითონაც განსაკუთრებით მიყვარდა ბებიასეულ ტახტზე წოლა; აქ, ამ ოთახში, საოცარი სიცხადით ამეტყველდებოდნენ ხოლმე სურათები, რომლებშიც მეხსიერების დაუძაბავადაც ცოცხლად ვხედავდი ბებიის სუსტ, კაფანდარა, მუდამ მოძრავ და დაუდეგარ ორეულს.

— ახლა როგორ შეგარიგოთ შენ და მამაშენი, ჰა? — თქვა პაპამ სიცილით, როცა სინათლე ჩავაქრე და საბანქვეშ შევძვერი.

ვიდრე რაიმეს მოვიფიქრებდი პასუხად, პაპამ ნიშნისმოგებით განაგრძო:

— ისე, ახი კი იყო შენზე, მე და ჩემმა ღმერთმა! ეგ ბრძნული აზრები რამ წამოგაფრქვევინა მაინც? მეგონა უკეთესად იცნობდი მამაშენს!

გულმა უცებ ბაგიბუგი დამიწყო. მოუსვენრად ავწრიალდი ლოგინში და გადავწყვიტე — ყველაფერს გამოვკითხავ-მეთქი პაპას.

— მამაჩემი რომ იყოს, იქნებ მცნობოდა კიდეც უკეთესად!

— რაო, როგორა თქვი? — ცოტა მოგვიანებით შემეპასუხა მოხუცი.

ჯერ კიდევ შემეძლო საქმის შეტრიალება. ჯერ კიდევ შემეძლო რაღაც ისეთი მეთქვა, რომ ჩემი სიტყვები უწყინარ ხუმრობაში გადამეზარდა, მაგრამ უკვე მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი — რაც არის, არის, სადაც წვრილია, იქ გაწყდეს, ყველაფერს ვეტყვი-მეთქი პაპას. ახლა მხოლოდ ერთი იყო მთავარი, როგორმე შემეხსნა ეს ცხრაკლიტული, რომლის იქითაც ის იდუმალებით მოცული სიმართლე იმალებოდა; როგორმე მომერგო გასაღები. წინასწარ ვიცოდი პაპა იოლად არ გამიხსნიდა გულს, ამიტომ ვერ გადამეწყვიტა გრძელი გზით შემომევლო, წუხანდელი სიზმრით შევდგომოდი საქმეს თუ პირდაპირ, ჯიქურ დამეწყო.

კარგა ხანია უხერხული სიჩუმე ჩამოწვა და რჩევის დრო აღარ იყო. უცებ გადავწყვიტე ერთბაშად მიმეტანა იერიში, მოულოდნელად დავსხმოდი თავს და ისე დამებნია, რომ მწყობრიდან გამომეყვანა, სულის მოთქმის საშუალება აღარ მიმეცა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)




ამ რამდენიმე ხნის წინათ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში რესპუბლიკის კომკავშირული აქტივის კრება მიმდინარეობდა.

ტრიბუნაზე ერთმანეთს სცვლიდნენ მოწინავე ქალიშვილები და ჭაბუკები. სათქმელიც ბევრი ჰქონდათ, საამაყო და ანგარიშგასაწევი. მიღწეულის გაანალიზებასთან ერთად მომავლის გეგმებსაც სახავდნენ, თანატოლთა სამსჯავროზე გამოჰქონდათ ნანახი, განზრახული...

აშკარად ჩანდა: გზას იკვლავდა 70-იანი წლების თაობა, რომლისთვის უცხოა სიძნელეთა წინაშე უკან დახევა, და რომელიც მხოლოდ წინააღმდეგობათა გადალახვით მიიწევს საკუთარი მიზნების საბოლოო გამარჯვებისკენ.

ყველაზე მაღალი ფასი კი, ცნობილია, მხოლოდ დაბრკოლებათა დაძლევის შედეგად მოპოვებულ გამარჯვებას აქვს..

დარბაზში აქა-იქ თმაშევერცხლილ ადამიანთა კმაყოფილი სახეებიც ჩანდა. იოლი მისახვედრი იყო: მათ კანონიერ სიამაყეს იწვევდა მემკვიდრეთა ღირსება, მათი ცოდნისა და გამოცდილების სიუხვე.

სიტყვა მისცეს...

ტრიბუნისკენ მაღალი კაცი წავიდა. თეთრი თმა გვერდზე გადაევარცხნა, ცალ ხელში სათვალეს აწვალებდა, მოგრძო სახეს უმშვენებდა ნათელი შუბლი, რომელიც აშკარად აზრის სიღრმესა და სიწმინდეზე მეტყველებდა.

საუბარი აუჩქარებლად დაიწყო. კრების მონაწილენი სულგანაბულნი უსმენდნენ.

ლაპარაკობდა აკადემიკოსი ვიქტორ კუპრაძე — გამოჩენილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, ახალგაზრდობის დიდი მეგობარი და აღმზრდელი.

შემოდგომაზე თბილი ქვეყნებისკენ დაძრული წეროებივით ლაღად მოფრინავდნენ სიტყვები, ერთმანეთს მოსდევდნენ, ერთად იყრებოდნენ, უსურვაზივით ეხვეოდნენ ურთიერთს და მარჯვე ოსტატივით აქანდაკებდნენ აზრს, რომელიც მართლაც აბსოლუტური სიზუსტით გამოხატავდა მოსაუბრის ფიქრსა და მისწრაფებას, ახალგაზრდობის საქმეებზე დაუცხრომელ ზრუნვას.

,,ჩვენთვის, თქვენი მამებისა და პაპებისათვის, ვეტერანებისათვის, რომლებმაც მკაცრი წლები გადავიტანეთ, არაფერი არის უფრო ამაღელვებელი და სისხლხორცეულად მშობლიური, ვიდრე თქვენზე, თქვენს საქმეებსა და ინტერესებზე, თქვენს ყოველმხრივ განვითარებასა და სრულქმნაზე ზრუნვა და ფიქრი''.

დარბაზს სჯეროდა ნათქვამის სიწრფელე, პასუხად ჰქუხდა ხანგრძლივი ტაში.

ორატორი სიცოცხლით სავსე ქალიშვილებსა და ჭაბუკებს მოაგონებდა, რომ მათი ბედი განუყოფელია სამშობლოს ხვალინდელი დღისაგან, მამათა რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი




ვიქტორ კუპრაძე

ტრადიციებისაგან, წინაპართა მიერ ბრძოლით მოპოვებული გამარჯვებებისაგან.

,,თქვენს მხრებს დააწვება ზრუნვა და პასუხისმგებლობა ამ მიღწევათა დასაცავად, მათი საძირკვლების შეურყევლობისათვის, მათი გამრავლებისა და განვითარებისათვის''.

ორატორმა თაობათა ესტაფეტად კრების მონაწილეებს გადასცა წიგნი ,,სიტყვა ახალგაზრდობას'', — რესპუბლიკის ყველაზე დამსახურებული, ყველაზე აღიარებული ადამიანების რჩევადარიგებათა კრებული — და ფიცივით ძვირფასი ქალიშვილებისა და ჭაბუკების საპასუხო სიტყვაც.

ჰქონდა ამის უფლება, — საკუთარი ნიჭით, შრომით, ქვეყნისადმი უსაზღვრო ერთგულებით დამსახურებული.

ამიტომაც მქუხარე ტაშით აცილებდნენ ტრიბუნიდან ჩამომავალს...

ვიქტორ კუპრაძის უამრავი პორტრეტი მინახავს, — სულ სხვადასხვა ოსტატის მიერ, სრულიად განსხვავებული კუთხით გადაღებული. ყურადღებას მუდამ ერთი მომენტი იქცევდა, — უაღრესად სათნო და დაფიქრებული სახე.

მართლაც, სადაც უნდა შეხვდეთ ვიქტორ კუპრაძეს — ამ ხალისიანსა და სასიამოვნო მოსაუბრეს — მას სულ ღრმა ფიქრის კვალი ეტყობა.

ან რა გამოულევს საფიქრალს...

ახლახან მთელმა საბჭოთა კავშირმა აღნიშნა მისი დაბადების 70 წლისთავი საზეიმო დღეებში ერთხელ კიდევ მკაფიოდ გამოიკვეთა ჩვენი ადამიანების ღრმა სიყვარული ღვაწლმოსილი მათემატიკოსისადმი...

იგი 1903 წელს დაიბადა ქუთაისში, რკინიგზელის ოჯახში. ქუთაისშივე დაამთავრა რეალური სასწავლებელი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა.

სწორედ იმ წლებში საქართველოშიც შემოანათა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მზის შუქმა და ქართველ ხალხს ეკონომიური და პოლიტიკური, კულტურული განვითარების ფართო სარბიელი მისცა.

ახალგაზრდა ვიქტორიც მთელი ენერგიით ჩაება თბილისის უნივერსიტეტის მათემატიკოსთა მცირე, მაგრამ უაღრესად ძლიერი ჯგუფის მიერ გაშლილ საქმიანობაში. იგი იმთავითვე ხალას ნიჭთან ერთად უაღრესი შრომისმოყვარეობითაც გამოირჩეოდა. გადაჭარბებული არ იქნება იმის თქმა, რომ 24 საათში ზოგჯერ იგი 24 დღის გასაკეთებელსაც ასწრებდა. ამაში ხელს უწყობდა დროის უაღრესად რაციონალური განაწილება და ყოველი წუთისადმი განსაკუთრებული ყურადღება.

მის ფართო შესაძლებლობებზე მეტყველებდა ერთი დეტალიც: ახალგაზრდა მათემატიკოსი მთელი გულით მონაწილეობდა ახალგაზრდულ მოძრაობაში და განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ასრულებდა ყოველ საზოგადოებრივ დავალებას.

იმ წლების ვიქტორ კუპრაძეს ყველაზე კარგად ახასიათებს სახელგანთქმული ქართველი მეცნიერის ანდრია რაზმაძის სიტყვები: ,,საინტერესო ყმაწვილია, ნიჭიერი და მუყაითი. შორს წავა. სამწუხაროდ, ხშირად ვერ ვხვდები — პოლიტიკითაა გატაცებული''.

მართლაც, იმ დროისთვის იგი საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრი იყო, სასკოლო განყოფილების გამგე.

— ბედნიერი ვარ, რომ კომკავშირს მივუძღვენი ჩემი ყმაწვილობის საუკეთესო წლები, — თქვა ერთ-ერთ საუბარში მეცნიერმა და იქვე დაუმატა: — კომკავშირი დამეხმარა მეპოვა ცხოვრების ყველაზე სწორი გზა, მესწავლა საქმისადმი პასუხისმგებლობა და სამშობლოსადმი სიყვარული.

ამ პასუხისმგებლობითა და სიყვარულით გაიარა ცხოვრების ნახევარზე მეტი, ამ პასუხისმგებლობით ავიდა იგი მეცნიერების უმაღლეს მწვერვალზეც...

როდესაც შემოქმედის ინტერესთა სიფართოვეზე ლაპარაკობენ, უპირველესად არჩეული სპეციალობის გარეთ დარჩენილი საგნებისა თუ მოვლენების სიყვარულსაც გულისხმობენ.

საამისო მაგალითად ვიქტორ კუპრაძის ცხოვრებაც კმარა. თავის დროზე იგი შესანიშნავად უთავსებდა ერთმანეთს მათემატიკური მეცნიერების საფუძვლების დაუფლებასა და, შესაძლოა, უცნაურიც კი არის, ჟურნალისტურ მოღვაწეობას, — იყო გაზეთებია ,,იუნოშსკაია პრავდას'', ,,მოლოდოი რაბოჩის'', ,,ახალგაზრდა კომუნისტის'', ჟურნალ ,,აქტივისტის'' სარედაქციო კოლეგიის წევრი, რედაქტორი...

თითქმის 40 წლის შემდეგ ვფურცლავ ,,ახალგაზრდა კომუნისტის'' იმდროინდელ ნომრებს და 30-იანი წლების ახალგაზრდობის მძლავრ მაჯისცემას ვგრძნობ...

აქტიური თემები, დახვეწილი მასალები, — ალღოიანი რედაქტორის ყველაზე უტყუარი ნიშნები.

ვიქტორ კუპრაძე იმთავითვე ახლო იდგა მშრომელთა მასასთან, მისი ინტერესებით ცხოვრობდა. ამიტომაც 1932 წელს 29 წლის ჭაბუკი კომუნისტური პარტიის რიგებში შევიდა. მანამდე კი წარჩინებით დაამთავრა უნივერსიტეტი და საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურაში მიავლინეს.

1935 წელს ახალგაზრდა მეცნიერმა მოსკოვში წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე ,,ელექტრომაგნიტური ტალღის თეორიის სასაზღვრო ამოცანები''.

მაშინ ვიქტორ კუპრაძე მხოლოდ 32 წლის იყო. სადოქტორო დისერტაციამ სპეციალისტთა დიდი მოწონება დაიმსახურა, ქართული მათემატიკური სკოლის წინგადადგმულ ნაბიჯად იქნა მიჩნეული.

33 წლის მეცნიერი თბილისში დაბრუნდა და დაინიშნა თბილისის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორად, ამავე დროს იყო კათედრების გამგე უნივერსიტეტსა და პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

წლები მიდიოდნენ...

1941 წლის 22 ივნისს დაიწყო დიდი სამამულო ომი. თითოეული პატიოსანი საბჭოთა მოქალაქე სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა.

ვიქტორ კუპრაძემ უყოყმანოდ დათმო მეცნიერის კათედრა და მძიმე საბრძოლო გზას დაადგა, — იყო საფრონტო გაზეთის რედაქტორის მოადგილე...

ქვეყანას მარტო შაშხანიანი მებრძოლები არ იცავენ. ზურგში დარჩენილთა შრომაც მამულის დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაა. ომის დროს მეცნიერის ლაბორატორიაში მიღწეული გამარჯვებაც მტრის შემმუსვრელი, შორსმსროლელი არტილერიის ყუმბარაა...

1943 წელს არმიიდან დემობილიზებული ვიქტორ კუპრაძე ჩვეული გულმოდგინებით შეუდგა საყვარელ საქმეს.

შორს, ძალიან შორს წაგვიყვანს იმ თანამდებობათა ჩამოთვლა, რომლებიც ვიქტორ კუპრაძეს ეკავა და სადაც იგი წარმატებით ასრულებდა სამშობლოს მიერ დაკისრებულ მოვალეობას.

ერთ ფაქტს კი გვერდს მაინც ვერ ავუვლით. წლების მანძილზე მეცნიერი სათავეში ედგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს და თითოეულ სტუდენტს მამულისა და მეცნიერების უსაზღვრო სიყვარულის გრძნობით ზრდიდა...

რაც შეეხება მის სამეცნიერო მოღვაწეობას...

არასპეციალისტისათვის შეუძლებელია მისი შემოქმედების ურთულეს ლაბირინთებში გზის გაკვალვა. ავღნიშნავ მხოლოდ ერთს: ვიქტორ კუპრაძის გამოკვლევები ძირითადად მათემატიკური ფიზიკის, მათემატიკური დრეკადობის თეორიის, დიფერენციალურ და ინტეგრალურ განტოლებათა თეორიის აქტუალურ პრობლემებს შეეხებიან.

მათ აღიარებენ ჩვენი სამშობლოს საზღვრებს გარეთაც...

ინტერესთა მრავალმხრივობა ბოლომდე შერჩა ღვაწლმოსილ მეცნიერს. იგი დღესაც აქტიურად მოღვაწეობს საზოგადოებრივ ასპარეზზე.

ვიქტორ კუპრაძე იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის დელეგატი, მონაწილეობდა ყრილობის უმთავრესი დადგენილებების შემუშავებაში...

ამ წერილის დაწერამდე შინ ვინახულეთ აკადემიკოსი. აშკარად შეეტყო, რომ ესიამოვნა საბავშვო ჟურნალის ხაენება.

ახალგაზრდობას მუდამ იმედის თვალით შევყურებო, — თქვა.

პალტომოხურული იდგა ოთახში და წუხდა, რომ მოუცლელობის გამო დიდხანს ვერ ისაუბრებდა.

მეორედ შეხვედრის დროსაც ჩქარობდა...

არ გაგვკვირვებია...

თუ ასე არ მოიქცა, ვინც არ უნდა იყოს იგი, ვიქტორ კუპრაძისეულად მოქალაქეობრივი ვალის მოხდას სხვაგვარად ვერა და ვერ შესძლებს.

მეოცე საუკუნის აჩქარებული მაჯისცემა თითოეული წუთის შემოქმედებითად გამოყენებას მოითხოვს.

რ. ძერია.

# პარტიის ათივე ბილიკით

### იქნება ახალი პლანტაცია

ზღვის პირიდან მარაგზას ნაძვის ხეივანი გახდევს. ეს ტანმორჩილი ხეები თითქმის ხუთი ათეული წლის წინათ დაურგავთ პირველი თაობის კომკავშირლებს — იმ ჭაბუკებსა და ქალიშვილებს, რომლებმაც ეკალბარდი გაკაფეს, ჭაობი ამოაშრეს და ჩაის პლანტაციები გააშენეს.

სადაც კიოდა მგელი და ტურა,
იქ გავაშენეთ ჩაის კულტურა!

ეს ერთი სტროფია მათი სიმღერისა, რომელიც უკვე დიდი ხანია ისტორიის



ოპერაცია „თეთრი შარი": გამარჯვებულნი — ელენე ისტომინა, ავთანდილ ორაგველიძე, მალხაზ ცქიტიშვილი, მალხაზ ხიმშიაშვილი, მანანა ქევხიშვილი და ვიოლეტა ბალავაძე.

კუთვნილებაა. ამ სიმღერის სტრიქონები დღეს მათი შვილიშვილების — ალისფერყელსახვევიანი გოგო-ბიჭების პიონერულ ოთახს ამშვენებს. იქვე, გვერდით იმ ყოჩაღი ყმაწვილების ფოტოსურათია, რომლებმაც თავი ისახელეს ჩაის ფოთლის კრეფაში.

„1558 კგ „მწვანე ოქრო" ჩააბარეს მიმღებ პუნქტს გმირი პიონერის — ზინაიდა პორტნოვას სახელობის № 8 რაზმის წევრებმა. ყოჩაღ, ყმაწვილებო!" — ნათქვამია ელვაფურცელში. ეს „ელვაფურცელიც" იქვე, პიონერთა ოთახშია მოთავსებული. ზემოთქმულს თუ იმასაც დავუმატებთ, რომ მერვერაზმელებმა 500 კგ ჩაის თესლი შეაგროვეს, ნათელი გახდება, რატომ დგას ეს რაზმი მარჯვენა ფლანგზე. ხუთასი კილოგრამი თესლით ორ ჰექტარზე ახალი პლანტაცია გაშენდება და მას პიონერები მოუვლიან!

### ყველგან მეგობრები გვყავს!

ოჩხამურის საშუალო სკოლის პიონერთა ოთახში რომ შეხვალთ თვალში გეცემათ ბულგარულ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი დიდი, ლამაზი თოჯინა. რა უნდა თოჯინას პიონერთა ოთახში, საიდან გაჩნდა აქ? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად პიონერული დღიურის რამდენიმე ფურცელი უნდა გადავშალოთ.

ეს იყო შარშან. საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მუშა ლუდმილა ბელქანია ტურისტული საგზურით დააჯილდოეს. დეიდა ლუდმილა პიონერების მეგობარია და ბულგარეთში მისი მომავალი გამგზავრების ამბავი უმალვე მთელმა სკოლამ შეიტყო. ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბის წევრებმა ბულგარელი პიონერებისათვის გასაგზავნად დაწერეს წერილი, შეაგროვეს სამკერდე ნიშნები, ღია ბარათები, წიგნები და დეიდა ლუდმილას გასაცილებლად ბათუმის ნავსადგურში მივიდნენ.

ერთი თვის შემდეგ ვარნას ნავსადგურში ბულგარელმა პიონერებმა ასეთივე გაცილება მოუწყვეს კომკავშირელ ქალიშვილს ლუდმილა ბელქანიას, რომელიც მათ ესტუმრა და ოჩხამურელ პიონერთა ნობათი გადასცა. თავის მხრივ ბულგარელმა ნორჩმა დიმიტროველებმაც შეაგროვეს საჩუქრები, დაწერეს გულთბილი ბარათი და გამოატანეს საბჭოთა კომკავშირელ ქალიშვილს. ასეთია მეგობრობის კანონი!

გაიბა მეგობრული კავშირი. ახლა თვე ისე არ გავა, რომ ფოსტალიონმა სკოლაში არ მიიტანოს უცხო მარკებიანი კონვერტი. ოჩხამურელებს წერილებს უგზავნიან მილენა ბიტევა, ეშელ ბილიაკოვა, ხრისტოს დოჩევი და ის სხვა ბავშვები, რომლებიც ასევე შავი ზღვის პირას ცხოვრობენ და ქალაქ ვარნას № 15 სკოლაში სწავლობენ.

### ვინიცა ძალზე ახლოა!

სოციალისტური შრომის გმირი ოლენა პლახოტნა უკრაინაში, ვინიცის ოლქის სოფელ პიატკოვსკაიაში ცხოვრობს. ოციოდე წლის წინათ იგი ოჩხამურში სახლობდა. ჩაის საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მუშა იყო. სწორედ მაშინ მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება. ოლენას არ ავიწყდება საქართველო, მან თავისი შვილები და მათი თანაკლასელები წერილობით დაამეგობრა ოჩხამურელ თანატოლებს. ბარათს ბარათი მიჰყვა და მალე ამ მეგობრულ მიმოწერაში ორივე სკოლის ყველა კლასი ჩაება. პიატკოვსკაიას სკოლაში რომ საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის ფესტივალი გამართეს, ოლენა დეიდას ქალიშვილების რაზმმა საქართველო წარმოადგინა. ოჩხამურელმა პიონერებმა მათ გაუგზავნეს ქართული ეროვნული ტანსაცმელი, ნაქარგები, ფანდური, სიმღერების ნოტები, ფირფიტები, ბევრი ღია ბარათი და წიგნი... და პიატკოვსკელებმა ისეთი კარგი სტენდი მოაწყვეს, ისეთი საინტერესო საღამო გამართეს, რომ უკრაინელ პიონერთა გაზეთის „ზირკას" ფურცლებზეც კი შეაქეს.

ამ გაზეთის ამონაჭერი ახლა ოჩხამურელ პიონერთა სტენდზეა გაკრული. იქვეა მოთავსებული მასალები ამ უკრაინული სოფლის ისტორიის შესახებ, პიატკოვსკელი გმირების — დიდი სამამულო ომის პარტიზანების ფოტოსურათი და უკრაინაში გავრცელებული მცენარეების ჰერბარიუმი. საქართველოში კარგად იცნობენ უკრაინას, ყოველ შემოდგომაზე საზეიმო შეკრებას უძღვნიან მეგობრებს. ასე დაუახლოვდა საქართველოს ვინიცის ოლქის პატარა სოფელი პიატკოვსკაია.



ეს თოჯინა ბულგარელმა მეგობრებმა გამოგვიგზავნეს.

### მარშის ათივე ბილიკით

ასეთი საინტერესო საქმეებით მიაბიჯებენ ოჩხამურელი პიონერები საკავშირო პიონერული მარშის ათივე ბილიკით. მარშრუტზე — „მშვენიერების სამყაროში" გაიხსნა „პიონერული კინოთეატრი". მისი ადგილსამყოფელი დაბის კულტურის სახლშია. ყოველ კვირა დღეს აქ თანატოლებს საბავშვო ფილმებს უჩვენებენ ნორჩი კინომექანიკოსები პიონერ ვაჟა კილაძის ხელმძღვანელობით. პირველი ფილმი, რომელიც ვაჟამ უჩვენა მათ — ეს იყო „აბა, დამაცადე" (მეხუთე და მეექვსე გამოშვება);

თემურელთა პირველი საკავშირო შეკრების მიმართვის საპასუხოდ ოჩხამურელებმა გამოაცხადეს ოპერაცია „მზრუნველობა", რომლის დევიზია — „ვაჩუქოთ მოხუცებს სიხარული!" 14 შინმოუსვლელის ოჯახში თემურელებმა დახერხეს შეშა, დააბინავეს მოსავალი. მოხუცებთან სტუმრობა, მათთვის ახალი გაზეთების, წიგნების წაკითხვა, სურსათისა თუ წამლების მიტანა კი ჩვეულებრივი საქმეა! თბილი და მზრუნველი გული აქვთ აქაურ თემურელებს.

როცა სკოლაში ოპერაცია „შავი საბადოს" მესამე ეტაპი დაიწყო, ერთ დღეში სკოლის ეზოში აღიმართა შეგროვებული ლითონის ჯართის რამდენიმე ხორა. გაზაფხულზე კიდევ შეაგროვებენ და გამარჯვებული რაზმის წარმომადგენლები დაესწრებიან „პიონერული ნადნობის" იმ საზეიმო გამოშვებას, რომელიც რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროში მოეწყობა პიონერთა ორგანიზაციისათვის ვ. ი. ლენინის სახელის მინიჭების 50 წლისთავის ზეიმის დღეებში.

**გურამ ბახბაძე.**
ფოტო ნ. ანასტასიევისა.



სამამულო ომის ვეტერანი, პენსიონერი თედორე ჩუბაკოვი და ნორჩი თემურელები.

# „მოლოდაია გვარდიის“ სიახლეები

— რა წიგნები გამოვა ბავშვებისათვის? — ამ კითხვით მივმართეთ საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა „მოლოდაია გვარდიას“ მთავარი რედაქტორის მოადგილეს სტემარ ზაიცევს.

— ჩვენი გამომცემლობა ყოველწლიურად უშვებს დაახლოებით შვიდ მილიონ ცალ საბავშვო წიგნს. მათ შორის არის ბევრი თქვენგანისათვის კარგად ცნობილი — „ამხანაგი“ — მცირე ენციკლოპედია ყველა ასაკის პიონერებისათვის, აგრეთვე ნორჩ პიონერთა ცხოვრებისადმი მიძღვნილი წიგნი — „იყავ მზად!“

ყველაფერზე ერთბაშად ვერ ილაპარაკებ, დაგისახელებთ მხოლოდ იმ წიგნებსა და წიგნების სერიებს, რომლებიც ამასწინათ გამოსცა, ანდა უახლოეს მომავალში დასტამბავს ჩვენი გამომცემლობა. კარგი იქნება თუ წაიკითხავთ მათ.

„ნორჩი გმირები“ — წიგნების ეს სერია მიძღვნილია სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის წლებში, აგრეთვე მშვიდობის ჟამს ბავშვების მიერ ჩადენილ საგმირო საქმეებისადმი. წიგნი — „საით მიფრინავ, წეროვ?“ — მზვერავ ვალოდია სამორუხზე დაწერა ი. ვალკომ. „გზა, რომელიც აირჩია ჩუნგმა“ — ვიეტნამელი ბავშვების ცხოვრებისადმია მიძღვნილი. მისი ავტორია ი. შევჩენკო. ნორჩი მკითხველები მალე მიიღებენ ი. სტრელკოვას „ალქაჯი გოგონას“ მეორე გამოცემას, რომელიც პირველ ყაზახ პიონერზე ზაიდა აკიშევაზეა დაწერილი.

სერიაში — „პიონერი ნიშნავს პირველს“ შესულია წიგნები იმ გამოჩენილ კომუნისტებზე, პირველ აღმომჩენებზე, შრომის, მეცნიერებისა და ხელოვნების მოწინავეებზე, ვინც პირველი მიდიოდა და გზას უკაფავდა სხვებს... ასეთებია: ა. სტაროსტინის — „სამყაროს ადმირალი“ გენერალურ კონსტრუქტორ ს. პ. კოროლიოვზე, ე. პარნოვის — „პრობლემა-92“ — გამოჩენილ კომუნისტ მეცნიერზე ი. ვ. კურჩატოვზე, გ. ემელიანოვის წიგნი — „მამაც მხედარზე“, — არკადი გაიდარზე და ა. მარკუშის „უკვდავი ფლაგმანი“ — ვალერი ჩკალოვზე.

კრებულში — „ცხოვრების კარიბჭესთან“ შესულია საინტერესო ბიოგრაფიის ადამიანთა ბრძნული სიტყვები, აზრები, დღიურები და წერილები.

ბავშვებო, ეს ესაა დაიწყო/დამთავრდა ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წელი. დამკვრელურ შრომაში უფროსებს მხარში ედგნენ, ეხმარებოდნენ მოსწავლეები. ხუთწლედის ამოცანათა შესრულებაში პიონერთა მონაწილეობაზე მოგვითხრობს წიგნი — „შენი მთავარი მარშრუტი — ხუთწლედი“, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკის პიონერთა ცხოვრებაზე კრებული — „ჩვენ 25.000.000 ვართ“.

თქვენს უმცროს მეგობარ ოქტომბრელებსაც აინტერესებთ ხუთწლედის გეგმების მნიშვნელობა. გააცანით მათ ა. ლელევრის წიგნი — „სიმდიდრე ყველასთვის“.

ა. მიტიაევის — „მომავალ სარდალთა წიგნების“ ნაწყვეტები ბევრმა თქვენგანმა წაიკითხა ჟურნალ „პიონერში“. ეს წიგნი სამხედრო ხელოვნების ისტორიაზე, საბჭოთა არმიაზეა დაწერილი. ახლა გამოვა მისი მეორე, შევსებული გამოცემა.

ბავშვები ინტერესით ადევნებენ თვალს „ზარნიცას“ თამაშების მიმდინარეობას. ისინი, ვისაც სურს მასში მონაწილეობა რჩევადარიგებას ამოიკითხავს წიგნში — „ზარნიცა“.

მრავალი წიგნი გამოვა პიონერული აქტივისათვის. ისინი დაგეხმარებათ რაზმეულებსა და ოქტომბრელთა ვარსკვლავთან მუშაობის წარმართვაში, აგრეთვე სანპოსტების — („თუ გინდა იყო ჯანმრთელი“) და მეხანძრეთა ნორჩი მეგობრების („მხოლოდ მამაცთა ჰმორჩილებს ცეცხლი“) წრეების ორგანიზაციასა და ჩამოყალიბებაში. ქუჩაში მოძრაობის წესებს გაეცნობით წიგნში — „პატივი ეცით შუქნიშანს“.

ბავშვები ხშირად გვთხოვენ მოვუთხროთ სხვა ქვეყნის მოსწავლეებზე, მოძმე პიონერულ ორგანიზაციებზე. თქვენ, ალბათ, უკვე იცნობთ ისეთ წიგნებს, როგორიცაა — „ხარცერები — პიონერებს“ და „ტელმანის სახელობისა“. ხოლო წიგნი — „ელლერე!“ — ნიშნავს, წინ! გაგაცნობთ უნგრელი პიონერების ცხოვრებას.

ახალი, 1974, დიდმნიშვნელოვანი წელია ყველა კომკავშირელისა და პიონერისათვის— სრულდება კომკავშირისათვის ლენინის სახელის მინიჭების 50 წელი, კომკავშირლები შეიკრიბებიან თავიანთ XVII ყრილობაზე. კომკავშირის ისტორიას ეძღვნება ი. დუბროვიცკისა და ვ. ორლოვას წიგნი — „თქვენთვის სხვა გზა არ არსებობს“. ცხადია, რაზმეულებსა და რაზმებში თქვენც მოაწყობთ კომკავშირისადმი მიძღვნილ საღამოს, რომლის მომზადებაში დაგეხმარებათ კრებული — „შენი უფროსი ძმა“.

ამას გარდა, გამომცემლობა ბეჭდავს კრებულებს — „პიონერული თეატრი“, რომლებშიც თქვენ იპოვით სკოლაში დასადგმელ პიესებს, ლექსებსა და სიმღერებს კონცერტზე შესასრულებლად, ესკიზებს, საზეიმო გაფორმებისათვის. წელს კრებული გამოვა შეცვლილი სათაურით — „მეგობართა თეატრი“ — ეს იქნება სასკოლო თვითმოქმედებისათვის განკუთვნილი პატარა პიესები და საესტრადო მიმოხილვები. მათი ავტორები არიან ბულგარელი, გერმანელი (დემოკრატიული რესპუბლიკა), რუმინელი, პოლონელი და ჩეხოსლოვაკიელი დრამატურგები.

ყველა კარგად იცნობთ ანსამბლს — „სკოლის წლები“ და, რასაკვირველია არაერთხელ გინახავთ მისი გამოსვლა. რამდენიმე წლის წინათ ეს ანსამბლი ჩამოაყალიბა და დღესაც მისი ხელმძღვანელია ვ. კონსტანტინოვსკი. წიგნში — „ვეზიაროთ მშვენიერებას“ იგი მკითხველს ესაუბრება ქორეოგრაფიაზე, ესთეტიკურ და ეთიკურ აღზრდაზე.

ყოველწლიურად გამოდის აგრეთვე „პატარა ხელოვანი“. ეს არის სპეციალური გამოცემა, მიძღვნილი მოდელირების, ტექნიკური შემოქმედებისა და გამოყენებითი ხელოვნებისადმი.

ფილატელიის მოყვარულები და ისინი, ვინც ახლა იწყებენ მარკების კოლექციონერობას, უნდა გაეცნონ ბუკლეტს — „რაზე მოგვითხრობენ მარკები?“.

აი, ბავშვებო, ნაწილი იმ წიგნებისა, რომელთაც თქვენთვის სცემს გამომცემლობა — „მოლოდაია გვარდია“.

ჟურნალიდან — „პიონერ“.



ელექტრონული ბიბლიოთეკა



# მან ჩემი ძაღლი მოკლა

**იური იაკოვლევი**

მხატვარი ზურაბ ფოცხიშვილი.

მოთხრობა

— შეიძლება?

— შემოდი... რა გვარი ხარ?

— თაბორკა.

— რა გქვია?

— თაბორი.

— სახელი არა გაქვს?

— მაქვს... საშა. მაგრამ ყველანი თაბორს მეძახიან.

დირექტორის კაბინეტის ზღურბლზე იდგა, ხელში მძიმე შავი ჩანთა ეჭირა. ჩანთა ძველი იყო, დამსკდარ ადგილებს თეთრად დაეღო პირი, ტყავის სახელურიც მოგლეჯილი ჰქონდა და ცალ ყურზე დაკიდებული ლამის იატაკამდე სწვდებოდა. თუ ამ ძველ, გაქუცულ ჩანთას არ ჩავთვლით, ბიჭს გარეგნულად არაფერი ჰქონდა ღირსშესანიშნავი — მრგვალი სახე, მრგვალი თვალები და ასეთივე მრგვალი ტუჩ-პირი...

უყურებდა სკოლის დირექტორი ბიჭს და ვერ გაეხსენებინა, რა ცოდვებისთვის გამოიძახეს მასთან ეს მორიგი დამნაშავე. იქნებ ნათურა გატეხა, ან ვინმეს ცხვირიდან სისხლი ადინა? ყველაფერს როგორ დაიმახსოვრებ?

— ახლოს მოდი და დაჯექი... სკამის კიდეზე კი არა, როგორც წესი და რიგია, ისე. ფრჩხილების კვნეტასაც თავი დაანებე. მითხარი, რა მოხდა?

ბიჭმა ფრჩხილებს თავი ანება და მრგვალი თვალები დირექტორს შეანათა. მაღალი კაცი იყო, გამხდარი, სავარძლის ნახევარიც კი თავისუფლად ჰყოფნიდა; ხელები მაგიდაზე დაეწყო. დროდადრო მკლავს მოხრიდა ხოლმე და მაშინ დიდ ფარგალს ემსგავსებოდა, აი, ისეთს, დაფაზე რომ წრეებს ხაზავენ. თაბორკამ დირექტორს შეხედა:

— ძაღლზე მეკითხებით?

— ჰო, ძაღლზე.

ბიჭი კუთხეში ჩამოკიდებულ საწვიმარსა და ყავისფერ შლაპას მიაჩერდა და აღარც მოუშორებია თვალი.

— შინ დატოვების შემეშინდა და სკოლაში მოვიყვანე, ცოცხალი კუთხისთვის. იქ გველხოკერებსა და ოქროს თევზებს ღებულობენ, ძაღლი კი არ მიიღეს. რა, ძაღლს გველხოკერაზე ნაკლები ჭკუა აქვს?

ბიჭმა ნერწყვი გადაყლაპა და ნაწყენი ხმით თქვა:

— ძაღლი ხომ ძუძუმწოვარაა?

დირექტორი სავარძლის ზურგს მიეყრდნო და ხუთი თითი სავარცხელივით გადაისვა სქელ, შავ თმაზე.

— ამიტომ შენც ადექი და ძაღლი კლასში შეიყვანე?

დირექტორს უკვე გაახსენდა, რისთვის მოიპატიჟა ეს წესრიგის დამრღვევი და ახლა ხელსაყრელ დროსღა უცდიდა, რომ ჭექა-ქუხილივით დასტყდომოდა ბიჭის ამ დიდი ხნის გაუკრეჭავ მრგვალ თავს.

ბიჭმა ხელახლა გადაყლაპა ნერწყვი და განაგრძო:

— იგი წყნარად იჯდა მერხის ქვეშ, არც წკმუტუნებდა და არც ყურს იქექდა თათით. ნინა პეტროვნა ვერ ხედავდა, ბავშვებსაც დაავიწყდათ, მერხის ქვეშ ძაღლი რომ მყავდა, და აღარ იცინოდნენ... მაგრამ მერე გუბე დააყენა...

— და ნინა პეტროვნას ეს არ მოეწონა, ხომ?

— დიახ... გუბეში ფეხი ჩადგა და გველცემულივით შეხტა. აყვირდა, მაგრამ რა აყვირდა, აღარ გაათავა. მერე მიბრძანა, ჩვარი ამეღო და იქაურობა მომემშრალებინა, თვითონ კი მოშორებით, კუთხეში დადგა: ეგონა, ძაღლი უკბენდა. ბავშვები ყაყანებდნენ, ხტოდნენ. მე დაფის საწმენდი ჩვარი ავიღე და გუბე მოვამშრალე. ნინა პეტროვნა ახლა ამაზე გაჯავრდა, მაგითი არ უნდა მოგეშრალებინაო, და მეც და ჩემი ძაღლიც გარეთ გამოგვყარა. მაგრამ ის არაფერ შუაშია... იმას არ მოუკლავს ჩემი ძაღლი.

თაბორკა თვალს არ აშორებდა ამოჩემებულ წერტილს. მაყურებელს ეგონებოდა — ამბავს დირექტორს კი არა, მის საწვიმარსა და შლაპას უყვება.

— დაამთავრე? — ჰკითხა დირექტორმა.

თაბორკა იმ დღეს უკვე რიგით მეხუთე იყო და დირექტორს არ ჰქონდა დაკითხვის განგრძობის სურვილი, ბიჭს რომ ეთქვა: ,,დავამთავრეო'', დირექტორი გაუშვებდა, მაგ-

რამ თაბორკას არც ეს უთქვამს და არც თავი დაუქნევია.

— არა, — თქვა მან, — ჩვენ მილიციაშიც მოვხვდით.

— უფრო უარესი! — დირექტორმა სავარძელი ხმაურით მისწია მაგიდასთან. ამ დიდ სავარძელში თავს ისე გრძნობდა, როგორც კაცი ხალვათ კოსტიუმში. ეტყობოდა, ძველი დირექტორი სქელი კაცი იყო, რაკი ასეთი სავარძელი ჰქონდა, ის კი ჯერ ახალბედაა. დირექტორებიც არიან ხოლმე ახალბედები



— მილიციაში როგორღა აღმოჩნდი?

თაბორკა არც გაწითლებულა და არც აღელვებულა. ენაც არ დაბმია, მყისვე ალაპარაკდა:

— ჩემი ძაღლი არ იკბინებოდა. იმ ძაღლებს კი არ ჰგავდა, ეზოებში გამომწყვდეულებს ორლულიანი თოფივით რომ გამოუყვიათ ღობიდან დრუნჩები და გამუდმებით იღრინებიან. ჩემი ძაღლი სულ კუდს აქიცინებდა, თეთრი იყო, მხოლოდ წარბების ადგილას აჯდა ორი მწითური სამკუთხედი.

ბიჭი მშვიდად, თითქმის მონოტონურად ლაპარაკობდა. სიტყვები მრგვალი, ერთნაირი ზომის ბურთულებივით მოგორავდნენ ერთიმეორის მიყოლებით.

— არც ქალისთვის უკბენია. თამაშის დროს მხოლოდ პირი წაავლო პალტოზე. შეშინებული ქალი განზე გახტა და პალტო გაეხა. იმას ეგონა, ძაღლი იკბინებოდა და ყვირილი მორთო. მილიციაში რომ წამიყვანეს, ძაღლიც თან გამომყვა.

ბიჭმა დირექტორს შეხედა. რა ქნას, განაგრძოს მოყოლა? დირექტორი სავარძლის კიდეზე იჯდა, მკერდით მაგიდას გადმოსწოლოდა. თვალები ისე მოეწკურა, თითქოს რაღაცას უმიზნებსო, მაგრამ თაბორკას მეტს ვერაფერს ხედავდა.

— განაგრძე.

— მილიციაში ორ საათს გაგვაჩერეს. ვიდექით კედელთან და რაღაცას ველოდით. მაგრამ არც მილიციაში მოუკლავთ ჩემი ძაღლი. ის კი არა, ერთი ულვაშა ძია მოეფერა კიდეც, შაქარიც მისცა... თურმე, წესით, ძაღლს ნომერი და ალიკაპი უნად ჰქონდეს. მაგრამ როცა ძაღლი ვიპოვე, არც ნომერი ჰქონდა, არც ალიკაპი...

— სად იპოვე ძაღლი?

— დასახლებაში. ძაღლის პატრონები ქალაქში გადავიდნენ საცხოვრებლად, ძაღლი კი დატოვეს. ისიც ქუჩა-ქუჩა ეძებდა პატრონებს.

— შეიჩვევენ ძაღლს, მერე კი მიატოვებენ! — უნებურად წამოსცდა დირექტორს და უცებ მიხვდა, რომ ამ სიტყვების შემდეგ ბიჭს ვეღარ დაატეხდა დაპირებულ ჭექა-ქუხილს.

მაგრამ ბიჭს არ უსარგებლია მისი სიტყვებით. პირიქით, შეედავა:

— მიატოვეს, მაგრამ ხომ არ მოუკლავთ. მე კი ვიპოვე, ჩემი საუზმე შევაჭამე და მერე გვერდიდან აღარ მომშორებია.

— რა ერქვა ძაღლს?

— არ ვიცი.

— შენ თვითონ არაფერი შეგირქმევია?

ბიჭმა ისე შეხედა, ეტყობოდა შეკითხვა ვერ გაიგო.

— სახელი არ შეგირქმევია?

— რატომ უნდა შემერქმია?

ბიჭმა, როგორც იქნა, გაუშვა ხელი მძიმე ჩანთას და ისიც ყრუდ დავარდა ძირს.

— მას, ცხადია, უკვე ჰქონდა სახელი, რომელიც მე არ ვიცოდი. იქაურ ბიჭებს გამოვკითხე, არავინ არაფერი იცოდა.

— ჰოდა შენც ამდგარიყავი და რაიმე შეგერქმია!

ბიჭმა თავი გააქნია.

— რაკი უკვე ჰქონდა სახელი. ახალი რატომღა შემერქმია. ძაღლსაც ერთი სახელი უნდა ჰქონდეს.

ახლა თაბორკა მაგიდის კიდეზე დადებულ სპილენძის საფერფლეს უყურებდა. საფერფლე სუფთა და პრიალა იყო. ეტყობოდა, ახალი დირექტორი არ ეწეოდა.

თაბორკამ კეფა მოიქექა. დირექტორმა თვალი მოჰკრა, რომ ბიჭს სახელო იდაყვთან დაკემსილი ჰქონდა. იგი ცხაურს წააგავდა, რომელიც იდაყვს გარეთ არ უშვებდა.

ბიჭი მოულოდნელად ჩუმდებოდა და ასევე მოულოდნელად იწყებდა ლაპარაკს, გეგონებოდათ, სათქმელის ნაწილს თავისთვის იტოვებდა, ნაწილს კი ხმამაღლა ამბობდა.

— როცა ძაღლი შინ მივიყვანე, ის სხვაგან იყო წასული. დედამ კი მითხრა: „ჭუჭყის მეტს ძაღლს რას გამორჩებიო!“ აბა ძაღლს რა ჭუჭყი უნდა ჰქონდეს? ძაღლები ადამიანს მხოლოდ ახარებენ. მერე დედამ თქვა. „ამ ძაღლს ხელს ვერ მოვკიდებ. შენ თვითონ მოუარეო!“ მეც სწორედ იმიტომ წამოვიყვანე, რომ თვითონ მომევლო. ჩემი ძაღლი ძალიან ჭკვიანი იყო. როცა ლექსს ვიზეპირებდი, თვალებში მიყურებდა და მისმენდა

თუ ამოცანის გამოყვანა გამიჭირდებოდა, ფეხზე მეხახუნებოდა, თითქოს ჩემი გამხნევება უნდოდა. მერე კი მოვიდა ის და გააგდო ძაღლი.

თაბორკა თვალს არ აშორებდა საფერფლეს, დირექტორს კი თავი იდაყვზე დაეყრდნო და მოწკურული თვალები ბიჭისთვის მიეპყრო.

— რა დაუშავა? მე არ შემეძლო მისი გაგდება რადგან ერთხელ უკვე გააგდეს და მიატოვეს. ავდექი და ფარდულში დავაბინავე, იქ ბნელოდა და ალბათ, მოწყენილიც იყო. მე კი მასზე ვფიქრობდი. ღამითაც კი მეღვიძებოდა: ვაი თუ, სცივა და ვერ იძინებს? ან იქნებ სიბნელისა ეშინია-მეთქი... არა, რა თქმა უნდა, ეს სისულელეა, ძაღლს არაფრისა ეშინია. სკოლაშიც მასზე ვფიქრობდი. ერთი სული მქონდა, როდის დამთავრდებოდა გაკვეთილი: მისი საუზმე ჩანთაში მედო... მერე მან ჯარიმა გადაიხადა გახეული პალტოსათვის და ძაღლი ფარდულიდანაც გააგდო. ავდექი და ძაღლი სკოლაში მოვიყვანე. სხვაგან, აბა, სად უნდა წამეყვანა?

ახლა ბიჭის სიტყვები მრგვალ ბურთულებს აღარ ჰგავდა, ხორკლიანი, კორძებიანი გახდა და ძლივსღა ამოდიოდა პირიდან.

— რა ვიცოდი, რომ მას ჩემი ძაღლის მოკვლა გადაეწყვიტა. იმ დროს სახლში არ ვიყავი. თურმე დაუძახნია ძაღლისთვის და შიგ ყურში უსვრია ტყვია.

ოთახში ისეთი სიჩუმე ჩამოწვა, როგორც გასროლის შემდეგ იცის ხოლმე. დიდხანს დუმდნენ ბიჭიც და დირექტორიც.

მოულოდნელად დირექტორმა თქვა:

— თაბორ, გინდა ძაღლი გაჩუქო? გერმანული ნაგაზია, ზურგზე შავი ზოლი გადასდევს.

ბიჭმა თავი გააქნია:

— მე ჩემი ძაღლი მინდოდა. წყალწაღებულთა გადარჩენას ვასწავლიდი. წიგნიც კი მაქვს, როგორ ვასწავლოთ ძაღლებს.

დირექტორი წამოდგა. იგი უფრო მაღალი გამოჩნდა. პიჯაკი ისე ადგა გამხდარ მხრებზე, თითქოს საკიდზე ჰკიდიაო. შესაძლოა, კოსტიუმიც ოდესღაც ძველ დირექტორს ეკუთვნოდა, როგორც ის ფართო სავარძელი. დირექტორი ბიჭთან მივიდა.

— შეგიძლია, შეურიგდე მამას?

— მე მას არ წავჩხუბებივარ.

— მაგრამ ხომ არ ელაპარაკები?

— მე მას კითხვებზე პასუხს ვაძლევ.



— ოდესმე თუ უცემიხარ?

— არ მახსოვს.

— პირობა მომეცი, ხომ შეურიგდები მამას?

— მე მას კითხვებზე პასუხს გავცემ... ვიდრე არ გავიზრდები.

— როცა გაიზრდები, რას იზამ?

— ყოველთვის დავიცავ ძაღლებს

დირექტორმა უხმოდ გაიარ-გამოიარა კაბინეტში და თავის ვეება სავარძელს დაუბრუნდა. ბიჭმა ჩანთას მოგლეჯილ ყურში წაავლო ხელი და კარისკენ წავიდა. როცა გადიოდა, დირექტორმა შეამჩნია, რომ დაკემსილი სახელო გახეულიყო და ცხაურიდან წვეტიან იდაყვს გამოეყო თავი.

თარგმნა მარინე სოხაძემ.

# თუ დიდხანს ითოვა



გიორგი
კეჭაღმაძე

მოთხრობა

მხატვარი
გაიოზ ფოცხიშვილი

წყნარი, უქარო ამინდი იყო, მაგრამ მაინც ძალიან ციოდა. ნაშუადღევს კი თოვა დაიწყო. ყველანი შინ ვიყავით: დედა, მამა, ჩემი ძმა ზურიკო და მე. ისე ლამაზად, ბარაქიანად ბარდნიდა, თვალს ვერ მოსწყვეტდი. ზურიკო კინაღამ გაგიჟდა სიხარულით, ხან ერთ ფანჯარას მივარდებოდა, ხან მეორეს; ხტოდა, იცინოდა, ყიჟინებდა...

მამა წასასვლელად ემზადებოდა. კვირა საღამოობით მიდის ხოლმე შინიდან. მასწავლებელია და მეზობელი სოფლის სკოლაში ასწავლის. შაბათს გაკვეთილები არა აქვს და პარასკევ საღამოს შინ ბრუნდება. ის სოფელი კარგა შორს არის აქედან. მთაგორიანი სოფელია და, როცა გათოვდება, ავტობუსს უჭირს ასვლა. ამიტომ ზამთარში მამას ხშირად ფეხით უწევს სამსახურში სიარული.

მამა ფანჯარას გასცქეროდა. წასვლის დრო იყო.

— აღარ ხუმრობს, — ჩაილაპარაკა თავისთვის, მერე ზურიკოს მიუბრუნდა: — ხედავ? ნატვრა გისრულდება — ამაღამ დახვავდება თოვლი.

— რა კარგია! — ხტოდა ზურიკო, — რა კარგია!

— გარეთ ბევრი არ ირბინო, — გააფრთხილა მამამ, — გაცივდები... თვალი არ მოაცილო, — მითხრა მე.

— მაგას თვითონ უნდა დარაჯი, — თქვა დედამ.

მამამ ცერად შემომხედა და თვალი ჩამიკრა. მანიშნა, ასეთი ეჭვის მიუხედავად, მაინც ნდობას გიცხადებო. მერე პალტო ჩაიცვა, ლაბადა მოისხა და გარეთ გავიდა. ყველანი გავყევით.

მამამ მე და ზურიკოს მოგვხედა და გაიცინა:

— ასე ერთსულოვნად მეტი არ გაგიცილებივართ.

— რის გაცილება, — თქვა დედამ, — გარეთ გამოსვლა უხარიათ. — მერე დაუმატა: — ახლა, ალბათ, ავტობუსი აღარ იქნება.

— არა უშავს, — მამამ საათზე დაიხედა, — სამი საათის გზაა.

—რა ცოტაა? — გაეცინა დედას.

მამას უყვარს ფეხით სიარული. წუთით შემშურდა კიდეც — ასეთ ამინდში მეც სიამოვნებით ვივლიდი ფეხით.

— რა მოხდა მერე, — თქვა მამამ, — ვითომ სანადიროდ მივდივარ...

თქვა და ძია ბენომაც ჩამოიარა. თავისი განუყრელი ორლულიანი თოფი მხარზე ეკიდა. წინ მოუძღოდა ყურებჩამოყრილი ბებერი ძაღლი „ელვა".

ძია ბენო მამაჩემის ბიძაშვილია. მეზობლად ცხოვრობს.

— მაგ ძაღლი კიდევ ცოცხალია, ბენო? — ჰკითხა მამამ.

ძია ბენო მოგვესალმა, პირველი თოვლი მოგვილოცა, მერე მამაჩემს ხელი ჩამოართვა. ბოლოს თავის ძაღლს შეხედა და თქვა:

— არც ისე ბებერია... გარეგნობა აქვს ასეთი.

— დაგიდგა, ბენო, სანადირო ამინდი. — მამაჩემის ხმაში შური ვიგრძენი.

— ამაღამ იხვი იქნება აუცილებლად. ასეთ ამინდში იცის... გატყობ, დღეს შენც იჯერებ გულს სიარულით.

— მეტი რა გზა მაქვს.

— მონადირის მუხლები გაქვს, თედო. ეგ არის, დრო არა გაქვს, ძაღლი არ გყავს და თოფი არ გივარგა.

— თოფმა რაღა დაგიშავა, — უთხრა მამამ, — არც ისე ცუდად ისვრის.

— ვისღა აქვს ახლა ცალპირა თოფი. ხომ ხედავ, ხალხი ავტომატებით დადის სანადიროდ.

— სწორედ ცალპირა თოფია პატიოსანი მონადირის იარაღი. ჩემი ნება რომ იყოს, მონადირეებს ყველა თოფს ავუკრძალავდი, ფილთას გარდა.

ბენოს გაეცინა:

— შენ თუ დაგიჯერეს, მალე მშვილდ-ისრებით გაგვიშვებ იხვებზე სანადიროდ.

ამასობაში სულ გაგვათეთრა თოვლმა. ძია ბენომ ქუდი მოიხადა და დაბერტყა.

— ხვავრიელად თოვს. ხედავ, რა სანადირო ამინდი დგება? აფსუს, რომ არ გცალია! — ძია ბენომ შემომხედა და უცებ მამაჩემს მიუბრუნდა: — დაუტოვე გელას შენი ჩახმახიანი თოფი. იხვებზე ნადირობას ვასწავლი. ამოდენა ბიჭია... სიმაღლეში დაგვეწია უკვე მე და შენ...

მამაჩემმა შემომხედა, ყურადღებით შემათვალიერა, თითქოს ამოწმებდა, შეიძლებოდა თუ არა ჩემი გაშვება სანადიროდ. მერე უცებ მოჭრა:

— თოფი არაა ბავშვების საქმე.

— რაღა ბავშვია, მეშვიდეშია უკვე... ხომ ხარ, ბიჭო, მეშვიდეში?

კი-მეთქი, დავუქნიე თავი.

— ჩემი ბიჭი მეხუთეშია, — თქვა ძია ბენომ, — უკვე ყველაფერი იცის: მიზანში სროლა, ვაზნების გატენა, თოფის დაშლა და გაწმენდა...

— სროლა და თოფის მოვლა ამანაც იცის, — თქვა მამაჩემმა, — მაგრამ უჩემოდ ახლოსაც ვერ გაეკარება.

ბენომ შემომხედა. წყენა რომ შემატყო, თქვა:

— მე წავიყვან. ნუ გეშინია, ჩემთან არაფერი მოუვა.

გული გამალებით მიძგერდა. მომეჩვენა, რომ მამაჩემმა ყოყმანი დაიწყო. ეს უკვე თითქმის გამარჯვებას ნიშნავდა. აქამდე აზრადაც არ მომსვლია, რომ მამაჩემს შეეძლო თოფი ენდო ჩემთვის. მართლაც რა მოხდება,

რომ მამაჩემმა ბენო ძიასთან ნადირობის უფლება მომცეს? აკი სულ გაიძახის, უკვე დიდი ხარ და ჭკუა გეკითხებაო.

— ბენო, — მოუჭრა უცებ მამაჩემმა და ყოყმანიც ერთბაშად გაქრა მის სახეზე, — ბავშვებს ნუ აქეზებ, მაგათი ნადირობის დრო ჯერ არ მოსულა.

— მშვიდობით აბა, — თქვა ბენომ ჩვეულებრივი ხალისით, თითქოს აქ არაფერიაო და გზა განაგრძო.

მამამ თვალი გააყოლა. მერე მოგვიბრუნდა:

— აბა, ჭკუით იყავით. — თქვა და გზას გაუდგა.

დილით დედაჩემის ხმამ გამაღვიძა:

— ზურიკო, ნახე, რა ამბავია გარეთ!

ზურიკო ლოგინიდან წამოფრინდა და ფანჯარას ეცა. მეც ავდექი და გარეთ გავიხედე. დაფნის, ფორთოხლისა და მანდარინის ხეები ისე დაეფარა ფაფუკ თოვლს, იფიქრებდით, მიწაზე ტალღებად დალაგებული ღრუბლები აწყვიაო.

ეტყობა, მთელი ღამე ეთოვა. ახლაც ბარდნიდა.

ეზოდან ქათმების კრიახი ისმოდა. ჩვენი შუბლთეთრა მურია გაშმაგებული დასდევდა თოვლში ჩაფლულ, ისედაც დამფრთხალ და შეშინებულ ქათმებს.

— მურია! —უჯავრდებოდა დედა, — მოეშვი! მაგათ თავიანთი გაჭირვება ეყოფათ!

მურია მაინც განაგრძობდა ცელქობას.

დედას ხელში ნიჩაბი ეჭირა და ბოსლისკენ გზას კვალავდა. მერე ზვინთან მივიდა და ერთ მხარეს ჩალა გამოაჩინა. ერთი კონა გაჭირვებით ამოათრო და ბოსელში წაიღო.

სწრაფად დავიბანეთ ხელპირი. ამასობაში დედაც შემოვიდა.

— დღეს სკოლაში ვერ წახვალთ! — გამოგვიცხადა.

— რაო? — გაჯავრდა ზურიკო, — ვერ წავალთ კი არა... მერე მასწავლებელს რა ვუთხრა?

დედას გაეცინა.

— მასწავლებელი ვერ ხედავს, თუ იცის, გარეთ ამოდენა თოვლი რომ დევს?

— ეგ არ არის საპატიო მიზეზი, — მტკიცედ განაცხადა ზურიკომ.

— გადი ერთი ეზოში, — უთხრა დედამ, — ყელამდე მოგწვდება თოვლი. გზაზე ნაკვალევიც არ ჩანს. დღეს სკოლაში ვერავინ მივა.

ზურიკო მიხვდა, რომ წინააღმდეგობა ამაო იყო. სახე მოეღრუბლა.

— ვერც შენ წახვალ, — მითხრა დედამ.

— სირცხვილია, — ვუთხარი, — მეც პატარა ხომ არა ვარ! ასეთ თოვლში შარშანაც ხომ დავდიოდი სკოლაში.

სკოლა კარგა შორს გვაქვს. დილაობით მოსწავლეები კოლმეურნეობის კანტორის შენობის წინ ვიკრიბებით და იქიდან ავტობუსით მივდივართ სკოლაში. დღეს, რა თქმა უნდა, მანქანა გარაჟიდან ვერ გამოვა.

— ასე დიდი თოვლი შარშან არ ყოფილა, — მითხრა დედამ.

— არც ნაკლები იყო, — არ ვიშლიდი ჩემსას.

— კარგი, წადი, თუ ძალიან გინდა, ოღონდ ფეხით რომ მოგიწევს წასვლა, ხომ იცი?

— რა უჭირს მერე...

— მაშინ მეც წავალ, — თქვა ზურიკომ, — მეც შემიძლია ფეხით სიარული.

— შენ არა, — უთხრა დედამ.

ზურიკომ ერთხანს კიდევ იჭიჭყინა. მერე ხვედრს შეურიგდა, დიდხანს არ უდარდია — სამზადის სხვენზე შენახული ციგა ჩამოიტანა და წმენდა დაუწყო.

ჩვენი უბნიდან იმ დღეს მხოლოდ ორნი ვიყავით სკოლაში. სულ გაუკვალავ თოვლში ვიარეთ...

გაკვეთილების შემდეგ გამოგვიცხადეს, თუ ამაღამ კვლავ ითოვა, ხვალ სკოლაში ნუღარ მოხვალთო.

სალამოს ძია ბენო გვესტუმრა. კარებთან გულდაგულ დაიბერტყა თოვლიანი ტანსაცმელი. თოფიც გაწმინდა თოვლისაგან და მომაწოდა, შინ შეიტანეო. „ელვამაც“ შეიბერტყა ბალანი. ჩვენმა მურიამ მაშინვე მოირბინა...

ამ დროს დედაც გამოჩნდა.

— გამარჯობა, ჩემო რძალო, — უთხრა ძია ბენომ დედას.

დედამ შინ შეიპატიჟა.

აგუზგუზებულ ბუხართან დავსხედით. დედამ ბოდიში მოიხადა და სამზარეულოში გავიდა.

ზურიკომ ჩუმად გასინჯა ძია ბენოს სანადირო ჩანთა და აღტაცებულმა შესძახა:

— ყოჩაღ, ძია ბენო!... ყოჩაღ!.. აი, მესმის ნადირობა!

— ეგ რა ნადირობაა, — ხელი აიქნია ძია ბენომ, თითქოს ზურიკოს დაუმსახურებელ ქება-დიდებას იგერიებსო, — დღეს ხელი მომეცარა.

— რა მოკალი? — ვკითხე მე.

— ორი იხვი და სამი ტყისქათამი.

— მაჩვენე, ზურიკო!..

ზურიკომ მაშინვე ამოიღო ჩანთიდან იხვი და ტყისქათამი.

— წაიღე, — უთხრა ზურიკოს ძია ბენომ, როცა ნანადირევი დავათვალიერე, — დედაშენს მიეცი... დანარჩენებს კი შინ წავიღებ, თუ არ გეწყინებათ, ბიჭებო...

— წყენა კი არა! — თქვა ზურიკომ, — როგორ გვეწყინება, ძია ბენო, პირიქით, ძალიან მადლობელი ვართ!

— კარგად გინადირია, — ვუთხარი მე. — ბევრი იარე?

— არც ისე... აქ ვიყავი, ფშანებთან... ცუდად მაქვს, გელა, საქმე. ტყვია-წამალი გამითავდა, ვერ მოვასწარი მომარაგება.

ამ დროს დედა შემოვიდა.

— რა ამბავია, ბენო. მთელი დღე ჩვენთვის გირბენია და ეგ არის. შინ არაფერი მიგაქვს?

— იქაც ეყოფათ, ჩემო რძალო... შენ ის მითხარი, თედოს ტყვია-წამალი ხომ არა აქვს?

— რა მონადირე ხარ, ბენო, ყოველ წელს ტყვია-წამალს რომ სესხულობ?!

— დღეს-ხვალ-მეთქი, გავიძახოდი და უცებ თოვლიც მოვიდა. ვინ ელოდა ახლა ასეთ თოვლს!.. ეს სკოლა ხომ მოიხსნა, თედო შინ არ მოვა?

— არა მგონია. შარშანაც თოვლის გამო მთელი კვირით მოხსნეს სკოლა... თედო მაინც სკოლაში იჯდა. სკოლა ბავშვებისათვის მოხსნეს, ჩვენთვის კი არაო...

— კი მაგრამ, ბავშვები თუ შინ სხედან, ჩემი ბიძაშვილი სკოლაში რაღას აკეთებს?

— რა ვიცი, ათასი საქმეაო.

ძია ბენომ მხრები აიჩეჩა. მერე თქვა:

— უნდა მიშველო, ჩემო რძალო.

— თედოს ყველაფერი ჩაკეტილი აქვს.

— თქვენ ნება მომეცით და, ჩაკეტილის გაღება ჩემზე იყოს.

— რომ გაჯავრდეს, რატომ გააღეთო?

— ეგ საქმეც მე მომანდეთ. თედოს მაინც არ სცალია სანადიროდ. ესეც არ იყოს, სულ ხომ არ იქნება გზა დაკეტილი. ჩავალ ქალაქში და ერთ ფუთ ტყვია-წამალს ჩამოვუტან... აქვე გავტენი ვაზნებს. აბა, უარს ნუ მეტყვით ახლა...

მამაჩემს თავის პატარა სახელოსნოში აქვს ჩაკეტილი სანადირო თოფი, ტყვია-წამალი, სხვადასხვა ხელსა-

წყო-იარაღები. ზოგჯერ არც კეტავს, მაგრამ იქ შესვლის უფლება არავის არა აქვს, რა თქმა უნდა, თუ თვითონ არ მიგვიპატიჟებს. ძია ბენომ სახელოსნოს კარიც გააღო და ტყვია-წამალსაც მიაგნო, მაგრამ საფანტი რომ ნახა, იმედგაცრუებული დარჩა.

— რაღა ვქნა, თუ სხვა საფანტი არა აქვს, — განაცხადა წყენით.

— საფანტს სხვაგან არსად ინახავს, — თქვა დედამ.

— მართლა? — მკითხა ძია ბენომ.

მხრები ავიჩეჩე.

— ეს საფანტი არ გეყოფა? — ვკითხე.

— იკმარებს როგორმე... მაგრამ, შეხედე, რა წვრილია! ამ საფანტით ტყისქათმის მოკვლა ძნელია. იხვისა მით უმეტეს... ძალიან ახლოდან უნდა ესროლო.

ძია ბენომ სხვა ყუთებიც მოჩხრიკა, მაგრამ ვერაფერი ნახა. მერე თქვა — რაც არის არისო, და ვაზნების გატენას შეუდგა.

— შენც გაგიტენი ვაზნებს. ხომ წამოხვალ სანადიროდ?

— როგორ არ წამოვალ, მაგრამ... თოფი?

— აი, თოფი, — მანიშნა მამაჩემის თოფზე.

— რომ არ მანებებს?

— ნუ გეშინია... მე ვაგებ პასუხს. არადა ასეთი ცალპირა მეცა მაქვს სახლში.

ძია ბენომ ვაზნები გამიტენა. ხვალ სანადიროდ წაგიყვან და თოფსაც გათხოვებო, მითხრა.

მეორე დღეს დილიდანვე შევუდექით მზადებას.

მამაჩემის თოფის წაღება ვერ გავბედე. ძია ბენომ მათხოვა თავისი ძველი, ცალპირა „ცენტრალკა“.

— იღბლიანი თოფია, — მითხრა. — ამ თოფით ბევრჯერ კარგად მინადირია.

აბა, თოფს როგორ დავიწუნებდი!

— დიდებული თოფია, ძია ბენო!

— მთავარი მაინც მონადირეა — უნდა ვარგოდეს.

შინიდან შუადღისას წამოვედით. ძლივს გავეპარე ზურიკოს.

თოვდა. ძია ბენო წინ მიმიძღოდა, გზას კვალავდა.

— საღამოს იხვების გადმოფრენა იქნება. შეგიძლია მფრინავი იხვის მოკვლა?

— რა ვიცი, — მხრები ავიჩეჩე.

— არ გისინჯავს ჯერ?

— არა, ჯერ თოფით არ მინადირია. ისე მასროლინა მამაჩემმა რამდენჯერმე, ნიშანში.

ძია ბენომ თავი გააქნია. ერთხანს დუმილით მიჰკვალავდა გზას, მერე მითხრა:

— არა უშავს, ისწავლი.

— ძნელია? — ვკითხე.

— ალღო უნდა. ალღოს გამომუშავებას კი დიდი დრო და ვარჯიში სჭირდება. აბა, მიყურე?

ძია ბენომ თოფი გადმოიღო მხრიდან. მიდამო მოათვალიერა, რამე ფრინველი ხომ არ მოჩანსო. აქა-იქ შაშვები თუ დაფრთხიალებდნენ ბუჩქიდან ბუჩქზე, ეს იყო და ეს. უცებ თავზე ჩხართვების გუნდმა გადაგვიფრინა. ძია ბენომ სწრაფად შემართა თოფი და გაისროლა. ერთი ჩხართვი უსულოდ ჩაეფლო თოვლში.

— დაინახე?... არც კი დამიმიზნებია. თვალი და ხელი მაქვს გავარჯიშებული და ამას მექანიკურად ვაკეთებ. იხვისა და ტყის ქათმის მოკვლა უფრო ადვილია.

— რა თქმა უნდა, — დავეთანხმე, — იხვი დიდია...

— დიდიცაა და სხვანაირადაც ფრინავს. გაფრენილ ჩხართვს ჯერ ვერ მოახვედრებ, იხვი კი შეიძლება მოკლა. თუმცა საფანტი არა გვაქვს შესაფერი.

— მაინც, როგორ უნდა დავუმიზნო?

— ხომ გითხარი, მე არც კი ვუმიზნებ-მეთქი. ისე კი არსებობს რაღაც წესები. მაგალითად, თუ იხვი შენს თავზე მოფრინავს, თოფი წინ უნდა დაუმიზნო. ცხადია, ფრენის მიმართულებით. ჯობია, ცოტათი ზევით თუ დაიჭერ ნიშანს. მნიშვნელობა აქვს იმასაც, ქარია თუ არა... კარგად რომ გაეჩვევი, შენი ნასროლი თვითონ მოძებნის ფრინველს. აჰა...

შარაგზა გადავჭერით და ველს შევუყევით. სიარული უფრო გაჭირდა. ჭანჭრობები უკვე ერთიანად დაეფარა თოვლს. აქა-იქ შავ-შავი წერტილებივით მოჩანდა სველი მიწა. წყალსაწრეტ თხილებში ორჯერ აგვიფრინდა ტყისქათამი. პირველს ძია ბენომ ესროლა და ჩამოაგდო. მეორე რომ აგვიფრინდება, შენ უნდა ესროლოო, გამაფრთხილა. ვესროლე კიდეც, მაგრამ ავაცილე. ბენო ძიას გაეცინა: არა უშავს, ეს ერთი და სხვა მრავალიო, და გზა განვაგრძეთ. მდინარესთან შევჩერდით და კარგა ხანს ვათვალიერებდით ნაპირებს. მერე ბენო ძიამ მითხრა: გაღმა გავალ და ნაპირს ჩავყვები, შენ აქეთ იარე. ერთ ნაპირზე აფრენილი იხვი მუდამ მეორე ნაპირზე მიფრინავს და ასე უფრო ხელსაყრელია ნადირობა. ეცადე, ახლოდან ესროლოო. ძია ბენო არც კი იყო ნაპირზე გასული, რომ იხვი წამომიფრინდა. ვესროლე, დავაცილე... ესროლა ძია ბენომ და ჩამოაგდო. იხვი წყალში ჩავარდა. „ელვამ“ ცურვით დაედევნა და ნაპირზე გაიტანა.

ამის შემდეგ კარგა ხანს არც იხვი შეგვხვედრია და არც ტყისქათამი.

თოვლი წელამდე მწვდებოდა. კვლავ თოვდა. გავოფლიანდი. დავიცალე კიდეც. წყალიც მომწყურდა, მაგრამ რამდენჯერმე თოვლი ჩავიყარე პირში და წყურვილი იმით მოვიკალი. დროდადრო ძია ბენო გაღმიდან ხმას მომაწვდენდა, ნუ გეშინია, ნადირობა ჯერ წინ არისო. კიდევ ავაფრინე ერთი იხვინჯა. ისიც ჩამოაგდო ძია ბენომ. ჩანთაში ჩადო და გამოღმა გამოვიდა.

საღამოვდებოდა.

— ახლა აქეთ შევყვეთ, — მარჯვნივ გაიშვირა ხელი, — ფშანებზე გავიაროთ. რომ შეღამდება, გადმომფრენ იხვებს ველზე ვესვრით და შინ წავალთ. ხომ არ დაიღალე?

— არა, რა დამღლის.

თვალი უნებურად ჩანთაში ჩატენილი იხვებისაკენ გამექცა. ბენო ძიამ მითხრა:

— ნუ გეშინია, ხელცარიელი არც შენ დარჩები.

— დავრჩე, თუ გინდა. მერე რა.

— შენც მამაშენივით ტყუილად თოფის თრევა და თოვლში სიარული ხომ არ გსიამოვნებს?

— რა ვიცი.. მამაჩემს სიამოვნებს?

— მამაშენს სიარული და თოფის ტარება ჰგონია ნადირობა. სროლა სულაც არ მიაჩნია აუცილებლად.

მივადექით დაჭაობებულ ფშანებს. თოვლი მაგრად დაზვავებოდა ჭაობს, მხოლოდ ალაგ-ალაგ მოჩანდა ჭაობის წყალი.

— აქ ყველგან არაა თოვლი სანდო, — მითხრა ძია ბენომ. — შედგამ ფეხს და ტლაპოში ამოყოფ თავს. ჭაობში ნუ შეხვალ, თორემ ჩაიფლობი. თხმელის ბუჩქებს მიჰყევი იმ მხარეს. მე კი აქედან ჩამოვივლი.

ხუთი წუთიც არ გასულა, ფრთების ტყლაშუნით აფრინდა იხვი. ვერ მოვასწარი თოფის გასწორება. ძია ბენომ ესროლა, მაგრამ დააცილა.

ახლა ტყისქათამი ამიფრინდა. ვესროლე. მაშინვე გაისმა ბენოს თოფის დუპლეტი. ქათამი ჩამოვარდა.

— ტყუილად ვესროლე, — დამიძახა ძია ბენომ, — შენი მოხვდა!

მივხვდი, ტყუოდა — გულს მიკეთებდა...

კიდევ ერთი ტყისქათმისა და იხვის მოკვლა „დამაბრალა“ იმ საღამოს ძია ბენომ. ჯერ მე ვესროლე და მან დაუმატა, მერე მან ესროლა და მე მივაყოლე. ორივე შენი მოკლულიაო მითხრა და ნანადირევი ჩანთაში ჩამიწყო. ერთი იხვი კი ნამდვილად მე მოვკალი. აქ არაფერი იყო საეჭვო.

მოზრდილი გუნდი მოდიოდა, ზედ თავზე გადამიფრინეს, არც დამიმიზნებია, ისე ვესროლე, ერთი იხვი შორიახლო ჩამოვარდა.

აი, ნამდვილი სიხარული, ის იყო.

ძია ბენომ დამიძახა:

— ყოჩაღ! ასე უნდა! ყოჩაღ!..



შინ რომ დავბრუნდით და ჩანთიდან ნანადირევი ამოვალაგე, ამაყად გადავხედე დედაჩემს.

— ხედავ, ჩემო რძალო, როგორი მონადირე ყოფილა შენი ბიჭი, შენ კი წამოსვლას უშლიდი, — უთხრა ძია ბენომ.

გაოცებულმა დედაჩემმა ერთხანს ხმა ვერ ამოიღო. ნანადირევს ათვალიერებდა და თვალი მოვკარი, წამით ვერც მან დამალა სიამაყის ღიმილი. ხუმრობა ხომ არ იყო: ორი იხვი და ორი ტყისქათამი. ასეთი ნანადირევით კარგა ხანია მამაჩემიც არ დაბრუნებულა შინ

— გელა მონადირე! გელა მონადირე! — გაიძახოდა გახარებული ზურიკო. — მეც წამოვალ, გელა, მეც წამიყვანეთ რა!..

— შენ ჯერ პატარა ხარ, — ვუთხარი, — სადმე დაგვეკარგები თოვლში. გაიზრდები და წაგიყვანთ.

— არ მომწონს ეგ თქვენი ნადირობა, — თქვა დედაჩემმა, როცა ჩემი ნანადირევის ხილვით გამოწვეული ძლიერი შთაბეჭდილება გაუნელდა, — არ მომწონს, ადრეა ჯერ... მაგის კბილა ბიჭებია წარამარა რომ უვარდებათ თოფი და მარცხდებიან...

— მარცხისაგან დაზღვეული არავინაა, — მიუგო ძია ბენომ, — არც დიდები და არც პატარები. ერთი კი ცხადია, პატარების მარცხს უმეტესად ის იწვევს, რომ თოფის შესწავლა აინტერესებთ. გელა კი ვაჟკაცია. მისი თანატოლი ბიჭები ავტომატებსა და ტყვიამფრქვევებს ისროდნენ, როცა საჭირო იყო. ეს ცალპირა თოფი რა გახდა.

იმ საღამოს კვლავ დავტენეთ ვაზნები.

ძალიან დავმეგობრდით მე და ძია ბენო, მაგრამ ყველაფერი ისევე მოულოდნელად დამთავრდა, როგორც დაიწყო.

...ძილში თოფის ხმა ჩამესმა. მყისვე გამომეღვიძა და მივაყურე. ისევ გავარდა ზედიზედ. თოფის ხმა ჩვენი სახლის უკნიდან ისმოდა. იქ ნალია დგას. ნალიის ქვემოთ კი, ფერდობზე, ხუთიოდე ხურმის ხეა. ხურმა ძალიან ბევრს ისხამს ხოლმე ყოველ წელიწადს და, რამდენიც არ უნდა მოვკრიფოთ, ზედ მაინც ბლომად რჩება. ზამთარში ხურმა რბილდება და ძალიან გემრიელია. განსაკუთრებით ჩიტებს უყვარს მოყინული ხურმა.

ფანჯარას მივვარდი.

დავინახე: ძია ბენო ფერდობზე დარბოდა, ხურმის ხეებქვეშ ჩიტებს გამალებული კრეფდა და ჩანთაში ყრიდა. შევნიშნე — რამდენიმე დაჭრილი ფრინველი გაქცევას ცდილობდა, უმწეოდ ფართხალებდა, ფხვიერ თოვლში ეფლობოდა. ძია ბენო მათაც მიწვდა და ჩანთაში ჩაუძახა. მერე სწრაფად გამობრუნდა და ნალიის ქვეშ დადგა. ხურმებს კვლავ დაეხვია უამრავი ფრინველი. ისევ გაისმა სროლის ხმა და ისევ გამოვარდა ძია ბენო დახოცილი ჩიტების ასაკრეფად.

სწრაფად ჩავიცვი და ძირს ჩაველი.

—მოდი, ბიჭო, შენც ესროლე! — დამიძახა ბენომ. — ხედავ? გაივსო ქვეყანა ბოლოშავებით. შაშვებიც და ჩხართვებიც რომ გათამამდნენ! აღარაფერს ეპუებიან... ჩემს დღეში არ მინახავს ამდენი ბოლოშავა!

ძია ბენომ ჩიტები აკრიფა და ისევ ნალიის ქვეშ დაბრუნდა.

— უკვე ოცდახუთი ცალი მაქვს ჩანთაში... ის თქვენი



წვრილი საფანტი ამათთვის ყოფილა ზედგამოჭრილი.

დამფრთხალი ჩიტები შორიახლოს ხეებზე ისხდნენ. ვერ ელეოდნენ მწიფე, გემრიელ ხურმას.

— დიდხანს ვერ მოითმენენ, ისევ დაეხვევიან, — მითხრა ძია ბენომ. — წადი, თოფი გამოიტანე.

გავიქეცი და მოვიტანე თოფი. ნალიის ქვეშ, ძია ბენოს გვერდით დავდექი.

— რიგრიგობით ვესროლოთ, — მითხრა მან. — შეხედე, დაიწყეს მოსვლა...

მართლაც, დაბალ ტოტზე შავი შაშვი ქურდულად შეხტა და ხურმას გახელებული დაეძგერა. დავუმიზნე, მაგრამ ძია ბენომ შემაჩერა:

— მოითმინე, სხვებიც მოვლენ. მე რვა მოვკალი ერთი გასროლით.

სულ მალე სხვა ჩიტებიც მოფრინდნენ და დაეხვივნენ ხურმას.

— ესროლე ახლა!.. ნუ უმიზნებ, გაუშალე პირდაპირ!..

გავისროლე და თოფი იქვე მივაყუდე ნალიის ბოძზე... სამი უსულოდ ეგდო თოვლში, ორი დაჭრილი იყო. ფართხალებდნენ, აფრენას ლამობდნენ. ორივე დავიჭირე. ერთი გამისხლტა ხელიდან, ცოტაზე აფრინდა და ისევ ჩაეფლო თოვლში. ახლოს მივედი. ამოფრინდა და თოვლზე გაიქცა. თეთრ თოვლზე სისხლის წვეთებს ტოვებდა. როგორც იქნა, დავიჭირე. გამოვბრუნდი. ახლა დაჭრილი შაშვი დავინახე. ფრთები უმწეოდ დაეფინა თოვლზე. საფანტს ნისკარტი გადაემტვრია. ცალი თვალის ადგილას კი სისხლის სქელი, მოშავო წვეთი აჩნდა.

დახოცილი ჩიტები ჯიბეებში ჩავიტენე. ორი დაჭრილი ბოლოშავა მარცხენა ხელში მეჭირა, მარჯვენით შაშვი ავიყვანე და წამოვედი. აივანზე ზურიკო შემომეგება.

— ცოცხლები დაიჭირე?... მომეცი, მომეცი!

ხელებში მეცა, თითქმის ძალით გამომგლიჯა. ბოლოშავები ხელიდან გაუსხლტნენ და იატაკზე გაიქცნენ. ზურიკო გამოუდევნა, მაგრამ ამ დროს საიდანღაც ჩვენი შავი კატა გაჩნდა, ერთს პირი სტაცა და, აივანზე რომ დიდი კარადა იდგა, იმის ქვეშ შეძვრა...

— არ მორჩება? — მკითხა ზურიკომ და დაჭრილ შაშვს ათვალიერებდა.

— რა მოარჩენს, — ვუთხარი, — ხომ ხედავ, ნისკარტი შუაზე აქვს გადატეხილი. საჭმელი ხომ უნდა ჭამოს.

— ვაჭმევ როგორმე.

დედა შემოვიდა. დახოცილი ჩიტები მაგიდაზე დავაწყე. დედამ ჯერ ზურიკოს შეხედა ხელებში, მერე მაგიდას დახედა და დამიყვირა:

— შენც აჰყევი იმ ჯალათს? ახლავე მოაცილე აქაურობას ეგ შენი ნანადირევი და თოფი არ დაგინახო ხელში!

ახლა გამახსენდა: მამაჩემს არასდროს მოუკლავს შაშვი და ჩხართვი. თავის დღეში არ უსვრია ბოლოშავებისათვის. მწყერზე ნადირობაც კი არ ეხალისებოდა.

კაცმა რომ თქვას, მეც ძალიან შემეცოდა ახლა ის შაშვი, ზურიკოს რომ ეჭირა ხელში. ფრთამოტეხილი ბოლოშავაც, რომელიც იატაკზე დარბოდა და სისხლიან ფრთას მიათრევდა. დროდადრო შეიჭახჭახებდა და ამაოდ ცდილობდა ფრენას.

ნალიის ქვეშ კიდევ გავარდა თოფი.

ათიოდე წუთის შემდეგ სულ ქვემოდან მოისმა სროლის ხმა. გავიხედე. ძია ბენო ისევ ნალიის ქვეშ იდგა. ეტყობა, ვიღაც ხევში ჩასაფრებულიყო.

სადამომდე სულ გაწყვეტდნენ საცოდავ ჩიტებს.

ვაზნები მაგიდაზე დავყარე. პიჟი ყველას ამოვაძრე და საფანტი გამოვყარე. მარტო წამალი დავტოვე ვაზნაში. მერე დაბლა ჩავედი, თოფი ავიღე და ვაზნა ჩავდე შიგ.

— ვიღაც ქვევიდან ისვრის, — თქვა ძია ბენომ, — მგონი ჯუმბერაა. გაღმიდან გამოსულა ის ტურა...

— სულ არ ეშინიათ ამ ჩიტებს? წავიდნენ, მოსცილდნენ აქაურობას.

— რა ქნან, ეშინიათ, მაგრამ შიათ. ცოტას კი დაფრთხებიან ამდენი სროლის შემდეგ და მალ-მალე აღარ შემოესევიან.

ხურმაზე ორიოდე ჩხართვი დავინახე და თოფი შევმართე.

— აცალე ცოტა, — მითხრა ძია ბენომ.

ვაცალე. დაჯდა თუ არა ერთი მოზრდილი გუნდი, მაშინვე გავისროლე.

— ბიჭოს! — გაუკვირდა ძია ბენოს, — არც ერთი არ ჩამოვარდნილა?

— არა უშავს, — ვთქვი და ისევ ჩავდე ვაზნა.

ათიოდე წუთის შემდეგ კვლავ მოიყარეს თავი ჩიტებმა. ძია ბენო სროლისთვის მოემზადა. აღარ ვაცალე და ისევ დავაფრთხე ჩიტები.

— უნდა გეცლია ჩემთვის, — წყენით მითხრა ძია ბენომ. — ახლა ჩემი ჯერი იყო.

ამჯერად კარგა ხანს დაგვჭირდა ლოდინი. ეტყობა, მართლა დაფრთხნენ ჩიტები.

შეგროვდნენ თუ არა, ისევ მოვასწარი სროლა.

ძია ბენომ შემომხედა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

— შემეშინდა, ჯუმბერამ არ დაგვასწროს-მეთქი, — ვუთხარი მე.

— რაა მაინც, სულ რომ აცილებ... ხორბლით ხომ არ გაგიტენია?

— ერთად არ გავტენეთ?

შემდეგ ჯერზე ჯუმბერამ მართლა დაგვასწრო ყველას. ფერდობზე ამოირბინა და დახოცილი ჩიტები ჩანთაში ჩაყარა.

ძია ბენომ საათზე დაიხედა.

— კარგა ხანი გასულა. ახლა წავალ და ერთ საათში მოვალ.

ჯუმბერამ კვლავ დამასწრო თოფის სროლა და გაბრაზებულმა განუწყვეტელი ბათქაბუთქი ავტეხე. ერთი შაშვიც რომ დამენახა ხურმაზე, მაშინვე ვისროდი.

— რა დაგემართა, — მიყვირა ხევიდან ჯუმბერამ, — ხომ ხედავ, რომ აცილებ. მე მაინც მაცალე.

— არ დაგაცლი! — დავუძახე, — წადი და შენს ეზოში ინადირე!

— კარგი, ნუ დამაცლი... ვნახავ ერთი, სანამ გეყოფა ეგ ვაზნები.

ვაზნები მართლაც გამითავდა.

მალე ძია ბენოც დაბრუნდებოდა თავისი ორლულიანით.

გარეთ კი თოვდა და, მგონი, თვალდათვალ მრავლდებოდნენ ხურმების ირგვლივ ხეებზე ჩხართვები, შაშვები და ბოლოშავები.

გაივლიდა რამდენიმე წუთი და ისევ გახელებით დაესხმოდნენ ხურმას.

— ზურიკო! ზურიკო! — დავუძახე. — წალდი მომიტანე!.. ჩქარა!

— წალდი?!

— ჰო, წალდი... ახლავე!

ზურიკომ წალდი მომირბენინა.

ხურმის ხეზე რომ ავვარდი და სხეპვა დავუწყე, ჯუმბერამ დამიძახა ხევიდან:

— ჩამოდი, ბიჭო, ძირს, თორემ გესვრი, იცოდე!

— აბა, მესროლე ერთი!..

თოფი მართლა გავარდა და საფანტმა გამიზუზუნა. მივხვდი, შესაშინებლად ისროდა.

— ისროლე, ისროლე, გული არ გამიხეთქო შიშით!

— თვითონ ვერაფერი მოკალი და არც სხვას აცლებ! შურიანი ხარ, შურიანი!..

დავინახე, როგორ ჩაუყვა ქვევით თავისსავე ნაკვალევს. ღობესთან რომ მივიდა, შემობრუნდა და დამიძახა:

— ავმა ძაღლმა არც თვითონ ჭამა და არც სხვას აჭამაო!

ძია ბენო რომ მოვიდა, ხეებზე ერთი ცალი ხურმაც არსად ჩანდა.

— რაა, ბიჭო, ეს? — იყვირა გაოცებულმა.

თოფი და ცარიელი ვაზნები მივუტანე.

— წაიღე, ძია ბენო, მეტი აღარ მინდა ნადირობა.

ძია ბენომ ვაზნები ჯიბეში ჩაიყარა, თოფი მხარზე გადაიკიდა და სიცილით თქვა:

— ეჰ, გელა, გატყობ, შენც მამაშენისთანა მონადირე გახდები.

— აბა როგორ, — მეც სიცილით ვუთხარი, — რა, ცუდი მონადირეა მამაჩემი?

ძია ბენო რომ წავიდა, კარგა ხანს ვიჯექი ღუმელთან, წიგნს ვფურცლავდი და მამაჩემზე ვფიქრობდი.

საღამო იყო. ბინდდებოდა. თოვდა და თოვდა განუწყვეტლივ. დროდადრო ფანჯარასთან მივიდოდი და ვხედავდი, როგორ სხდებოდნენ შაშვები და ჩხართვები თოვლში ჩამოყრილ ტოტებზე და კორტნიდნენ მწიფე ხურმას.

ბოლოშავები კი გუნდ-გუნდად ტრიალებდნენ და გაოცებული ათვალიერებდნენ ასე უცებ გატიტვლებულ ხურმის ხეებს.

— დაიხოცებიან შიმშილით, — წუხდა ზურიკო.

— არ დაიხოცებიან, — უთხრა დედამ, — ბენოსთანა მონადირეები კი მალე გაწყვეტენ, თუ ასე დიდხანს ითოვა...

# პიონერული ცხოვრების მატიანე

1921 წელს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა ბავშვთა კომუნისტური მოძრაობის საკითხებთან დაკავშირებით შექმნა საგანგებო კომისია, რომლის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო ნ. კ. კრუპსკაიამ, დაეხმარა კომკავშირელებს ახალი ორგანიზაციის მუშაობის პრინციპების შემუშავებაში და პირველი წესდების ჩამოყალიბებაში.

ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ ახალ საბავშვო ორგანიზაციას ასე დაარქვეს: „სპარტაკის სახელობის ნორჩი პიონერები". მისი მიზანი იყო: ბავშვების მომზადება საზოგადოებრივ-შრომითი ცხოვრების და სოციალისტური რევოლუციის ახალი გამარჯვებებისათვის".

1922 წელს, თებერვალში შეიქმნა პირველი პიონერული რაზმები: კრასნაია პრესნიას მე-16 სტამბასთან, სოკოლნიკებსა და ზამოსკვორეჩიეში.

აპრილში მოსკოვში გაიხსნა ნორჩ პიონერთა პირველი რაიონული სახლი.

მოსკოვის პიონერებმა მონაწილეობა მიიღეს წითელ მოედანზე გამართულ საპირველმაისო პარადში, სოკოლნიკების პარკში გამართეს დღესასწაული — პირველი პიონერული კოცონი.

19 მაისს კომკავშირის სრულიად რუსეთის კონფერენციამ გადაწყვიტა განევრცო მოსკოველ პიონერთა გამოცდილება და პიონერული რაზმები შეექმნა მთელს ჩვენს ქვეყანაში. ამგვარად, 19 მაისი პიონერული ორგანიზაციის დაბადების თარიღად იქცა. ამ დღეს მიღებული იქნა მთელი რიგი დადგენილებანი, გავეცნოთ ზოგიერთ მათგანს.

**აი, მაშინდელ ნორჩ პიონერთა კანონები:**

1. პიონერი მუშათა საქმისა და კომუნიზმის ერთგულია.
2. ყოველი პიონერი მეორე პიონერისა და კომკავშირელის ძმა და მეგობარია.
3. პიონერი პატიოსანი და სიმართლის მთქმელია. მისი სიტყვა გრანიტივით მტკიცეა.
4. პიონერი სამაგალითო დისციპლინისაა.
5. პიონერი ყოველდღე ეხმარება შრომით თანამოძმეებს კომუნისტური საზოგადოების აშენებაში.
6. პიონერი შრომისმოყვარეა და პატივს სცემს სასარგებლო შრომას.
7. პიონერი გულწრფელია აზრით, სიტყვით და საქმით.

**პიონერთა საზეიმო დაპირება:**

„პატიოსან სიტყვას ვიძლევი, რომ მუშათა კლასის საქმის ერთგული ვიქნები. ყოველდღე მივეხმარები ჩემს შრომით თანამოძმეებს, მეცოდინება პიონერული კანონები და დავემორჩილები მას".

**ნორჩ პიონერთა რკინის კანონი:**

„ყოველთვის და ყველგან, სადაც კი შესაძლებელია, შევითვისებ ცოდნას იმისათვის, რომ გამოვიყენო იგი მშრომელთა სასარგებლოდ".



კითხვა პასუხი

# ახლო აღმოსავლეთი: მშვიდობისა და ომის პრობლემები

*კითხვა: როდის და როგორ შეიქმნა სახელმწიფო ისრაელი?*

შორეულ წარსულში ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე პალესტინაში არსებობდა იუდეველთა სამეფო, რომელიც ორი ათასი წლის წინათ რომაელებთან ბრძოლებში დასუსტდა, დაქვეითდა და მისი ებრაული მოსახლეობა იძულებული გახდა აზიის, აფრიკისა და ევროპის ქვეყნებში განსახლებულიყო.

მას აქეთ ოცი საუკუნე გავიდა და ამ დროის მანძილზე პალესტინაში არ არსებულა ებრაული სახელმწიფო. ძველი ებრაული ენაც დავიწყებას მიეცა, ,,მკვდარ ენად" იქცა. შუა საუკუნეების პალესტინაში არაბებთან ერთად ცხოვრობდა ებრაელების მცირე რაოდენობა. XVI საუკუნეში კი ეს ადგილები თურქებმა დაიპყრეს და პალესტინაში მათი ბატონობა ოთხ საუკუნეს გაგრძელდა.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც დადგა ყოფილი ოსმალეთის იმპერიის (თურქეთის) ტერიტორიების მომავლის საკითხი, ინგლისმა პალესტინა სამანდატო ტერიტორიად, ესე იგი ფაქტიურად კოლონიად აქცია. ამასთანავე ინგლისი აცხადებდა, რომ მისი მიზანია ,,ებრაელთა ეროვნული კერის" შექმნა, სინამდვილეში კი მკაცრად ახშობდა პალესტინელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, არაბებსა და ებრაელებს შორის მტრობის დანერგვით საკუთარი ბატონობის განმტკიცებას ცდილობდა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩაგრული ხალხების ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის პირობებში გაძლიერდა პალესტინელი ხალხის ბრძოლა ინგლისის ბატონობის წინააღმდეგ. ინგლისი იძულებული იყო უარი ეთქვა მანდატზე. დადგა ქვეყნის მომავლის საკითხი. პალესტინის კომუნისტური პარტია სხვა პროგრესულ ძალებთან ერთად დამოუკიდებელ ებრაულ-არაბულ სახელმწიფოს შექმნას მოითხოვდა. რეაქციული ებრაული ორგანიზაციები (სიონისტები) მოითხოვდნენ მთელი პალესტინის ებრაულ სახელმწიფოდ გამოცხადებას, არაბი ნაციონალისტები კი მხოლოდ არაბული სახელმწიფოს დაარსებას უჭერდნენ მხარს. დავის გადაჭრა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას (გაერო) მოუხდა.

გაეროს 1947 წლის 29 ნოემბრის დადგენილებით პალესტინა ორად გაიყო, სადაც უნდა შექმნილიყო ორი დამოუკიდებელი სახელმწიფო: ებრაული (14 ათასი კვ კმ ტერიტორიით) და არაბული (11 ათასი კვ. კმ ტერიტორიით).

გაეროს დადგენილების თანახმად, 1948 წლის 14 მაისს ისრაელის სახელმწიფოს დაარსება გამოცხადდა. დასავლეთის იმპერიალისტური წრეების ხელშეწყობით ისრაელში ძალაუფლება იმთავითვე ხელთ იგდო მსხვილმა სიონისტურმა ბურჟუაზიამ. და სწორედ ამის გამო ისრაელის არსებობის 25 წლის ისტორია არის მეზობელი არაბული ქვეყნების წინააღმდეგ სამხედრო პროვოკაციებისა და მათი მიწების მიტაცების ისტორია. თითქმის დაარსებისთანავე ისრაელმა ომი წამოიწყო და 6,7 ათასი კვ კმ ტერიტორია დაიპყრო (ეს ის მიწებია, სადაც პალესტინის არაბული სახელმწიფო უნდა შექმნილიყო). 1956 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ისრაელი ინგლისსა და საფრანგეთთან ერთად ებრძოდა ეგვიპტეს, 1967 წლის აპრილში კი განახორციელა აგრესია ეგვიპტის, სირიისა და იორდანიის წინააღმდეგ და ხელთ იგდო 63 ათასი კვ კმ არაბული ტერიტორია, რაც ოთხჯერ აღემატება თავდაპირველად ისრაელისათვის გამოყოფილ ტერიტორიას. ასეთმა მტაცებლურმა პოლიტიკამ შეუძლებელი გახადა ისრაელსა და მეზობელ არაბულ ქვეყნებს შორის ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება. საზავო ხელშეკრულების დადება, ასე რომ ისრაელი, დაარსების დღიდან საომარ მდგომარეობაში იმყოფება მეზობელ სახელმწიფოებთან.

*კითხვა: როგორია ისრაელის მმართველი წრეების იდეოლოგია?*

ისრაელის მმართველ წრეებში გაბატონებული იდეოლოგია სიონიზმი გახლავთ. საკმარისია ითქვას, რომ ისრაელის პირველი პრემიერ-მინისტრი ბენგურიონი სიონისტი იყო. სიონისტია ახლანდელი პრემიერი გოლდა მეირიც.

სიტყვა ,,სიონიზმი" იერუსალიმში მდებარე მთა სიონის სახელწოდებიდანაა ნაწარმოები. ეს მოძღვრება სათავეს XIX საუკუნეში იღებს: 1895 წელს სიონიზმის ფუძემდებელმა, ავსტრიელმა ჟურნალისტმა თეოდორ გერცელმა დაწერა და გამოსცა წიგნი ,,ებრაული სახელმწიფო" ანუ, როგორც მას უწოდებდნენ, ,,სიონიზმის ბიბლია". სიონისტური მოძრაობა ორგანიზაციულად გაფორმდა 1897 წელს გამართულ სიონისტების ბაზელის კონგრესზე და გამოცხადდა ,,სიონისტების მსოფლიო ორგანიზაციის" შექმნა. ეს ორგანიზაცია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრები ებრაელების ადგილობრივ მოსახლეობასთან ასიმილაციის (აღრევის) წინააღმდეგ და ეროვნული ებრაული სახელმწიფოს დაარსებისათვის ბრძოლის ლოზუნგებით გამოდიოდა.

სიონიზმი რეაქციული მოძღვრებაა. იგი ებრაელების განსაკუთრებულობას, გამორჩეულობასა და სხვა ხალხებთან ებრაელების შეუგუებლობას ქადაგებს. ამავე დროს ,,კლასობრივ ჰარმონიას", ესე იგი ებრაელი მშრომელების და ებრაელი კაპიტალისტების ,,ინტერესების" ერთიანობის აბსურდულ თეორიას ეყრდნობა. ამ გზით სიონიზმი ცდილობს ებრაელი მშრომელები ჩამოაცილოს თავიანთი კლასობრივი ინტერესებისათვის ბრძოლას და მსხვილი ებრაული ბურჟუაზიის მიზნებს დაუქვემდებაროს. სიონიზმის ფუძემდებელი თეოდორ გერცელი არ მალავდა, რომ ეს მოძღვრება პირველ რიგში მსხვილი ებრაული ბურჟუაზიის ინტერესებს ემსახურება. ,,მდიდარი ებრაელები, — წერდა გერცელი, — მალავენ სიმდიდრეს და ფარდაჩამოფარებულ ოთახებში ღრეობენ, თავიანთ სახელმწიფოში კი ცხოვრებით თავისუფლად დატკბობას შესძლებენ".

1902 წელს სიონისტებმა შექმნეს ,,ებრაული კოლონისტური ტრესტი", რომელმაც მთელი საქმიანობა პალესტი-

ნის „მშვიდობიანი დაპყრობისაკენ“ მიმართა. როგორც ზევით შევნიშნეთ, სიონისტებმა ტერიტორიული პრეტენზიები ოფიციალურად წამოაყენეს პირველი მსოფლიო ომის შემდეგ და მთელი პალესტინის, ტრანსიორდანიის, სამხრეთ ლიბანის გადაცემა მოითხოვეს. ეს უნდა გამხდარიყო პირველი საფეხური უზარმაზარი ებრაული იმპერიის შექმნისა, რომლის საზღვრები „ნილოსიდან ევფრატამდე“ იქნებოდა გადაჭიმული.

შეიძლებოდა გვეთქვა, რომ ეს იყო ბოდვითი თეორიები, მაგრამ იმპერიალიზმის სახით მას გაუჩნდა მფარველი, რომელმაც საერთაშორისო სიონიზმი რეალურ და საშიშ ძალად აქცია. იმპერიალიზმსა და სიონიზმს შორის კავშირი თავიდანვე განაპირობა ორმა მომენტმა: 1) სიონისტური მოძრაობა ნიშნავს მუშათა კლასის ბრძოლაში განხეთქილებას, რაც, ბუნებრივია ხელსაყრელია მსხვილი კაპიტალისათვის; 2) იმპერიალიზმისათვის, თავდაპირველად ინგლისისა, მოგვიანებით კი ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმისათვის ხელსაყრელია სიონისტების პრეტენზიები მთელ პალესტინაზე. რატომ? იმიტომ, რომ არაბთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და დამოუკიდებელი არაბული სახელმწიფოების შექმნა ანტიიმპერიალისტური ბრძოლის ქარცეცხლში მიმდინარეობს, ეს კი იმპერიალიზმისათვის ნიშნავს ნავთობით უმდიდრესი არაბული აღმოსავლეთის დაკარგვას. სწორედ ამიტომ იმპერიალიზმმა ისრაელი არაბულ აღმოსავლეთში პროგრესული ძვრების წინააღმდეგ ბრძოლის პლაცდარმად გაიხადა. სიონიზმი კი იმპერიალისტური ბანაკის მეთაური სახელმწიფოს — ამერიკის შეერთებული შტატების ერთგული მოკავშირე გახდა.



დახოცილი ბავშვები, ქალები, მოხუცები, დანგრეული სოფლები, ტანჯვა-წამება და ცრემლი... აი, რა მოუტანა აგრესიული ისრაელის ბომბებმა და რაკეტებმა არაბთა მშვიდობიან სოფლებს.

ისრაელი ვაშინგტონისაგან იღებს დიდ ეკონომიურ, პოლიტიკურ და დიპლომატიურ დახმარებას. ეკონომიური დახმარების უმეტესი ნაწილი ისრაელის შეიარაღებას ხმარდება. შეერთებული შტატები ისრაელს დიდი რაოდენობით აწვდის თანამედროვე სამხედრო ტექნიკას. მაგალითად, 1967 წლის მხოლოდ ორ თვეში (აპრილ-მაისი) ამერიკამ ისრაელს 400 ახალი ტიპის ტანკი, 250 თვითმფრინავი მიაწოდა. 1973 წლის დეკემბრის მიწურულში ამერიკის კონგრესმა მიიღო გადაწყვეტილება ისრაელისათვის 2 მილიარდ 200 მილიონი დოლარის რაოდენობით სამხედრო დახმარების გაწევის შესახებ. ამიტომაა, რომ ისრაელი, როგორც იტყვიან, მართლაც „კბილებამდე შეიარაღებული“ სახელმწიფოა. სიონისტი ლიდერები ამას იყენებენ თავიანთი ექსპანსიონისტური, აგრესიული გეგმების განხორციელებისათვის.

კითხვა: რა არის „პალესტინელ ლტოლვილთა“ პრობლემის არსი?

როგორც უკვე ვთქვით, ისრაელმა მეზობელი არაბული ქვეყნების წინააღმდეგ აგრესიის შედეგად დაიპყრო ოთხჯერ მეტი ტერიტორია, ვიდრე მას გააჩნდა. ამან დასაბამი მისცა ისრაელ-არაბეთის კონფლიქტის ტერიტორიულ პრობლემას. მაგრამ ამ კონფლიქტს აქვს მეორე მხარეც. საქმე ისაა, რომ, როგორც საკუთრივ ისრაელში, ასევე პალესტინაში დაპყრობილ ტერიტორიებზე მცხოვრები არაბების მიმართ ტელ-ავივის მიერ გატარებულმა უპრეცენდენტო ტერორის პოლიტიკამ ასეული ათასობით არაბი აიძულა მიეტოვებინა სახლ-კარი, მამაპაპისეული მიწა-წყალი და მეზობელ არაბულ ქვეყნებში გახიზნულიყო. სწორედ მათ შეერქვათ პალესტინელი ლტოლვილები. ზოგიერთი ცნობით, ლტოლვილთა საერთო რაოდენობამ 2 მილიონს მიაღწია. საკუთარი კერიდან აყრილმა არაბებმა ძირითადად იორდანიას, ლიბანს, სირიას შეაფარეს თავი. ასეთი რაოდენობის ლტოლვილთათვის ცხოვრების რამდენადმე ნორმალური პირობების შექმნა შეუძლებელი აღმოჩნდა და მათი უდიდესი უმეტესობა დიდ გაჭირვებასა და სიდუხჭირეში ცხოვრობს სახელდახელოდ გამართულ ბანაკებში.

ასეთ ვითარებაში ერთად-ერთი ნორმალური გამოსავალი საკუთარ მიწებზე ლტოლვილთა დაბრუნებაა. მაგრამ სიონისტები ცინიკურად უარყოფენ ასეთ შესაძლებლობას. ყოველივე ამან პალესტინელი ლტოლვილები აიძულა იარაღისათვის მოეკიდებინათ ხელი. 1964 წელს შეიქმნა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია. მას მხარი დაუჭირა ყველა დევნილმა პალესტინელმა. შეიქმნა სამხედრო რაზმები, რომლებიც წარმატებით ახორციელებენ პარტიზა-

ნულ ოპერაციებს ისრაელი აგრესორების წინააღმდეგ.

ასეთ ვითარებაში ისრაელი მუხანათური ტაქტიკის გზას დაადგა: ყველა საშუალებას მიმართავს, რათა განხეთქილება ჩამოაგდოს პალესტინელ პარტიზანებსა და არაბული ქვეყნების მთავრობებს შორის. ავიღოთ ლიბანის მაგალითი. ისრაელი ცდილობს ლიბანის წინააღმდეგ განუწყვეტელი სამხედრო პროვოკაციებით და ბანდიტური თავდასხმებით ამ ქვეყნის საზოგადოება და მთავრობა აამხედროს პალესტინელი ლტოლვილების წინააღმდეგ. გავიხსენოთ რამდენიმე ფაქტი:

1968 წლის 28 დეკემბერი — ისრაელის არმიის ქვეგანაყოფი თავს დაესხა საერთაშორისო აეროდრომს ლიბანის დედაქალაქ ბეირუთში და მოსპო 13 საჰაერო ლაინერი, რაც ლიბანის სამოქალაქო ავიაციის ორმესამედს შეადგენდა.

1972 წლის 16 სექტემბერი — ისრაელის ორასამდე ტანკი და ჯავშნოსანი შეიჭრა ლიბანის სამხრეთ რაიონებში. ცეცხლს მისცეს სოფლები — გადაბუგეს ლიბანელებისა და პალესტინელების სახლები.

სამწუხაროდ, მთელ რიგ შემთხვევებში სიონისტები საწადელს აღწევენ (მაგალითად, 1970 წლის სექტემბერში სისხლისმღვრელი შეტაკებები მოხდა იორდანიის ჯარებსა და ამ ქვეყანაში განლაგებულ პალესტინელ პარტიზანებს შორის), მაგრამ არაბებმა შესძლეს სიძნელეების გადალახვა და ისრაელი აგრესორების წინააღმდეგ ბრძოლაში ძალების გაერთიანება.

პალესტინელი ლტოლვილების პრობლემა გადაუჭრელი რჩება და, გასაგებია, რომ მისი მოგვარება ისრაელი აგრესორების მიერ მიტაცებული მიწების განთავისუფლებასთანაა დაკავშირებული.

*კითხვა: რა შეიძლება ითქვას ახლო აღმოსავლეთში უკანასკნელი ომის შედეგების შესახებ?*

1973 წლის ოქტომბერში მოხდა ისრაელ-არაბების მეოთხე ომი (პირველი 1948-49 წლებში იყო; მეორე — 1956 წელს; მესამე — 1967 წელს). დიდი მასშტაბის სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობდა, როგორც ისრაელის, ასევე ეგვიპტისა და სირიის ასობით ტანკი, თვითმფრინავი, სარაკეტო დანადგარი. ომი სამ კვირას (6-იდან 27 ოქტომბრამდე) გაგრძელდა და მის შედეგებზე ლაპარაკისას პირველ რიგში უნდა გამოვყოთ შემდეგი მომენტები:

1. გაქრა მითი იმის შესახებ, რომ ,,ისრაელის არმია უძლეველია'' და არაბები მის წინააღმდეგ ვერაფერს გააწყობენ. 1967 წლის ომისაგან განსხვავებით (მაშინ არაბებმა მნიშვნელოვანი მარცხი განიცადეს), ოქტომბრის ომში ეგვიპტისა და სირიის არმიებმა არათუ მოიგერიეს ისრაელის შეტევა, არამედ რამდენიმე მწვავე მარცხიც აგემეს. ოქტომბრის ომმა ცხადყო, რომ ყალბია ისრაელისა და მისი მოკავშირეების პროპაგანდა ,,სამხედრო დარგში არაბების არაკომპეტენტურობის'' შესახებ;

2. ისრაელის სტრატეგია ელვისებურ ომს ითვალისწინებს, და ეს გასაგებიცაა: აგრესიისათვის საჭირო რესურსებით ღარიბი პატარა ისრაელისათვის ხანგრძლივი ომი დამღუპველია. უკანასკნელ ომში ისრაელმა ვერ შესძლო ელვისებური დარტყმის განხორციელება, როგორც ეს გააკეთა 1967 წლის ომის დროს. ესე იგი პერსპექტივაში მოსალოდნელია ხანგრძლივი ომი, რაც ხელს არ აძლევს ისრაელის მხედრიონს;

ამ კრიზისში დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი იყო არაბული ქვეყნების ერთიანობა, სოლიდარობა. ეგვიპტისა და სირიის არმიები მარტონი არ იყვნენ, მათ ერაყის, იორდანიის, ალჟირის, მაროკოს მნიშვნელოვანი სამხედრო დახმარება მიიღეს. სხვა არაბულმა ქვეყნებმა ეგვიპტესა და სირიას საგრძნობი ეკონომიური დახმარება გაუწიეს.

4. არაბული ქვეყნების გაზრდილი სოლიდარობის ერთ-ერთი გამოვლინება იყო პოზიცია, რომელიც მათ დაიკავეს ნავთობის მოპოვებისა და გასაღების საქმეში. ცნობილია, რომ ნავთობის მსოფლიო მარაგის 60 პროცენტი არაბულ ქვეყნებს ეკუთვნის და ამიტომ იმპერიალისტური სამყაროს ეკონომიკა დიდად არის დამოკიდებული არაბულ ნავთობზე, ოქტომბრის ომის პერიოდში არაბებმა შესძლეს ნავთობის პრობლემა ისრაელზე, განსაკუთრებით კი მის მოკავშირეებზე ზეგავლენის მძლავრ იარაღად გაეხადათ, 16 ოქტომბერს არაბებმა შეუწყვიტეს ნავთობის მიწოდება ამერიკის შეერთებულ შტატებს, ჰოლანდიას.

ყველაფერი ეს იმაზე მეტყველებს, რომ ისტორიას ჩაბარდა არაბული ქვეყნების რესურსებზე იმპერიალიზმის განუყოფელი ბატონობა. 1973 წლის ოქტომბრის კრიზისმა ცხადყო ისიც, რომ არაბულ ქვეყნებს წარმატებით შეუძლიათ საკუთარი სიმდიდრე ჩააყენონ საკუთარი პოლიტიკის სამსახურში, დაუმორჩილონ ამ პოლიტიკის ინტერესებს. ეს კი მნიშვნელოვნად აძლიერებს მათ პოზიციას.

*კითხვა: როგორია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლი ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის დაძლევის საქმეში?*

გაერო საკმაოდ აქტიურად მოქმედებს ამ კრიზისის მშვიდობიანი მოგვარებისათვის. 1967 წლის 22 ნოემბერს გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია № 242, რომელიც ყველა ოკუპირებული ტერიტორიიდან ისრაელის ჯარების გაყვანას მოითხოვს. მაგრამ ტელ-ავივის უგუნური პოლიტიკა შეუძლებელს ხდის ამ რეზოლუციის ცხოვრებაში გატარებას და ახლო აღმოსავლეთში მტკიცე მშვიდობის დამყარებას.

გაერომ აქტიური როლი შეასრულა 1973 წლის ოქტომბრის ომის შეწყვეტაშიც. 22 ოქტომბერს გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მიერ წარდგენილი ერთობლივი რეზოლუციის პროექტი, რომელიც ომის დაუყოვნებლივ შეწყვეტას მოითხოვდა.

24 ოქტომბერს უშიშროების საბჭომ საგანგებო სხდომაზე კვლავ მიიღო რეზოლუცია, რომელიც ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტას და 22 ოქტომბრისათვის არსებულ პოზიციებზე ჯარების გაბრუნებას მოითხოვს. ისრაელი იძულებული იყო ომი შეეწყვიტა მას შემდეგ, რაც ახლო აღმოსავლეთში ჩავიდა გაეროს სპეციალური ჯარის ნაწილები (26 ოქტომბერი). მაგრამ ტელ-ავივი მაინც უარს ამბობს აღადგინოს 22 ოქტომბრისათვის არსებული მდგომარეობა.

ზემოთ თქმულიდან ნათელი ხდება, რომ გაერომ გარკვეული წვლილი შეიტანა კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების საქმეში. მაგრამ ჯერ კიდევ შეუსრულებელი რჩება მთავარი მოთხოვნა — ისრაელის წასვლა დაპყრობილი ტერიტორიებიდან, რასაც ითვალისწინებს უშიშროების საბჭოს 1967 წლის რეზოლუცია. ამიტომაა რომ გაეროში სულ უფრო ხშირად და ძლიერად გაისმის ხმები ისრაელის ბოროტმოქმედებისადმი ამ ორგანიზაციის შეგუების წინააღმდეგ.

მშვიდობისმოყვარე ძალების მსოფლიო კონგრესზე თავის გამოსვლაში ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა აღნიშნა, რომ ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარების მომხრეთა კოლექტიური ღონისძიებები უეჭველად დასძლევენ მშვიდობის დამრღვევთა უგუნურებას.

ბავშვებო, საერთაშორისო მიმომხილველის ამირან ავალიანის ეს წერილი თქვენი თანატოლების შეკითხვების მიხედვით არის შედგენილი. რედაქცია კვლავაც გაითვალისწინებს პიონერ-მოსწავლეთა ინტერესს საერთაშორისო ამბებისადმი და მკითხველთა წერილებზე სისტემატურად გასცემს პასუხს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მიჰყავთ გ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის საყოფაცხოვრებო ესთეტიკის კაბინეტის პედაგოგებს: მერი ტაბიძესა და ლეილა ახობაძეს.



### გაკვეთილი 11

### წინდები

წინდის მოსაქსოვად საჭიროა 100 გრ შალის ძაფი, 5 ცალი წინდის ჩხირი.

აკრიფეთ 60 თვალი და გაანაწილეთ 4 წინდის ჩხირზე — ესე იგი თითო ჩხირზე 15 თვალი. მოქსოვეთ 8 სმ სიმაღლის რეზინი 2×2-ზე. შემდეგ განაგრძეთ ქსოვა წინდისებური ნაყშით. 10 სმ სიმაღლეზე დაიწყეთ წინდის ქუსლის გამოყვანა. ამისათვის ძირითად თვლებიდან აიღეთ 30 თვალი ქუსლისათვის, დანარჩენი თვლები დატოვეთ ჩხირებზე. ქუსლისათვის განკუთვნილი თვლები მოქსოვეთ წინდისებური ქსოვით 6 სმ სიგრძეზე. შემდეგ დაიწყეთ თვლების ჩაშვება წალმა მხრიდან. გამოქსოვეთ 19 თვალი, მე-20 და 21-ე თვალი კი გამოქსოვეთ ერთად, შემოაბრუნეთ ნაქსოვი და მარცხენა ჩხირიდან მარჯვენაზე გადმოიყვანეთ 1 თვალი მოუქსოვლად. აქედან დაწყებული ყოველ რიგში მოქსოვეთ შუა 9 თვალი, ნაპირიდან კი მე-10 და მე-11-ე თვალი გამოქსოვეთ ერთად წალმა ან უკუღმა თვლებით ქსოვის რიგის მიხედვით, თვლების კლებას აწარმოებთ, სანამ ჩხირზე არ დაგრჩებათ 10 თვალი. შემდეგ ამ 10 თვალს ქუსლის გვერდითა თვლებიდან შეუერთეთ 10-10 თვალი. ამით აღადგენთ დ ა წ ყ ე ბ ი თ ი თვლების რაოდენობას. მიღებული თვლები ისევ გაანაწილეთ 2 ჩხირზე (უკვე აღსდგება 4 ჩხირი), შეუერთეთ დარჩენილი 30 თვალი. მიღებული 60 თვალი მოქსოვეთ წრიულად 5 ჩხირზე (ე. ი. 4 ჩხირზე განაწილებული 60 თვალი, თითო ჩხირზე მოგვცემს 15-15 თვალს). ასე მოქსოვეთ ქუსლიდან თითების დასაწყისამდე და შემდეგ დაიწყეთ წინდის წვერის გამოყვანა. ეს კი ასე კეთდება:. გამოქსოვეთ 2-2 თვალი ერთად პირველი ჩხირის საწყისსა და მეორე ჩხირის ბოლოში. მესამე ჩხირის საწყისსა და მეოთხე ჩხირის ბოლოში. როდესაც ჩხირებზე დაგრჩებათ 10-8 თვალი, გამოაძვრეთ ჩხირები, დარჩენილი ღია თვლები. აკინძეთ ძაფზე და მოქაჩეთ, შემდეგ კი ძაფი დაამაგრეთ წინდის უკანა მხრიდან. მოქსოვილი წინდები გაასწორეთ და ცხელი უთოთი დააუთოვეთ სველი ტილოს ქვეშ.



### გაკვეთილი მე-10

### ბისკვიტი

#### მასალა

6 ცალი კვერცხი, 6 სუფრის კოვზი შაქრის ფხვნილი, 5 სუფრის კოვზი ფქვილი.

#### მომზადება

6 ცალი კვერცხის ცილა გათქვიფეთ გათეთრებამდე, დაუმატეთ შაქრის ფხვნილი და თქვიფეთ 10 წუთი ფრთხილად. როცა მიიღებთ შესქელებულ მასას, დაუმატეთ კვერცხის გული სათითაოდ და ერთი მიმართულებით ურიეთ, დაახლოებით 15-20 წუთი. შემდეგ დაუმატეთ ფქვილი და მოურიეთ ნელა. ყოველივე ამის შემდეგ ბისკვიტის ცომი მზადაა. ჩაასხით წინასწარ გამთბარ, ცხიმწასმულ და ორცხობილას ფხვნილ მოყრილ ყალიბში და შედგით გამოსაცხობად საშუალო ცეცხლზე.



სოლი და კოტა ხის დეტალებს ძალზე მაგრად აერთებს ერთმანეთთან. როცა სოლი ნახვრეტში ბოლომდე ჩადის, კოტა ფსკერს აწვება და სოლი ბუდეში მაგრად იჭედება. თუ თან წებოსაც წასცხებ, მაშინ ხის ნაწილები სამუდამოდ მიაცივდებიან ერთმანეთს.

როცა ქილას ხსნი, გასაღებს შაურიანი დაუტანე და ხუფი უმალ გაიხსნება დაუზიანებლად.

სატეხის ტარს ბოლოზე ლიმონათის ბოთლის ხუფი დააჭედე და ტარი ჩაქუჩის დარტყმისას აღარ დაზიანდება.

თუ ფანქრით გავლებული ხაზები გინდა წაშალო ისე, რომ სხვა არ დააზიანო, რეისფედერის პირით თხელი საშლელი აიღე და ხაზი იმით წაშალე.

ჩაქუჩისა და ნაჯახის ტარმა მალე იცის მორყევა. ტარი რომ რკინის ყუაში კარგად გაიჭედოს, ამისათვის მას გააპობენ ხოლმე და შიგ სოლს ჩაასობენ. მაგრამ ვერც სიგრძეზე, ვერც სიგანეზე გაპობილი ტარი ვერ იმაგრებს სოლს. ტარი ნელნელა მოირყევა და სოლი რამდენჯერაც უნდა ჩააბრუნო ტარში, იმდენჯერვე ამოვარდება. არა გვგონია, რომელიმე თქვენგანს ეცადოს ტარის გვერდზე, დახრილად გაპობა. ჰოდა, სწორედ ეს შველის საქმეს, — ასეთ ნაპობში ჩასობილი სოლი იოლად აღარ ამოვარდება (თუ იარაღს ხანდახან წყალში ჩააყოფინებ თავს, ეგ ხომ სულ მისწრება იქნება);

აგერ კიდევ მეორე სიახლე სოლის ხმარებისას. დახედე ამ ნახატს და მიხვდები, როგორ უნდა გამოთალო სამთითა სოლი. აქ ისიც კარგად ჩანს, ჩასობისას როგორ იშლება განზე თითები. ასე ჩასობილ სოლს ყუიდან ეშმაკიც ველარ ამოაგდებს.









# სპორტი

## სპორტული თამაშები

### სახტუნელა

ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ ჯერ უცხოეთში, შემდეგ საბჭოთა კავშირსა და საქართველოში ძალზე გავრცელდა ვარჯიში რგოლით ე. წ. ხოლა-ხუპი. ეს ხალისიანი და სასარგებლო ვარჯიშია, მაგრამ სამწუხაროდ, მან თითქმის მთლად განდევნა ბავშვებისათვის ძველთაგან ესოდენ საყვარელი სახტუნელათი ვარჯიში.

ათასგვარი ხტომები, თამაშობის ხასიათი, შეჯიბრების ატმოსფერო, ემოციურობა, ახალი, რთული ვარჯიშის ათვისებით გამოწვეული სიხარული და სიხალისე — აი, ის თვისებები, რის გამოც უბრალო თოკით ვარჯიში დიდი პოპულარობით სარგებლობდა წინათ. სახტუნელა კარგად ავითარებს მოძრაობის კოორდინაციას, მოქნილობას, ამასთან, საკმაოდ დიდ ფიზიკურ დატვირთვასაც მოითხოვს (მისი რეგულირება იოლია), შესანიშნავად ავითარებს კუნთებსა და სახსრებს, ავარჯიშებს სისხლძარღვებს, გულსა და სასუნთქ ორგანოებს. ჩვეულებრივ, ძალიან ძნელია აიძულო თავი იხტუნო, დავუშვათ, ოცჯერ — ოცდაათჯერ, ისიც სისტემატურად, სახტუნელა კი ამას შენდაუნებლიედ გაგაკეთებინებს. სახტუნელა იოლი საშოვნელია (ორი-სამი მეტრის სიგრძის ბაწარი და მისი ჯანი.) და არც საგანგებო სავარჯიშო მოედანს ითხოვს.

#### ვარჯიშები მოკლე სახტუნელათი

1. ორად გაკეცილი სახტუნელა ხან ერთი ხელით, ხან მეორეთი ატრიალე, ჯერ ეს დგომელა გააკეთე, შემდეგ ხელის ტრიალს, ხტომაც ააყოლე.

2. რიგრიგობით იხტუნე, ხან ერთ, ხან მეორე ფეხზე და სახტუნელაც ჯერ ერთ, მერე მეორე ფეხქვეშ გაატარე (ხან უკნიდან წინ გადმოატარე, ხან წინიდან უკან გადაატარე).

3. ორივე ფეხით იხტუნე, სახტუნელა ხან უკნიდან წინ გადმოატარე, ხან წინიდან უკან გადაატარე და თან შეუჩერებლივ ზედ იხტუნე.

4. ადგილზე ირბინე და სახტუნელა ფეხქვეშ გაიტარე. (სახტუნელა ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე უნდა გაიტარო ფეხქვეშ).

5. იხტუნე რიგრიგობით ხან ერთ ფეხზე, ხან მეორეზე და სახტუნელა ხან წინიდან უკან ატრიალე, ხან უკანიდან თავზე გადმოატარე.

6. გადმოიქნიე სახტუნელა უკნიდან წინ, გზადაგზა ხელები გადააჯვარედინე და ბაწარი ფეხქვეშ ისე გაატარე (ეს საკმაოდ რთული მოძრაობაა და მის დაუფლებას ნუ იჩქარებ).

#### ვარჯიში გრძელი სახტუნელათი

1. ორმა ბავშვმა აქეთ-იქიდან ჩაჰკიდონ ხელი სახტუნელას და ატრიალონ. მესამე შუაზე დადგეს და თოკზე იხტუნოს.

2. იგივე მოძრაობა, ოღონდ ხტომა გვერდზე დგომით.

3. შეხტები, ფეხებს მაკრატელივით აამოძრავებ. ამასობაში ბაწარმა ფეხქვეშ უნდა გაიაროს.

4. ადგილზე ირბინე, სახტუნელა შენს საპირისპიროდ, ზევიდან მოძრაობს, შეხტი ისე, რომ არ გაედო და იხტუნე. მერე სახტუნელა საპირისპიროდ ამოძრავე.

5. შეგიძლიათ ბაწარს ორნი შეეგებოთ, შეხტეთ შიგ და ერთდროულად იხტუნოთ.

6. დატრიალებულ სახტუნელაში შეხტი და ხტუნვა დაიწყე, როცა დაიღლები, ისე გამოხტი, რომ ბაწარს არ გაედო.

საერთოდ, სახტუნელათი ვარჯიში უსასრულოდ შეიძლება გაამრავალფეროვნოთ. როცა კარგად გაიწაფებით, შემდეგ ვარჯიშებს თვითონ მოიგონებთ, ეს არ არის ძნელი ამბავი.



# არაჩვეულებრივი ძეგლები

## ძეგლი ძაღლებს

ცხენსა და სპილოსთან ერთად ადამიანის ერთ-ერთი ყველაზე ერთგული ცხოველია ძაღლი. იგი არის დარაჯი, ომში სანიტარი, ვაზნების მიმტანი წინა ხაზზე, მესაზღვრის თანაშემწე, კრიმინალისტი, მონადირე, მეხანძრე, უსინათლოთა გამყოლი და ა. შ. დაბოლოს, ძაღლი პირველი იყო ცხოველთაგან, რომელმაც რაკეტით იმოგზაურა კოსმოსში...

ცხადია, ადამიანის ყველაზე მეტი სიყვარული სწორედ ძაღლმა დაიმსახურა, ამიტომ ამ გონიერ ცხოველს რამდენიმე ძეგლი დაუდგეს.

...ცნობილმა ბუნებისმეტყველმა ვ. პესკოვმა ანტარქტიდაში მოისმინა ფრიად საინტერესო ამბავი: იაპონელთა ანტარქტიკულ სამეცნიერო სადგურ „სევაზე" ცხოვრობდნენ 11 კაცი და 15 მარხილის ძაღლი. დადგა სამეცნიერო სადგურიდან ხალხის გამოყვანის დრო, მაგრამ ყინულმჭრელი, რომელსაც მეზამთრეებისათვის სურსათი უნდა მოეტანა, გზაში დაიღუპა.

იაპონიის მთავრობის განკარგულებით ვერტმფრენმა ორი რეისი გააკეთა და თერთმეტი მეზამთრე გემზე გადაიყვანა. დიდი ქარბუქის გამო ვერ მფრენმა მესამე რეისი ვერ შეასრულა. ბაზაზე დარჩა მთელი ხელსაწყო-მოწყობილობა და 15 ძაღლი.

როდესაც ძაღლების დაღუპვის ამბავი პრესაში გამოქვეყნდა, ხალხმა გულისწყრომა გამოთქვა და მოითხოვა დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემა. ამასთანავე დაიწყო სახსრების შეგროვება ძეგლის ასაგებად და 1958 წელს იგი კიდეც დაიდგა ქ. ოსაკაში (იაპონია). ძეგლზე წარწერილი იყო:

„თხუთმეტ ძაღლს, რომლებიც ანტარქტიდაში დაიღუპნენ შიმშილით".

ერთი წლის შემდეგ იაპონელები დაბრუნდნენ ანტარქტიდაში, და წარმოიდგინეთ მათი გაკვირვება: სამეცნიერო სადგურზე ვერტმფრენის შესახვედრად მორბოდა სიკვდილს გადარჩენილი ათი ძაღლი. გონიერ ცხოველებს დაეწყვიტათ მისაბმელი თოკები და პინგვინებზე ნადირობით გაეტანათ თავი.

... დაბა კოლტუშში (ლენინგრადის ოლქი) აკადემიკოს პავლოვის თხოვნით დადგეს ძაღლის ძეგლი, რომლის კვარცხლბეკზე წარწერილია: „ძაღლი ოდითგანვე ადამიანისადმი კეთილი განწყობილების, მოთმინებისა და გამგონობის წყალობით ექსპერიმენტატორს შესამჩნევი სიხარულითაც კი ემსახურება მრავალი წლის, ზოგჯერ მთელი სიცოცხლის მანძილზე".

ამ მონუმენტს დაარქვეს „უცნობი ძაღლის ძეგლი".

... პარიზში ძეგლი დაუდგეს სან-ბერნარის ჯიშის ძაღლს — ბარის. „მამაცმა ბარიმ დაღუპვისაგან გადაარჩინა ორმოცი კაცი. ორმოცდამეერთის გადარჩენისას კი თვითონ დაიღუპა", — ასე წერია კვარცხლბეკზე. სან-ბერნარის ჯიშის ძაღლები მთაში გზააბნეულ ადამიანებს მეგზურობას უწევენ ხოლმე. თოვლის ზვავების დროს ისინი ეძებენ დაზარალებულებსა და დაკარგულთ და ასეთ შემთხვევაში ღონიერი ზურგით მიაქვთ პირველადი დახმარების საშუალებები: საბანი, მედიკამენტები, სურსათი... თუ ძაღლს არ ძალუძს დაზარალებულის თოვლიდან ამოყვანა და დახმარების გაწევა, სოფელში გარბის და ხალხს ყეფით ამცნობს მომხდარ უბედურებას. ამ წესით ბარიმ შვეიცარიის ალპებში 40 კაცი გადაარჩინა.



ერთხელ მან ღრმა თოვლში ჩამარხული კაცი იპოვა, ამოთხარა თოვლი და თავისი სუნთქვით გაათბო ადამიანი. ბოლოს კაცმა თვალები გაახილა, მაგრამ თავზე წამომდგარი დიდი ნაგაზი რომ დაინახა, შეეშინდა, რევოლვერი ამოიღო და ესროლა. მამაცი ბარის დაღუპვის ამბავმა ყველა შეაძრწუნა.

საქვეყნოდ ცნობილი სან-ბერნარის ჯიში XII-XIV საუკუნეებში გამოიყვანეს შვეიცარიის მთებში და სან-ბერნარის გადასასვლელზე არსებული მონასტრის სახელი უწოდეს.

## ძეგლი მამალს

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქი მიუნსტერი (მდ. რურზე) შუა საუკუნეებში მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი იყო ჩრდილო რაინ-ვესტფალიის სამთავროში. აქ დადგმული მამლის ძეგლი გამოხატავს შუა საუკუნეების ომების ერთ-ერთ ეპიზოდს.

დაახლოებით 400 წლის წინათ მტერმა ალყა შემოარტყა მიუნსტერს. შიმშილითა და უწყლობით გაწამებულმა ქალაქის მცხოვრებლებმა ხერხს მიმართეს: ციხის ქონგურიდან გადმოაფრინეს ქალაქში დარჩენილი ერთადერთი მამალი. მტერმა იფიქრა, ციხე-სიმაგრეში სურსათ-სანოვაგე ბლომად ჰქონიათო, ალყა მოხსნა და ქალაქი დარბევას გადარჩა.

## ძეგლი ღორსა და ძროხას

დანიის ეკონომიკის საფუძველს ღორი და ძროხა წარმოადგენენ. დანიელი გლეხის კეთილდღეობა ფაქტიურად ამ ცხოველების პროდუქციაზეა დამოკიდებული. უფრო მეტი, დანიაში მემინდვრეობა ძირითადად წარმოდგენილია საკვები ბალახების თესვით და მეცხოველეობის ბაზას წარმოადგენს. ამიტომ არის, რომ ღორსა და ძროხას დიდი ადგილი უკავია დანიურ ხელოვნებაშიც კი: ღორი და ძროხა გამოსახულია ფერწერულ ტილოებზე, ჩამოსხმულია ბრინჯაოში, გამოკვეთილია ქვაში, ამოტვიფრულია სახელგანთქმული დანიური ფაიფურის ნაწარმზე.

ძროხა — აუდუმლეს ძეგლის აგების არსი შემდეგში მდგომარეობს: დანიური მითოლოგიის თანახმად, დედამიწაზე პირველი ადამიანი გაჩნდა ძროხისაგან და სწორედ ის, დედაძროხა გამოძერწა კაი ნილსენმა. ეს სკულპტურული ჯგუფი ამშვენებს ბაზრის მოედანს ქალაქ ფობორგში (კუნძული ფიუნი). აქვეა გაჭრილი დიდი ჭა, საიდანაც პირუტყვმა წყალი უნდა დალიოს. აუდუმლეს ფეხებთან წევს დაღლილი გოლიათი იზმირი, რომელიც ძროხის ძუძუს წოვს.

ღორის პირველი ძეგლი კი დადგმულია იუტლანტის ნახევარკუნძულის ყველაზე დიდ ქალაქ ორხუსში. ქვის კვარცხლბეკზე წევს გოჭებით გარშემორტყმული დანიური ჯიშის (ბეკონის) დიდი თეთრი ღორი, რომელსაც ცივი წყალი ესხურება ირგვლივ ჩამომდინარე პატარ-პატარა ნაკადულებისაგან.

გრ. ზარდალიშვილი.



ეროვნული ბიბლიოთეკა



## ხელის აუღებლად

ხელის აუღებლად შემოატარე ფანქარი ამ ნახაზს, ისე რომ ერთ ადგილას ხაზი ორჯერ არ გაატარო.



## აღმოსავლური გამოცანები ბაზარში

ერთ გლეხს ტომრით ბრინჯი და შვრია მიჰქონდა. მარცვალი რომ ერთმანეთში არ არეულიყო, ტომარას შუაზე ბაწარი ჰქონდა შემოჭერილი. მეორე გლეხს ნახევარი ტომარა ბარდა მიჰქონდა.

— გამომიცვალე, — უთხრა მეორე გლეხმა პირველს.

— კი გაგიცვლი, მაგრამ მესამე ქურჭელი რომ არა გვაქვს. — უპასუხა პირველმა გლეხმა.

იქნებ თქვენ დაეხმაროთ მათ მარცვლის გაცვლაში?




## ყალბი მონეტა

მცოდნე კაცს 9 მონეტა მიუტანეს და სთხოვეს: ამათში ერთი ყალბი უნდა იყოსო და თუ კაცი ხარ, გამოიცანიო. (იცოდნენ, რომ ყალბი ნამდვილებზე ცოტა მძიმე იყო) კაცს ხელთ მხოლოდ უსაწონო სასწორი ჰქონდა, მაგრამ სასწორი მხოლოდ ორჯერ იხმარა და ყალბი ფული აღმოაჩინა.

როგორ მოახერხა მან ეს?

## მწყემსები და ფარა

ერთმა მწყემსმა უთხრა მეორეს: „მომეცი შენი ფარიდან ასი ცხვარი და ორივეს ერთნაირად გვეყოლება". მეორემ უთხრა: არა, ჯობია შენ მომცე ასი ცხვარი და ორივეს ერთნაირად გვეყოლება".



რამდენი ცხვარი ჰყოლია თითოეულ მწყემსს?

## [illegible]

შეესევა ხოლმე ყანებს
ის ვერაგი მწერი, —
სიტყვა უნდა შეიკვეცოს
ბოლო ორი ბგერით.
მეორე კი — ყვავილია,
გაზაფხულის მაცნე, —
იმავე წამს მოაშორებ
უკანასკნელ მარცვლებს
არც ამინდის სხვა სახელის
მიგნებაა ძნელი,
ჰოდა, თუკი შეაერთებ,
უკვე პასუხს ველი, —
მასთან ერთად იწყება და
იწურება წელი.

შ. ამირანაშვილი.

## პასუხი პირველი ნომრის გამოცანებზე

1. პარაშუტი
2. ირემი
3. გუდა
4. დაირა
5. ენა

## საქიებელი


**ხერგიანი მირონ**—ჩვენ 250000000 ვართ (ნარკვევი) . . . 1
**გრიგოლაშვილი დურმიშხან**—არჩევანი (მოთხრობა) . . . 4
**ძერია რობერტ** — ჩემი პირველი აკადემია (წერილი) . . . 12
**ბახტაძე გურამ**—მარშის ათივე ბილიკით (ნარკვევი) . . . 14
„მოლოდაია გვარდია" — ბავშვებს . . . 16
**იაკოვლევი იური** — მან ჩემი ძაღლი მოკლა (მოთხრობა) . . . 17
**კეჭაღმაძე გიორგი** — თუ დიდხანს ითოვა (მოთხრობა) . . . 20
პიონერული ცხოვრების მატიანე . . . 25
კითხვა-პასუხი . . . 26
გამოგადგები . . . 29
სპორტი . . . 30
**ზარდალიშვილი გრიგოლ** — არაჩვეულებრივი ძეგლები (წერილი) . . . 31
ცხრაკლიტული . . . 32
ფოლკლორისტთა კონკურსი . გარეკ. III



გარეკანის 1-ლი გვერდის მხატვრობა — რევაზ ცუცქირიძისა, მე-4 გვერდის — აკაკი თევზაძისა.

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.



სარედაქციო კოლეგია: შოთა დევდარიანი, სერგო კლდიაშვილი, მურმან ლებანიძე, ზურაბ ლეჟავა შელი (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, გიორგი ძლიბაძე, ნოდარ შამანაძე, ზურაბ ჭუმბურიძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი).



ჩვენი მისამართი:
თბილისი, ლენინის ქ. № 14.
ტელეფონები:
რედაქტორის—93-97-05
93-31-81
პ/მგ. მდივნის
93-97-03, 93-53-05
განყოფილებების—93-97-02
93-97-01



საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი ლენინის ქ. № 14.
«ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.
გადაეცა ასაწყობად 18/XII-73 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 30/I-74 წ. ქაღალდის ფორმატი $60 \times 90^1/_8$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,19. შეკვ. № 4009. ტირ. 137.000. უე 00003.

ფასი 20 კაპიკი



რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

# ძვირფასო პიონერებო!





ჩვენი ფოლკლორისტები გულმოდგინედ მუშაობენ ეროვნული საუნჯის შესაკრებად და გამოსამზეურებლად. თქვენც შეგიძლიათ ამ დიდ საქმეში წვლილი შეიტანოთ. ამ მიზნით ჟურნალ „პიონერის“ რედაქცია აცხადებს ღია კონკურსს დევიზით: „შევკრიბოთ ეროვნული საუნჯე“. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მოსწავლეს.

ვინ იცის, წინაპართაგან გაგონილი რამდენი ზეპირსიტყვიერების ნიმუში ახსოვთ თქვენს ბებიებს, პაპებს, მშობლებს, ხანდაზმულ თუ მხცოვან ნათესავებს და მეზობლებს. ჩაიწერეთ მათგან: ხალხური ლექსები, გადმოცემები, თქმულებები, ლეგენდები, მითები, გამოცანები, ანდაზები, პატარ-პატარა ზღაპრები.

ჩვენს ხალხში დღესაც მრავალი ფოლკლორული ნიმუში იქმნება. თანამედროვეობის ამსახველ მასალებს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოთ.

ტექსტები ჩაიწერეთ ზუსტად, როგორც მთქმელი გიამბობთ. გამოგზავნეთ შეუსწორებლად, ოდნავი ცვლილებაც კი არ შეიტანოთ.

მასალები შეგიძლიათ ხელნაწერიც გამოგვიგზავნოთ, აუცილებლად უნდა დაურთოთ სრული პასპორტი: 1. მთქმელის სახელი, გვარი, მამის სახელი, 2. წლოვანება, 3. პროფესია, 4. განათლება, 5. ჩაწერის ადგილი (ქალაქი, რაიონი, სოფელი), 6. თარიღი, 7. ასევე ჩამწერის სრული ვინაობა და მისამართი.

კონკურსი გაგრძელდება 1974 წლის ბოლომდე.

ჟიური მხედველობაში მიიღებს, როგორც მასალების რაოდენობას, ისე მის მხატვრულ ღირსებებს. კონკურსში გამარჯვებული ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდებიან. მოწონებულ ნიმუშებს ჩამწერთა ხელმოწერით გამოვაქვეყნებთ.

ჩვენი მისამართია: ლენინის ქ. № 14.
„პიონერის“ რედაქციას (კონკურსისათვის)









ეროვნული ბიბლიოთეკა

ИНДЕКС 76157